

K 51 290

2.

Digitized by srujanika@gmail.com
2014-01-03 03:55

ତ୍ୟକ୍ଷମାତ୍ର
ଦୁଃଖପାତ୍ର



ଶୁଣୁ ଯୁଗମେ
ଲୋ
ଜିନ୍ଦାବାଦୀ
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

まつめのまつめ

• ۱۰ •

၁၂၃၀ ၁၂၃၁

205

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

K 512 290



„მერანი“ თბილისი 1983

წიგნში განხილულია XIX საუკუნის გამოწენილი ფრანგი ქართველოლოგის აკადემიკოს მარი ბროსეს (1802—1880) ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა, კერძოდ, მისი რუს-თველოლოგიური ნააზრევი.

ვახტანგ VI-ის და თეიმურაზ ბაგრატიონის შემდეგ მარი ბროსეს ხვდა წილად შეექმნა ახალი ეტაპი რუსთველოლო-გიაში.

მ. ბროსეს რუსთველოლოგიურ შრომებში განხილულია ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები ვეფხისტყაოსნას და მის ავტორზე, დასაბუთებულია პოემის სიუჟეტის ორიგინა-ლობა, შესწავლილია ვეფხისტყაოსნის სტროფული შედეგენი-ლობისა და ტექსტის მოცულობის საკითხები, მოცემულია ვეფხისტყაოსნის ქანრობრივი და იდეურ-მხატვრული დახა-სიათება. ამას ვარდა, მ. ბროსეს ეკუთვნის პირველი ცდა რუსთველის პოემის ფრანგულ ენაზე გადათარგმნისა, აგრე-სოვე, დიდია მისი წვლილი ვეფხისტყაოსნის მეორე პეჭდურ გამოცემაში, რომელიც 1841 წელს განხორციელდა პეტერ-ბურგში თეიმურაზ ბაგრატიონის, დავით ჩუბინაშვილისა და ზაქარია ფალავანდიშვილის მონაწილეობით.

70202—85

გ ————— ბრძ. 715—82

M604(08)—83

© გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 1983

ა 2

შესავალი

დასავლეთ ევროპაში საქართველოს ისტორიას, ქართული ენისა და წერილობითი ძეგლებისადმი ინტერესის ახალი ძალით გაღვივება დაკავშირებულია იმ მოძრაობასთან, რომელიც მეცნიერულ სამყაროში დაიწყო XVIII ს-ის მიწურულს ევროპული ენების ინდოეთისა და ირანის ენებთან ნათესაობის აღმოჩენასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთისადმი ევროპელების, კერძოდ, ფრანგების მეცნიერულ სწრაფვას შემდგომი ბიძგი მისცა აგრეთვე ნაპოლეონის ლაშქრობებმა ეგვიპტეში. პარიზის „ეკოლ სპესიალ“-ში ასწავლიან სანსკრიტულ, სომხურ და ჩინურ ენებს, ხოლო ცნობილმა ორიენტალისტმა სილვესტრ დე სასიმ სპარსულის სწავლება შემოიღო განთქმულ „კოლეჟ დე ფრანს“-ში, 1822 წელს დაარსდა „პარიზის საზიონ საზოგადოება“, რომლის ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელთაგანია სენ-მარტენი. ამ საზოგადოებაში დაიწყეს ჩინურის, არაბულის, სანსკრიტულის, ბანჯურულის, პალის, სომხურის შესწავლა... აქვე ჩაისახა აზრი ქართული ენისა და

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
გიბლიონი



წერილობითი ძეგლების (ლიტერატურული უნივერსიტეტის რია...) შესწავლისა!

ამ იდეის სათავეებთან ვხედავთ მაშინ უკვე სახელმოხვეჭილ ფრანგ ორიენტალისტს აკადემიკოს ანტუან ჟან სენ-მარტენს (1791—1832) და იმ დროისთვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობ ახალგაზრდა, დამწყებ მეცნიერს მარი ფელისიტე ბროსეს!

1819 წელს აკად. სენ-მარტენმა ორ ტომად გამოსცა ფუნდამენტური შრომა „სომხეთის ისტორიისა და გეოგრაფიის ნარკვევები“, რომელშიაც საქართველოს შესახები წყაროებიც პქონდა გამოყენებული. სხვა დიდი ფრანგი ორიენტალისტების — სილვესტრ დე სასის, ეჟენ ბურნუფისა და აბელ რემუზას ხელშეწყობითა და ახლო მეგობრული თანამშრომლობით სენ-მარტენი დაეუფლა არაბულ, სომხურ, სპარსულ, სირიულ და თურქულ ენებს, ამასთან, იგი ყოველთვის გრძნობდა ქართული ენის ცოდნის აუცილებლობას, და თუმცა გვიან, მაგრამ მაინც შეუდგა ქართული ენის შესწავლას, რაღაც დ. ბაქრაძის სიტყვებით, სენ-მარტენი ხედავდა, რომ სომხეთისა და საქართველოს ისტორიული ბედი წარსულში მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან და ამიტომ უცილობელ საჭიროებად თვლიდა ორივე ერის ისტორიის შედარებით შესწავლას, ისტორიისას, რომელიც აშუქებდა აღმოსავლეთის ხალხების პოლიტიკურ ცხოვრებისაც. დ. ბაქრაძის შეფასებით, „სენ-მარტენს ის სამსახური მიუძღვის ქართველობის



წინაშე, რომ იმან ჩაიგდო ქართულის ისტორიული საძირკველი, რომელზედაც სხვებმა იწყეს „შეკუპროცესი ნება“.

მართლაც, მ. ბროსე რომ დავიმოწმოთ, „არ გასულა სულ რამდენიმე თვე პარიზის სააზიო საზოგადოების დაარსებიდან, რომ აღმოსავლეთის სხვადასხვა ენების რიცხვში, ქართული ენა თავის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსაღ სცნო“,² ხოლო 1823 წლის 6 იანვრის ბრწყინვალე ანგარიშში სენ-მარტენმა მოიყვანა ამისი დამაჯერებელი საბუთები, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა საზოგადოების საბჭოს სხდომაზე.³

საზოგადოებამ პირველ რიგში გადაწყვიტა ჩამოესხა ქართული შრიფტი და დაუყოვნებლივ გამოეცა ქართული ენის ლექსიკონი და გრამატიკა — ეს ორი აუცილებელი პირობა ყოველი ენის შესწავლისათვის.

მ. ბროსეს სიტყვით, პარიზის სააზიო საზოგადოებამ „როგორც განთიადის ნათელმოსილმა ვარსკვლავმა, თავის დევიზად აღირჩია მზე აღმოსავლეთისა და თავისი სხივი მოჰყინა ქვეყანას თავის „აზიურის უურნალის“ შემწეობით“.⁴

თუ ეს ასეა, მაშინ იონა მეუნარგიას მიერ სხვა შემთხვევაში ნახმარი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, მარი ბროსეს სახით „მზე დასავლეთიდან ამოუვიდა საქართველოს“.⁵

მარი ბროსე განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი მეცნიერების ისტორიაში. ქართველმა ხალხმა იგი უკვე დიდი ხანია თავის უკვდავ მოღვაწეთა



შორის ჩარიცხა, ეროვნებით ფრანგს თავისუფლებულების ნიშანი თითქმის ჩამოაცილა და მაჟის დიდ თანამემამულედ შერაცხა, მისთვის თავდადებულ უანგარო მოამაგედ აღიარა!

ს. კაკაბაძის სამართლიანი სიტყვით, „ბროსეს სახით, თუმცა იგი ფრანგულად წერდა, ფაქტიურად ჩვენ გვყავს XVIII ს-ის ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნების [ვახუშტი ბატონიშვილის] გამგრძელებელი,... რომელმაც შეძლო შეენარჩუნებინა მასთან მემკვიდრეობითი კავშირი,... რითაც ქართველებს შორის მოიხვეჭა დღებდე ცოცხალი რეპუტაცია საკუთარი ქართველი მეცნიერისა“.⁶

არ დარჩენილა ქართველთმცოდნეობის თითქმის ერც ერთი დარგი (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ხელოვნება...), რომლის შეცნიერებული საძირკვლის განმტკიცებასა და შემდგომ წარაგლაში მარი ბროსეს რომ საკუთარი წვლილი არ შეეტანოს.

ნ. მარი შ. ბროსეს უწოდებდა იმ დროისთვის „ერთადერთ ევროპელ ქართველოლოგს ამ სიტყვის ნამდვილი შნიშვნელობით,... რომელიც მოგვევლინა ევროპულ მეცნიერებაში ქართველობის ისტორიული თვითშეგნების განმმარტებლის როლში“,⁷ ხოლო ვ. ბარტოლდის აღიარებით, „რუსეთში ქართველთმცოდნეობის, ნაწილობრივ არმენოლოგიისაც, წარმატებას ყველაზე მეტად ხელი შეუწყო ფრანგი ორიენტალისტის ბროსეს მოღვაწეობამ... ბროსეს შრომებმა (იგი გარდაიცვალა

1880 წ.) სათავე დაუდო ქართული ლიტერატურული რისა და ისტორიის შესწავლას არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიაც... მისმა მოღვაწეობამ გავლენა იქონია მეცნიერული მუშაობის მსვლელობაზე თვითონ საქართველოში".⁸

მარი ბროსეს ცხოვრებასა და შეცნიერულ გოლვაწეობას არაერთი თაობის შრომა მიეძღვნა როგორც რევოლუციამდე, ისე ჩვენს დროშიაც.

ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია მეცნიერის ვაჟის ლორან (რომელსაც ჩვენში, ხშირად, ლავრენტის სახელით იხსენიებენ) ბროსეს მიერ არაჩვეულებრივი სიფაქიზით, სიზუსტითა და სიყვარულით, რაც მთავარია, საქშის ცოდნით შედგენილი მაძამისის შრომების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომელსაც ერთვის 20 მიერვე შედგენილი მარი ბროსეს ცხოვრებისა და შემოქმედების ნარკვევი, დღემდე ერთადერთ გვერდაუვლელ პირველწყაროს რომ წარმოადგენს ყველა მკვლევარისათვის.⁹ საყოველთაოდ იღიარებული აზრია, რომ ამ წიგნით შვილმა მამას უკვდავი, ხელთუქმნელი ძეგლი აუგო!

ქართველი საზოგადოება მუდამ შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ფრანგი მეცნიერის მოღვაწეობას მის სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ გამხდარა გულგრილი მისი მემკვიდრეობისადმი.

პეტერბურგში მყოფთ პირველ ქართველ აკადემიკოს თეიმურაზ ბაგრატიონსა და პირველ ქართველ პროფესორ დავით ჩუბინაშვილზე, და სა-

ერთოდ, პეტერბურგსა და მოსკოვში შცხოფები ქართული კოლონიის წევრებზე რომ აოპფერი ვთქვათ, მარი ბროსეს საქართველოში მუდმივ კორესპონდენტებად ჰყავდა ბევრი ქართველი მეცნიერი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე (პლ. იოსელიანი, ნ. ფალავანდიშვილი, ნ. დადიანი, ი. ცისკარიშვილი, ქრ. ნამაცაშვილი, გ. ერისთავი, დ. მელვინეთხუცესიშვილი, დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი, ზ. ჭიჭინაძე და სხვები), ვისთანაც მას გაცხოველებული მეცნიერული მიწერ-მოწერა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, რაც მას მეცნიერულ მუშაობაში დიდად შველოდა. ნაწილი ამ მოწერისა დღეს უკვე გამოქვეყნებულია.¹⁰

ამას გარდა, XIX ს. ქართულ პრესასა („ცისკარი“, „დროება“, „ივერია“, „შრომა“, „მწყემსი“, „მოამბე“, „თეატრი“, „ცნობის ფურცელი“, „საქართველოს კალენდარი“, „კვალი“) და საქართველოში გამომავალ რუსულ და უცხოურ პერიოდიკაში («Кавказ», «Тифл. лист.», „ლე კოკაზილუსტრე“) დიდი ადგილი ეთმობოდა მარი ბროსეს შეცნიერული მოღვაწეობის გაშუქებას.

პირველ რიგში, აღსანიშნავია მარი ბროსეს ნაშრომთა ქართული თარგმანები, რომლებიც შესრულებულია იოსებ საყვარელიძის, ივანე კერესელიძის, ალექსანდრე ჭყონიას, ივანე მაჭავარიანის, ნიმონ ლოლობერიძის მიერ და გამოქვეყნებულია როგორც ჟურნალ-გაზეთებში, ისე ცალკე წიგნებადაც: განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, თხზ. უფალის აკადემიკოს ბრო-




სსესი, ფრანცუზულითგან თარგმანი იოსებ საქართველოს
რელიგიისა, „ცისკარი“, 1861, № 8, გვ. 320—³⁴⁶ № 9; გვ. 39—55 (ნაწყვეტი იხ. აგრეთვე, „საქართველოს კალენდარი“, 1894); ისტორიული მი-
მოხილვა რუსეთის და საქართველოს მეფეთა შო-
რის, ნათარგმნია ბროსესაგან შემდგარის და გა-
მოცემულის წიგნითგან ი. კერესელიძის მიერ,
„ცისკარი“, 1866, № 1, გვ. 4—11; № 2, გვ. 28—
35; № 3, გვ. 54—59; № 4, გვ. 73—76; საქართვე-
ლოს ისტორიისათვს მასალები (მ. ბროსესი),
„ცისკარი“, 1867, № 4—5; 1868, № 9; 1869,
№ 8, 9, 10; ნამდვილი დოკუმენტები შესახებ დიპ-
ლომატიური განწყობილებისა საქართველოს და
საფრანგეთის შუა ლუდოვიკო XIV-ის მეფობის
ბოლოს (ეს დოკუმენტები დააბეჭდინა აზიურ
ჟურნალში [1832, ტ. I X] უფ. ბროსემ), გაღმოღე-
ბული ა[ლექსანდრე] ჭ[კონიას] მიერ, პარიჟი, 1876,
მაისი, გაზ. „დროება“, 1876, 2. V. № 43; 5. V.
№ 44; 12. V. № 46; დემნას ანუ დიმიტრი ბატო-
ნიშვილის თავგადასავალი (მ. ბროსე: დამატებანი
და განმარტებანი ქართლის ცხოვრებისა), თარგ-
მანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა, ჟ. „მოამბე“,
1904, № 5, განყ. II, გვ. 70—77; მარი ბროსე,
საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტე-
ბული სიმ. ლოღობერიძის მიერ, გამოცემული ნიკ-
ლოღობერიძის მიერ, მ. შარაძის სტამბა, ნაწილი
პირველი, ტფილისი, 1895; ნაწილი მეორე, ტფი-
ლისი, 1900.

რაც შეეხება მარი ბროსეს ცხოვრებისა და

შისი ქართველოლოგიური ღვაწლის შეფასებულებას აქ, პირველ რიგში, აღსანიშნავია დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორიის წყაროები, აკადემიის მწევრს, მარი ივანეს ძე ბროსეს“, რომელიც 1857 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (№ 2). აქ დ. ბაქრაძე მაღალ შეფასებას აძლევს მ. ბროსეს ისტორიოგრაფიულ ნაშრომებს და დაასკვნის: „.... ვერცა რა ვის ვპხედავთ, რომ ისე მომზადებული იყოს და ისე ზედმიწევნით ესწავლოს ქართული წყაროები. ყმაწვილობითვე შესწირა იმან თვისი ცხოვრება და მოქმედება ქართულს ლიტერატურას... ჩუცნის გონებით ბროსსემ ქართველებს უფრო დიდი სამსახური უჩუცნა, ვირემც სენ-მარტენშა სომხებს... ერთის სიტყვა, ბროსსემ იმდენი შრომა გასწია ქართულის ლიტერატურისათვის, რომ დასაჯერებელი არ არის ერთის კაცისაგან“.¹¹ საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა დ. ბაქრაძემ ევროპაში ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ჩასახვას და ამ შიმრთულებით მარი ბროსეს მიერ გაწეულ ღვაწლს, რომელიც 1883 და 1887 წლებში გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ ენებზე.¹²

1860 წელს დ. მელვინეთხუცესიშვილმა „ცისკარში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიც გოგიოთხრობს მარი ბროსეს სტუმრობას გორში 1848 წლის 30 მარტს და მოპყავს გიორგი ერისთავისა და მარი ბროსეს მიერ აქ წარმოთქმული სიტყვები, რომლებიც საინტერესო ისტორიულ დოკუმენტებს წარმოადგენენ.¹³

გაზეთ „დროებაში“ 1867-68 წლებში სპეციალური წერილები მიეძღვნა მ. ბროსეს შრომების განხილვას სომეხი ისტორიკოსების უხტანესისა და სტ. ორბელიანის თხზულებათა შესახებ,¹⁴ ხოლო აღ. ჭყონიამ 1876 წელს იმავე „დროების“ ფურცლებზე მოგვცა მ. ბროსეს ცნობილი შრომის „ქართული ენის საფუძვლები“ (პარიზი, 1837) შეფასების ცდა,¹⁵ ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეში მ. ბროსეს დამსახურებას კი საგანგებოდ ხაზს უსვამდნენ ნ. ბერძენოვი, პ. უმიკაშვილი და გ. წერეთელი 1869 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულ ცნობილ წერილში.¹⁶ ქართველი მოწინავე საზოგადო მოღვაწეები იმთავითვე გრძნობდნენ, თუ რამდენი რამ იყო კიდევ გასაკეთებელი საქართველოს ისტორიის ნამდვილი სურათის აღსაღენად და ამ მხრივ, რა სარგებლობა მოჰქონდა მ. ბროსეს საქმიანობას. ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ადგილს „დროებაში“ 1869 წელს ხელმოუწერლად დაბეჭდილი ერთი წერილიდან, რომელიც ჩვენი აზრით უნდა ეკუთვნოდეს დიდ ქართველ ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს: „... რაღა ეჭვი უნდა, რომ ჩვენ ისტორია არა გვაქვს. დიდი დროც გაივლის, ვიდრე ის საფუძვლიანად შესდგება. ჩვენ სანუგეშოთ ეს კი უნდა ვთქვათ, რომ საქართველოზედ ძველათვე ბევრი უწერიათ ჩვენებსაც და უცხო ტომთაც. იმათის მოთხრობების შეკრეფა, განხილვა, — აი, ჯერ ჩვენ რას უნდა შეგუდგეთ. ესეც უნდა გვიხსოვდეს, რომ ეს საქმე დაწყებულია — ვისგან? ნუ გგონიათ ქართველი-

საგან! დაწყებულია იმ ტომის შვილისაგან, რო-
მელიც თითქმის ბორინავე ტომს შეაღგა  უკროპაში — ფრინცუზისაგან. ჩვენ ვამბობთ უფ-
ბროსსეზედ. ბროსე ჯერ ღირსეულით არ არის
ჩვენგან დაფასებული. იმან ასეთი ღვაწლი დასდო
საქართველოს, რომ დაუგიწყვირი უნდა იყოს იმისი
სახელი ჩვენთვის და ჩვენის შთამომავლობისა-
თვის. იმან კარგა ხანია ხელი მიჰყო ქართულის
ისტორიის წყაროების გამოცემას და ისეთს წარ-
მატებაში შეიყვანა ისა, რომ უნდა გვიკვირდეს,
როგორ შეიძლო ერთმა კაცმა ამოდენა შრომა.¹⁷

1876 წელს „დროებაში“ (№ 128) გამოქვეყნ-
და ცნობა იმის თაობაზე, რომ მ. ბროსე შედგომია
ი. ჭივჭივაძის „კაცია-ადამიანის“ ფრანგულად
თარგმნეს, უფრო ადრე (1875, № 107) იგივე
გაზეთი იხსენიებდა მ. ბროსეს შიერ ნახულ და
აღწერილ ერთ ძველ სვანურ სახეოებას, ხოლო
1878 წლის 20 ივლისს (№ 145) „დროება“ თავის
მკითხველს ატყობინებდა მ. ბროსეს შიერ ფრან-
გულ ენაზე ქართული ლიტერატურის ისტორიის
შედგენის განზრახვას.

მარი ბროსეს ცხოვრებისა და შოღვაწეობის
შეფასებას ვხვდებით ს. შესხის,¹⁸ ი. მეუნარგიას,¹⁹
გ. წერეთლის,²⁰ ივ. გვარამაძის,²¹ გ. დადიანის,²²
მ. ჯანაშვილის,²³ ი. ჭივჭივაძის,²⁴ დ. კარიჭაშვი-
ლის²⁵ წერილებში, სიტყვებსა თუ გამონათქვამებ-
ში. ამ მხრივ, ერთადერთ სამწუხარო გამონაკ-
ლისს წარმოადგენს ი. ოქრომჭედლიშვილის წე-

რილი, რომელიც მ. ბროსეს შრომებს ეხება
მთლიანად გაუგებრობაზეა აგებული.²⁶

ამას გარდა, მარი ბროსეს ცხოვრებისა და შე-
მოქმედებისადნი XIX ს. ქართული საზოგადოებ-
რივი აზრის დამოკიდებულების შესახებ ბევრ სა-
გულისხმო წარადგინავს ვპოულობთ იმდროინდელ
ქართულ პრესაში, რომელიც 1880—1902 წლებ-
ში გამოქვეყნდა რარი ბროსეს გარდაცვალებასა
და დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით:
„დროების“ რედაქტია როიწვევს ყოველთა ქართუ-
ლი მწერლობის და ისტორიის მოყვარეთა... სიო-
ნის ტაძარში მარი ბროსეს პანაშვილზე, „დროე-
ბა“, 1880. 4.IX. № 186; ლელო [ი. შეუნარვია],
შეე. დასავლეთიდამ, „დროება“, 1880. 11.IX.
№ 191; ქუთაისი, 9 სექტემბერს [კათოლიკეთა ეკ-
ლესიაში გადახდილ მარი ბროსეს პანაშვილზე
წარმოთქმული სიტყვები გ. წერეთლის და ირ.
ლორთქიფანიძის მიერ], „დროება“, 1880. 10.IX.
№ 190; განცხადება: ხელის-მოწერა ბროსეს ხა-
ხელობის პრემიისათვის, „დროება“, 1880.10.X.
№ 214; ახალი ამბები [მ. ბროსეს პანაშვილზე],
„დროება“, 1880, 25.IX. № 203; ლავრენტი
ბროსე, [სამადლობელი დეპეშა მამის ხსოვნის
პატივისმცემლებისადმი], „დროება“, 1880. 16.IX.
№ 195; მ. ბროსეს პრემია [საუკეთესო ისტო-
რიულ ნაწარმოებზე], „დროება“, 1880.19.IX.
№ 198; ახალი ამბები [მ. ბროსეს პრემიაზე],
„დროება“, 1880. № 243; ახალი ამბები [მ. ბროსეს
სტატიების ქართულად მომზადება დასაბეჭდად],

„დროება“, 1880. № 246. ი-ძ ე [ილია ჭავჭავაძეს შეკრუნველი ქუთათური ამბები („საქ. ისტორია“ ბროსეს პრემიაზე მიის ხელის მოწერა), „დროება“, 1881, 8.IV. № 75; 1.V. № 89; შემწირველთა სია ბროსეს პრემიაზე, „დროება“, 1880, №№ 249, 252, 262, 271, 1881. №№ 60, 91; ივ. მაჩაბელი, [მ. ბროსეს პრემიისთვის პეტერბურგელი ქართველი სტუდენტებისაგან ფულის გამოგზავნა], „დროება“, 1881. №№ 4, [აღ. ჭყონია], საუბარი დ. ჩუბინაშვილთან და მ. ბროსესთან პეტერბურგში და მათი აზრი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე, გაზ. „შრომა“, 1881. № 8; [მ. ბროსეს მოღვაწეობა], „დროება“, 1882 №№ 60, 61, 62; კვირიდან კვირამდე [მ. ბროსეს მიერ აღწერილი ქართული წიგნების კატალოგი დაბეჭდილი „აზიურ რუსეულში“], გაზ. „თეატრი“, 1886, № 34, გვ. 404—405; ბიბლიოგრაფიული შენიშვნა [მ. ბროსეს ღვაწლი...], „მწყემსი“, 1886, № 8, გვ. 5—6; ახალი ამბავი [მ. ბროსეს ნაწერების ბიბლიოგრაფიის გამოსვლა ლორან ბროსესი], „ივერია“, 1887, №№ 104, 107. ისტორიულ-ფილოლოგიური წარმომავლობა სიტყვისა „ღმერთი“ [მ. ბროსეს აზრი ამის თაობაზე], „მწყემსი“, 1890, №№ 3—4, 6—7, 9—10; ი. მაჩაბელი, წერილი რედაქციის მიმართ (მ. ბროსეს პრემიისთვის შეგროვილი თანხის შესახებ), ჟ. „მწყემსი“, 1893, № 18, გვ. 9—10; სოფლის მღვდელი [დავით ღამბაშიძე], მწარე ფიქრები (ბროსეს პრემიის თანხის თაობაზე), ჟ. „მწყემსი“, 1893, № 21, გვ.



9—11; გ. წერეთელი, თ-დ ი. მაჩაბლის წარმოებული
ბის ამბავი (ბროსეს პრემიის თანხის თაობაზე),
„ივერია“, 1893.16X. № 222; ხმა საზოგადოებიდ-
გან (ბროსეს პრემიის თანხის თაობაზე), „ივე-
რია“, 1893.15.X. № 221; აკად. მ. ბროსეს ფონ-
დისთვის შეგროვილი ფულის შესახებ, „ივერია“,
1894.26.VI. № 135; ბიბლიოგრაფია [ს. ღოღობე-
რიძის ნათარგმნ მ. ბროსეს „შემოკლებული ისტო-
რია საქართველოსი“-ს ბეჭდვის შესახებ], „ივე-
რია“, 1894.25XI. № 250; ვენეციიდან ჩვენ გვწე-
რენ [ნიკ. ღოღობერიძის მიერ ქართველ კათოლი-
კე ბერებისთვის „საქართველოს ისტორიის“ მი-
ძღვნა], „ივერია“, 1896.28.II. № 46; მარი ბრო-
სეს ერთი საყურადღებო წერილის გამო, „ცნობის
ფურცელი“, 1899.24.VII. № 874; ახალი წიგნი
[მ. ბროსეს „საქართველოს ისტორია“, ნაწ. II, თბ.,
1900], „ივერია“, 1900.23.XII. № 279; რეცენზია
მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიაზე“; ნაწ.
I—II, „მოგზაური“, 1901, № 2, გვ. 191—192;
„კვალი“, 1901, № 1, გვ. 18; ნარკვევი [ჟ. მურიეს
წერილი თბილისის მოურავ ევანგელოვისადმი
თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მ. ბროსეს სა-
ხელის მიკუთვნების შესახებ. პირველად გამო-
ქვეყნდა „ლე კოკაზ ილუსტრე“-ში, 1900 წლის
უკანასკნელ ნომერში], „ივერია“, 1901, 13.III.
№ 57; ახალი ამბავი [ნ. მარის ლექცია მარი ბრო-
სეს შესახებ], „ივერია“, 1902. 12.II. № 35;
მ. ბროსეს ბიოგრაფია, „კვალი“, 1902, № 5, გვ.
77—78; ახალი ამბავი [მ. ბროსეს პანაშვილი თბი-
2. გურამ შარაძე]

საქართველოს
პარლამენტის
მოწვევული
პირებისთვის

ლისში, კათოლიკეთა ეკლესიაში 1902 წლის მარტს დაბადების 100 წლისთვის გამო], რია“, 1902.22.II. № 44; „ცნობის ფურცელი“, 1902.28.II. № 1738; „კვალი“, 1902, № 9, გვ. 144—145; ახალი ამბავი [თბილისის ქუჩისთვის მ. ბროსეს სახელის დარქმევა], „ივერია“, 1902.14.III. № 56; ახალი ამბავი [მ. ბროსეს სახელის დარქმევა თბილისის ქუჩისთვის, საპასუხო დეპეშები ი. ჭავჭავაძეს საფრანგეთიდან მ. ბროსეს თაობაზე], „ცნობის ფურცელი“, 1902.13.III. № 1751; შდრ. „ცნობის ფურცელი“, 1902.4.III. № 1742; გუშინ, 2 მარტს... [მ. ბროსეს პანაშვილი, ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის დასწრება, ზ. ფალიაშვილის გუნდის გაღობა], „ცნობის ფურცელი“, 1902.3.III. № 1741; ქუთაისი, მ. ბროსეს პანაშვილი, „ცნობის ფურცელი“, 1902.3.III. № 1741; „კვალი“, 1902. № 10, გვ. 164—165; ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თხოვნის საფუძველზე თბილისში ვოდოვოზნის ქუჩას დაერქვა მ. ბროსეს სახელი და ამის თაობაზე ლორან ბროსეს მიერ გამოგზავნილი მაღლობის ბარათი, „ივერია“, 1903.24.VIII. № 181; „ცნობის ფურცელი“, 1904.11.VIII. № 2580; „ივერია“, 1904.30.VII. № 175; მარი ბროსე (100 წელი დაბადებიდან), „ივერია“, 1902.25.I. № 19; განცხადება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ ბროსეს პანაშვილის გადახდის შესახებ 1902 წლის 2 მარტს, „ივერია“, 1902.1.III. № 46; ი. ჭავჭავაძის დეპეშა საფრანგეთის განათლების მინისტრისადმი მ. ბროსეს და-



ბადების 100 წლისთავის თაობაზე, „ივერია“ 1902.3.III. № 48; ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ბის თხოვნა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას მარი ბროსეს სახელი, „ივერია“, 1902.3.III. № 48; იმერეთის ამბები (მ. ბროსეს პანაშვილი ქუთაისში), „ივერია“, 1902.9.III. № 52.

მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობის ყოველმხრივი და ამომწურავი შეფასება კვლავ მომავლის საქმედ რჩება, მიუხედავად იმისა, რომ XX ს-ში, განსაკუთრებით, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, როგორც რუსეთში, ისე სომხეთსა და საქართველოში.

ნ. მარის, ვ. ბარტოლდისა და ს. კაკაბაძის დასახელებულ ნაშრომთა გარდა, რუსულ ენაზე გამოქვეყნდა აგრეთვე ს. ოლდენბურგის სპეციალურის წერილი,²⁷ ხოლო შ. ბერიძემ ფრანგულად გამოსცა წიგნაკი მ. ბროსეს ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ.²⁸

ივ. ჯავახიშვილი მ. ბროსეს უწოდებს „ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი ძალობნები და სიცოცხლე ქართული მწერლობის შესწავლას შესწირა“,²⁹ და რომ „საქართველოს მეთოდური მეცნიერული შესწავლის მეთაურად უცილობლად უნდა ფრანგი მარი ბროსე იქმნეს ცნობილი“.³⁰

კ. კეკელიძემ მოგვცა მ. ბროსეს, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსის დახასიათება: „ჩვენი წარსულის დაუღალავმა მკვლევარმა, აკადემიკოსმა მ. ბროსემ, რომლის ყურადღება



განსაკუთრებით მიქცეული იყო ქართული დასტორიო მწერლობისაკენ, საკმაო ღვაწლი დასდო საზოგადოდ მწერლობის ისტორიის დამუშავება-საც, იმდენად, რასაკვირველია, რამდენადაც ეს მის დროს შესაძლებელი იყო. ბროსე გულმოდგი-ნედ კრებდა და აქვეყნებდა ცნობებს ხელნაწერე-ბის შესახებ, მათ მინაწერებს. მან თარგმნა და ეპ-რობელთათვის ხელმისაწვდომი გახადა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ძეგლი ქართული მწერლობისა. მანვე მოგვცა პირველი სისტემატური ნუსხა ყვე-ლა, მის დრომდე ცნობილ სასულიერო მწერლო-ბის ნაწარმოებთა...“.³¹

ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საქ-მეში მ. ბროსეს დამსახურება გამოკვლეული აქვს არნ. ჩიქობავას³² და უფრო ადრე, ალ. ცაგარელს.³³ თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს მეც-ნიერულ ურთიერთობას მიეძღვნა შ. მესხიასა³⁴ და გ. შარაძის³⁵ მონოგრაფიები, ხოლო დიმიტრი ბაქრაძესთან ფრანგი მეცნიერის თანამშრომლობა ასახული აქვს თავის გამოკვლევაში მ. დუმბაძეს,³⁶ პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის შექმ-ნაში მ. ბროსეს ღვაწლი აღნუსხა ნ. მახათაძემ,³⁷ კ. კინწურაშვილი კი თავის შრომებში ეხება და-ვით ჩუბინაშვილის, ალ. ცაგარლისა და მარი ბრო-სეს ერთობლივ მუშაობას.³⁸

1962 წელს გამოქვეყნდა რ. დოდაშვილის სა-გულისხმო შრომა „მარი ბროსე ქართული მწერ-ლობის მკვლევარი“,³⁹ რომელსაც ადრე მ. ბრო-

სეზე სხვა საინტერესო წერილებიც პქონდა 
ბეჭდილი.⁴⁰

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგ
თაძის მრავალწლიანი მუშაობა მარი ბროსეს
ცხოვრებისა და მეცნიერული, კერძოდ, ისტორიო-
გრაფიული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.
წინასწარ გამოქვეყნებული რამდენიმე წერილის⁴¹
შემდეგ, ზედიზედ ქართულ და რუსულ ენებზე
გამოქვეყნდა მისი მონოგრაფიული გამოკვლევა.⁴²

ბევრი გაკეთდა ლენინგრადში დაცული მარი
ბროსეს არქივის შესწავლისა, და საერთოდ, სა-
აზიო მუზეუმში მ. ბროსეს მოღვაწეობის გასაშუ-
ქებლად. ამ მხრივ, აღსანიშნავია ალ. კობახიძის,⁴³
რ. ორბელის,⁴⁴ საურმაგ კაკაბაძის,⁴⁵ ო. ლივიტო-
ვას,⁴⁶ ა. ბაზიანცის, ი. კუზნეცოვისა და ა. კულა-
გინას⁴⁷ ნაშრომები. მაგრამ განსაკუთრებით მწვა-
ვედ იგრძნობა ნაკლი, რაც გამოწვეულია რ. ორბე-
ლის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ II
ტომის გამოუცემლობის გამო, რომელშიც შესუ-
ლია აღწერილობანი ქართული ლიტერატურის
ძეგლებისა, მათ შორის, მ. ბროსეს არქივიდან.
ამიტომ რ. ორბელის აღნიშნული ნაშრომის გა-
მოცემა, რომელიც მკვლევარს დიდი ხანია მზად
აქვს გამოსაქვეყნებლად, ჩვენი მეცნიერების გა-
დაუდებელი საქმეა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო სხვა-
დასახვა დროს გამოქვეყნდა ალ. ბარამიძის,⁴⁸
შ. ძიძიგურის,⁴⁹ ალ. კიკვაძის,⁵⁰ გ. ფარულავას⁵¹
არჩ. ბარაშიძის,⁵² გ. მიქაძის,⁵³ კ. გამსახურდიას,⁵⁴

ნ. ბერძენიშვილის,⁵⁵ ო. ტაბაღუას,⁵⁵ ს. თურნა-
ვას,⁵⁷ ს. ხუციშვილის,⁵⁸ კ. სალიას,⁵⁹ ნ. ურზულფე-
სკაიას⁶⁰ და სხვათა წერილები თუ საინტერნაციო
ხასიათის მასალები, რომლებშიც განხილულია
მ. ბროსეს ცხოვრებისა და მეცნიერული შემოქმე-
ების ესა თუ ის საკითხები.

მაგრამ ამჟამად ჩვენი კვლევის მთავარი საგა-
ნია მარი ბროსე, როგორც რუსთველოლოგი; მა-
შასადამე, ჩვენს მიზანს შეადგენს შეძლებისდა-
გვარად წარმოვადგინოთ მარი ბროსეს რუსთვე-
ლოლოგიური ღვაწლი, გავარკვიოთ, რა გააკეთა
მან ამ სფეროში ახალი, რით წასწია მან შოთა
რუსთველისა და მისი უკვდავი პოემის შესწავლის
საქმე.

მარი ბროსეს აღნიშნული მეცნიერული პრო-
ფილის გამოსარკვევად ჩვენზე ადრე საკმაოდ დი-
დი შრომა არის გაწეული.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, ლორან ბროსეს
მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია, რომელშიაც
დაწვრილებით არის აღნუსხული და ანოტირებუ-
ლი მარი ბროსეს როგორც საკუთრივ რუსთვე-
ლოლოგიური ხასიათის შრომები, აგრეთვე, მისი
ყველა ის გამოკვლევა თუ წერილი, სადაც კი ნახ-
სენებია შოთა რუსთველი და მისი „ვეფხის-
ტყაოსანი“.⁶¹

მარი ბროსეს რუსთველოლოგიურ შრომებს
იმოწმებდნენ და შესაფერისად იყენებდნენ რე-
ვოლუციამდელი ავტორები როგორც ჩვენში, ისე
მის ფარგლებს გარეთაც (პ. საველიევი, ო. სენ-



კოვსკი, ი. გალანინი, ლ. ვაისე, ბროკვაუზი, პლ. ურაზელი
სელიანი, ივ. კერესელიძე, ზ. ჭიჭინაძე, ა. წერე-
თელი, ი. ჭყონია, ა. ცაგარელი, მ. ჯანაშვილი,
დ. კარიჭაშვილი, ს. ქვარიანი, სილ. ხუნდაძე...),
მაგრამ გამოჩენილი ფრანგი რუსთველოლოგის
შრომათა ნამდვილი მეცნიერულ-კრიტიკული ათ-
ვისება მაინც საბჭოთა ხელისუფლების პირობებ-
ში მოხდა, როცა რუსთველოლოგია, როგორც მე-
ცნიერება განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე
ავიდა, როცა გენიალური ქართველი პოეტისა და
მისი უკვდავი პოემის შესწავლა კვლევის სრუ-
ლიად ახალ მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და
სიღრმეებს დაემყარა.

ამ მხრივ, აღსანიშნავია კ. კეკელიძის, ალ. ბა-
რამიძის, გ. იმედაშვილის, ს. იორდანიშვილის,
ალ. კობახიძის, ი. ფანცხავას, ს. ყუბანეიშვილის,
ი. მეგრელიძის, ლ. მენაბდის, ს. ცაიშვილის,
ლ. ქუთათელაძის, მ. მამულაშვილის, რ. დოდა-
შვილის, გ. მიქაძის, ნ. მახათაძის, ს. ხუციშვილის,
გ. შარაძის და სხვათა გამოკვლევები, წერილები
თუ საინფორმაციო ხასიათის მასალები, რომლებ-
შიაც თანმიმდევრულად არის აღნუსხული და გა-
ანალიზებული მარი ბროსეს რუსთველოლოგიური
ნააზრევი, ამასთან, მოცემულია მათი კრიტიკული
შეფასების ცდაც. საგანგებო აღნიშვნის ღირსია
აგრეთვე ლ. მენაბდის საერთო რედაქციით გამო-
ცემული კრებული „რუსთველი მსოფლიო ლიტე-
რატურაში“ (I, თბ., 1976), რომელშიც შესულია
მარი ბროსეს ძირითად რუსთველოლოგიურ შრო-

მათა ქართული თარგმანები სათანადო კომენტარი
რებითა და შენიშვნებით.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს მარი
ბროსეს როგორც რუსთველოლოგის მონოგრაფი-
ულად შესწავლას თანამედროვე რუსთველოლო-
გიური მეცნიერების მიღწევათა გათვალისწინე-
ბით.

ნაშრომს წინ უძლვის ახალი მასალებით შევ-
სებული მარი ბროსეს ბიოგრაფიული ეტიუდი და
მისი ქართველოლოგიური მოღვაწეობის ზოგადი
მიმოხილვა, რაც აუცილებელ საჭიროებად ჩავთვა-
ლეთ მარი ბროსეს როგორც რუსთველოლოგის
პროფილის უფრო უკეთ გამოსაკვეთად.

თავი პირველი

მარი ბროსი

(პიოგრაფიული ეტიუდი)*

მარი-ფელისიტე ბროსე დაიბადა 1802 წლის 5 თებერვალს (ძვ. სტილით — 24 იანვარს), პარიზში. მამამისი — ხელმოკლე პარიზელი ვაჭარი ჟან-ფილიპ-ფრანსუა ცენტრალური საფრანგეთის ისტორიული პროვინციების — ორეანისა და ბერრის მხარეში ფართოდ გავრცელებული გვარის წარმომადგენელი იყო, ხოლო დედა — ანანრიეტ ბეკერი ძველ ბრეტანულ კეთილშობილ გვარს ეკუთვნოდა და განსაკუთრებული ღვთის-მოსავობით გამოირჩეოდა.

მომავალი მეცნიერი მისი მშობლების მესამე ვაჟი იყო და ბებიის (დედის მხრიდან), დაჟინებული თხოვნით ახლადშობილს ქალის ორმაგი სახელი-მარია და ფელიცია დაარქვეს, რასაც შემდეგ არაერთხელ უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია თავმოყვარე ჭაბუკი. ამიტომ იყო, რომ სემინარიაში სწავლის დროს მან მამაკაცის სახე-

ლი — ქსავიე მიიმატა და გახდა მარი-ფელიპეტე
ქსავიე ბროსე, რის გამოც იგი ხან იწურებოდა
როგორც მარი-ქსავიე, ხან მარი-ქსავიე-ფელისი-
ტე, ხან კი მხოლოდ ქსავიე ბროსე, ოჯახში კი
დედამისი სენტ-მარის (წმინდა მარიამი) ეძახდა.
საბოლოოდ, ოფიციალურად იგი მაინც მარი ფე-
ლისიტე ბროსე დარჩა, ხოლო რუსეთში გადმოსახ-
ლების შემდეგ მისი სახელი გაგებული იქნა მამა-
კაცის სახელად და იწოდებოდა მარი ივანო-
ვიჩ ბროსე-ღ.

ათი თვისაც არ იქნებოდა მ. ბროსე, რომ 1802
წლის 2 ნოემბერს (ძვ. სტ. 21 ოქტომბერს), სრუ-
ლიად ახალგაზრდა, 24 წლის მამა გარდაეცვალა
(ეს მოხდა იმავე წელს, რა წელსაც მ. ბროსე
დაიბადა). უსახსროდ დარჩენილი წვრილშვილია-
ნი დედა იძულებული გამხდარა ორლეანში, ქმრის
ნათესავებთან ახლოს გადასულიყო საცხოვრებ-
ლად და აქ შვილები სასულიერო სემინარიაში მი-
ებარებინა, თვითონ კი ცოტა ხნის შემდეგ ამი-
ენში გადავიდა და ღვთისმშობლის მონასტერში
მონაზვნად აღიკვეცა, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

ორლეანში მ. ბროსე აბატ მიროს სემინარიაში
სწავლობდა, განსაკუთრებით საფუძვლიანად დაე-
უფლა ბერძნულ და ლათინურ ენებს, რომელთა
ბრწყინვალე ცოდნამ შემდეგში მას დიდად შეუწ-
ყო ხელი შემოქმედებით ასპარეზზე. ლორან
ბროსეს გადმოცემით, თავდაპირველად მისთვის
აქ შეცნიერული მუშაობის ინტერესები გაუღვი-
ძებია აბატ პარიზის.



1816 წელს მიროს სემინარიის დამთავრებრის შემდეგ მ. ბროსე თრლეანიდან კვლავ პარიზს ბრუნდა და წმ. ნიკოლოზის სემინარიასა თუ პარიზის გარეუბნის — ისსის სან-სულპისიენის სემინარიის ფილიალში სრულყოფს თავის ცოდნას თეოლოგიაში, რიტორიკასა და ფილოსოფიაში, ამასთან, სწავლობს ძველ ებრაულ და არაბულ ენებსაც.

ღვთისმოშიში დედის ვედრებით, 1818-1820 წლები მ. ბროსემ, სუსთან ახლოს მონრუჟის იეზუიტთა მონასტერში გაატარა, სადაც იგი მოწილად იყო შემდგარი. მაგრამ აქ მან მეტი ველარ გაძლო და ისევ პარიზს მიაშურა.

სასულიერო კარიერას რომ ზურგი შეაქცია, მ. ბროსემ ხელი მოჰკიდა აღმოსავლურ ფილოლოგიას, ბეჯითად შეუდგა ჩინურის, მანჯურულისა და ტიბეტურის შესწავლას. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სინოლოგი გამხდარიყო. მაგრამ მატერიალურად შევიწროებული ჭაბუკი მეცნიერი იძულებულია კერძო გაკვეთილების მიცემაზე იზრუნოს, რისთვისაც 1821 წლის 24 (12) იანვარს სათანადო გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, პირველდაწყებითი სკოლის რეპეტიტორის ატესტატი მოიპოვა სახალხო განათლების სამეფო საბჭოსაგან. ამავე წლის დეკემბერში კი პარიზის აკადემიის ლიტერატურული ფაკულტეტის საბჭომ მ. ბროსეს მიანიჭა ლიტერატურის ბაკალავრის წოდება. საბაკალავრო გამოცდებზე მ. ბროსეს

განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ძველი ბერძნული ენის შესანიშნავი ცოდნით.

საბულოო საბულოო

თითქოს უკვე მ. ბროსეს ხელს აღარაფერი უშლიდა მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობისთვის, პირიქით, 1822 წელს აკად. სენ-მარტენის ინიციატივით პარიზში დაარსებული სააზიო საზოგადოება მას კვლევა-ძიების ახალ პერსპექტივებს უშლიდა, აღმოსავლეთით გატაცების ახალ იმპულსებს აძლევდა, შავრამ 1822 წლის დამლევს ამიენი დედის სანახავად ჩასული ოცი წლის ჭაბუკი კვლავ იძულებულია ანგარიში გაუწიოს მშობლის ცრემლებს და 1823 წლის 6 იანვარს (ძვ. სტ. 1822 წლის 25 დეკემბერს) ამიენის ეპისკოპოსისაგან ხელდასხმული მ. ბროსე სასულიერო პირი ხდება. მალე იგი ამიენის მახლობლად, სენ-აშოლის სემინარიის მასწავლებლად განაწესეს, სადაც მან მხოლოდ ათიოდე თვე დაჰყო. ბროსე არც აქ ივიწყებს თავის ნამდვილ მოწოდებას, განაგრძობს აღმოსავლეთის ხალხების ენებისა და ისტორიის შესწავლას, შემოდგომაზე კი ტოვებს სენ-აშოლის სემინარიას, ბრუნდება პარიზში და განაგრძობს მუშაობას სინოლოგიაში. ამასთან, ლექციებს ისმენს სახელგანთქმულ „კოლეჟ დე ფრანს“-ში, ისეთი გამოჩენილი მეცნიერებისას, როგორიც იყვნენ ელინისტი აზი, სინოლოგი ჟ. აბელ-რემუზა, აგრეთვე, ებრაისტი ეტიენ კატ-რმერი; არაბისტი ბარონი ა. ი. სილვესტრ დე-სასი და სხვ.

ამ დროს, კლასიკური ენების — ბერძნულისა



და ლათინურის მტკიცე ცოდნა, რაც მ. ბროსე მართვისა
ჯერ კიდევ სემინარიის კედლებში ჰქონდა მრავალი მართვის
ბული, ცნობილ პარიზელ გამომცემელს ფ. დიდოს
აფიქრებინებს, ახალგაზრდა მეცნიერს შესთავა-
ზოს შუასაუკუნეების სასულიერო ლიტერატურის
განთქმული ძეგლის „ქრისტეს მიბაძვის“ ბერძნუ-
ლი ვერსიის ახალი გამოცემა, რომელიც პირვე-
ლად 1615 წელს იყო განხორციელებული და ლა-
რინურ ენაზე თარგმნილი მეირის მიერ. მ. ბრო-
სემ ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ მეტად საპა-
სუხისმგებლო საქმეს და 1824 წელს გამოსცა კი-
დეც იგი. ამ უზარმაზარმა, 650-გვერდიანმა ნაშ-
რომმა იმთავითვე მოწონება დაიმსახურა, ხოლო
ახალგაზრდა მკვლევარს კარგი სახელი მოუხვეჭა.

ამავე გამომცემლის დავალებით, მ. ბროსე შეუდგა ახალი აღთქმის წიგნების ბერძნულ ენა-
ზე მომზადებას. აი, აქ დასჭირდა პირველად მას
სახარების ტექსტის ზოგიერთი ადგილის დასა-
ზუსტებლად და გასამართავად ქართული და სომ-
ხური თარგმანების მოხმობა-გამოყენება და შესა-
ბამისად, ქართული და სომხური ენების ცოდნა
(ამის შესახებ ქვემოთ). აღნიშნული შრომა
მ. ბროსემ რამდენიმე წლის შემდეგ დაასრულა და
1831 წელს პარიზში გამოსცა 2 ტომად: „ახალი
აღთქმა“, პარიზი, 1831.

სახელგანთქმულ სინოლოგს ჟ. აბელ-რემუზას
მ. ბროსე-ჯერ კიდევ 1823 წლის ოქტომბერში გა-
ეცნო თავისი მეგობრის ბარონ ვალკენერის მე-
შვეობით და მისი ხელმძღვანელობით შეუდგა ძვე-



ლი ჩინური პოეზიის ცნობილი ძეგლის „შემდეგისას“ შესწავლას, რომლის გარშემო მან შემდეგის
რამდენიმე ნაშრომიც გამოაქვეყნა (1828, 1833 წ.წ.).

ახალგაზრდა მეცნიერის შრომა და მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა: 1825 წლის 7 თებერვალს (ძვ. სტ. 26 იანვარს) მარი ბროსე პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად აირჩიეს. ამან მას გზა გაუხსნა ახალი მეცნიერული სამყაროსაკენ — ქართველოლოგისა და არმენოლოგისაკენ.

* * *

1826 წლის ბოლოს მ. ბროსემ თავი მიანება სინოლოგიას, დაწვა და გაანადგურა თავისი ხელნაწერი შრომები ძველ ჩინურ პოეზიაში, ლ. ბროსეს ცნობით, მას კავშირი გაუწყვეტია კიდეც თავის მეცნიერ-ხელმძღვანელთან სინოლოგიაში აკად. აბელ-რემუზასთან (თუმცა შემდეგში მათ შორის კვლავ აღდგა კეთილგანწყობილი ურთიერთობა).

რ. დოდაშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ჩინური ენისა და ლიტერატურის შესწავლის მძიმე გზიდან ბროსე ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის მეტად მძიმე გზას დაადგა და ჩინური იეროგლიფები შესცვალა ქართული დამწერლობით, რომელიც ამ დროს საფრანგეთში ჩინურ იეროგლიფებზე უფრო უცხო იყო“.⁶²

საქართველოთი და ქართული ენით ახალგაზრ-

და მ. ბროსე პირველად ცნობილმა ორიენტალისტმა, აკად. ანტუან ჟან სენ-მარტენმა (1791-1832) დაინტერესა: „... მან შთამაგონა თუ როგორ შემესწავლა საქართველოს ისტორია, მაწვდიდა ყველაფერს, რაც კი გააჩნდა: წიგნებსა და ლოკუმენტებს ქართული ენის შესახებ...“⁶³

სენ-მარტენს ჯერ კიდევ 1819 წელს გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ ნაშრომში⁶⁴ დამოწმებული ჰქონდა ცნობილი რუსი მეცნიერის ევგენი ბოლხოვიტინოვის (1767—1837) შრომა საქართველოს შესახებ: «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном состояниях, СПБ, 1802» რომელსაც იგი იცნობდა ფ. შმიდტისეული გერმანული თარგმანისა (რიგა-ლაიფციგი, 1804) და მაღატ-ბრენის ვრცელი ფრანგული რეცენზიისა და ანოტაციის (პარიზი, 1810)⁶⁵ მიხედვით. ეტყობა, მან ახალგაზრდა კოლეგას ურჩია გაეცნო ე. ბოლხოვიტინოვის ეს წიგნი და როგორც შემდეგ მ. ბროსე იგონებდა, სწორედ ე. ბოლხოვიტინოვის ამ წიგნმა აღუძრა მას ინტერესი საქართველოსადმი.⁶⁶

მ. ბროსე ცდილობს საფუძვლიანად შეისწავლოს ქართული ენა, ეცნობა მანამდე არსებულ ეპროპულ ქართველოლოგიურ ლიტერატურას (პაოლინი, მაჯიო, კლაპროტი...), ფირალოვისა და გაიოზის გრამატიკულ-ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებს, პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს (ვახტანგ VI-ის სამართლის კრებული, ვაფხისტყაოსანი, ქართული ქრო-

ნიკა, ბიბლიური წიგნები...), ჯერ კიდევ მეტად ნულ სახარებაზე მუშაობისას (1824 წელს დაიწყო მასზე მუშაობა) შეისწავლა და გამოიყენა ბაქარის ქართული ბიბლიის (მოსკოვი, 1743 წ.) ტექსტი. და აი, უკვე 1827 წლიდან იწყება მარი ბროსეს ნაყოფიერი ქართველოლოგიური მუშაობის ხანა, და საერთოდ, ევროპაში ქართველოლოგიის როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბების ახალი ეტაპი.

ახალგაზრდა მეცნიერის ახალ აღიარებას მოწმობს 1829 წელს ორლეანის „მეცნიერების, სიტყვაკაზმული მწერლობისა და ხელოვნების საზოგადოების“ წევრ-კორესპონდენტად მ. ბროსეს არჩევა.

1830 წელს ახალგაზრდა ფრანგმა ქართველოლოგმა მწვავედ იგრძნო საქართველოში ჩამოსვლის აუცილებლობა, რომ უფრო ახლოს გასცნობოდა მისთვის სანეტიარო ქვეყანასა და ხალხს, მის წარსულსა და აწმყოს, კულტურას, ისტორიულ ძეგლებს, ძველ ხელნაწერებს... იგი თხოვნით მიმართავს საფრანგეთის მთავრობას საქართველოში მეცნიერული მივლინებისა და რუსეთის მთავრობისაგან სათანადო ნებართვის გამოთხოვის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპეჩირონმა მ. ბროსესაგან მოითხოვა მივლინების დასაბუთებული გეგმა. მ. ბროსემაც არ დააყოვნა: იგი თხოვლობდა ოთხწლიან მივლინებას. აქედან ერთი წელი უნდა მოხმარებოდა მოსკოვსა და პეტერბურგში დაცულ ქართულ სიძველეთა შეს-

წავლას, ხოლო სამი წელი — უშუალოდ საქართველოში ყოფნას, ხოლო სამშობლოში უკან ბრუნებას კონსტანტინოპოლის გზით ვარაუდობდა. საფრანგეთის აკადემიის სპეციალურმა კომისიამ აკადემიკოსების — სენმარტენის, აბელ-რემუზასა და სილვესტრ დე სასის შემადგენლობით მოიწონა ეს გეგმა და თავის მხრით აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მის განსახილველად და დასაკმაყოფილებლად, მაგრამ 1830 წლის ივლისის რევოლუციამ შარლ X-ის მთავრობა, და მათ შორის, მინისტრი დე პეირონე დაამხო და ამგვარად, მ. ბროსეს ეს გეგმაც ჩაიფუშა...

მ. ბროსეს გული მაინც არ გაუტეხია: ამ ხანებში პეტერბურგში მოღვაწეობდა ბროსეს თანამემამულე, პეტერბურგის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის პროფესორი, შემდეგში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფრანც შარმუა (1793-1865), რომელმაც იგი სახელგანთქმულ ქართველ მეცნიერთან — თეიმურაზ ბაგრატიონთან დააკავშირა. კერძოდ, 1829 წელს შარმუა, ეტყობა, სამშობლოში ყოფილა ჩასული, საიდანაც მას პეტერბურგში წამოულია ფრანგი ქართველოლოგის ნაშრომები და 1829 წლის 30 აპრილს⁶⁷ ბროსეს მიერ პარიზში ქართულ ენაზე დაწერილი ბარათი თეიმურაზ ბაგრატიონისადმი, რომელშიც ახალგაზრდა ფრანგი სწავლული მეცნიერულ ხელმძღვანელობას სთხოვდა ქართველ ბატონიშვილს; მართალია, მ. ბროსეს ამ წერილს 3. გურამ შარაძე

ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ შემორჩენილია
მასზე თეიმურაზის მიერ 1830 წლის 18 ივნისს
მიწერილი პასუხი, რომელშიაც იგი აღჭურდება
გამოთქვამს მ. ბროსეს ნაშრომისა და ქართული
ენის ცოდნის გამო, ამასთან, დახშარებისათვის
სრულ მზადყოფნას უცხადებს: „მრავლისა მხია-
რულებითა აღივსო გული ჩემი, ვინადგან, პი-
რულად მე მივიღე შრომილი შენი და ეგრეთვე
წიგნი მოწერილი ბუნებითსა ენასა ზედა ჩუცნა
ქართულსა, რომელმანცა განმაკვირვა მე დიდად...
სრულიად ევროპისა სწავლულთა შორის, აწ შენ
იწყე პირულად, და თვინიერ მოძღვრისა და მას-
წავლებლისა მხოლოდ თავით თვისით მშრომელი
მიიწიე ესეოდენსა საზომსა ქართულისა ენისა
და წერილისა სწავლისასა... მე მოსწრაფე ვარ და
უეჭველად დიდისა კმაყოფილებითა მზა ვარ... ვი-
თარცა მოყუარესა მამულისა ენისა ჩემისასა, მე
თვთ გექმნები შენ თანამოსაუბრე, ესე იგი კორ-
რესპონდენტი ზოგად ყოველთავე ძველთა და
ახალთა საეკლესიოთა გინა საეროთა და სამოქა-
ლაქოთა კელოვნებათა ჩუცნისა სწავლისათა ხედ-
ვითისა, ესე იგი სათეორიოსა და საქმითისა, ესე
იგი საპრაქტიკოსა ქართულისა ენისა და წერილო-
ბათა ზედმიწევნილებისათვს... ხოლო წიგნი ქარ-
თულნი, თუ რომელიმე რაცცა და რომელსაცა
ჟამსა საჭირო იქმნების და მოითხოვთ, გულსმოდ-
გინე ვიქმნები თქუცნთვის მოპოვებად მათდა“.⁶⁸

მართლაც, როგორც მომავალმა დაგვანახა, თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს ურთი-

ერთობა სამაგალითო მეცნიერულ თანამშრომლობასა და მეგობრობაში გადაიზარდა, რამაც დიდოფლიული შეუწყო ხელი ქართველოლოგიური მეცნიერების შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.⁶⁹

საგულისხმოა, რომ მარი ბროსე ქართველოლოგიაში თავის თავს ყოველთვის თეიმურაზ ბაგრატიონის მოწაფედ აღიარებდა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1837 წლის 29 დეკემბერს (ძვ. სტ.) სიამაყის გრძნობით აცხადებდა: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვსთქვა თეიმურაზ ბატონიშვილის სახელი, რომელშიაც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონიერსა და ვრცელ მეცნიერებასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს სულიერ საზრდოს, რომლის მიზანი არის თავისი შრომით უკვდავჭყოს ხსენება თავისი ერისა, რომლის მდაბალ მოწაფედ, სვინდის ქვეშ უნდა ვთქვა, აღვიარებ ჩემს თავს“,⁷⁰ ხოლო 1846 წლის 29 ოქტომბერს, თეიმურაზ ბაგრატიონის დასაფლავებაზე მ. ბროსეს ქართულ ენაზე წარმოუთქვამს მხურვალე სიტყვა, რომელშიც თეიმურაზის პიროვნებისა და მთელი მისი შეგნებული ცხოვრების დახასიათებასთან ერთად, აღნიშნავდა (სტილი დაცულია): „... აროდეს არ დაივიწყა ბატონის შვილმა თეიმურაზმა მამულის სიყვარული. თუმცა დროთა ვითარებისა ძლით ექსორიაქმნილი, განშორებული საქართველომდამ, ამაზე ფიქრობდა მარადო — როგორ აღადგინოს სახელი თავის

ხალხისა და ქვეყანისა: ღილითგან საღამომდინ
მკითხველი საქართველოს მატიანეთა, ასეული მარტინ
ლა ძველი ისტორია და სიტყვიერება მისი, რომ
ახლანდელს დროს ამისთანა მეცნიერებაში არ
იპოება სწორი მისი. არა მხოლოდ კითხამდა ქარ-
თულნი წიგნები (!), თვით გადასწერდა, შეასწო-
რებდა უცხო წიგნებსა თანა, თავისი აზრები (!)
წერილით დაამტკიცებდა. ჩანს, რაც მასზე დაკი-
დებული (!) იყო, უნდოდა სიკუდილს უკან დაე-
ტევა საყოველთაო სამარადისო მოსახსენებელი
თავის მამულისა.

ამის ძლით მეცა მომიხუდა ბედნიერად ნაცნო-
ბობა თეიმურაზ ბატონიშვილთან. ქართულის ენი-
სა მოთხრობათა და სიტყვიერებათა მეძიებელი
უცხო ქვეყანაში მყოფი, როგორ ვესავდი შოვნად
ამისთანა მაღლისა და მეცნიერის შემწისა და
მოძღვრისა! განა თუ როგორმე მოვას-
წარი და წინ წარვემართე საქარ-
თველოს სწავლაში, თუ როგორმე
მოეწონათ ქართველთა ბეჭითო-
ბისა ჩემისა მცირედა ნაყოფი,
გაღვიარები მაღლის კმით ვემოწ-
მები: ამისი მოვალე ვარ ბატონი-
შვილის თეიმურაზისა სწავლისა...⁷¹

მ. ბროსეს მიერ პარიზიდან პეტერბურგში
1829-30 წწ. თეიმურაზ ბაგრატიონთან მეცნიერუ-
ლი კონტაქტის დამყარებას ზედ დაერთო 1831
წელს კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის დედა-
ქალაქში თავშესაფრის საძებნელად იმერეთის მე-



ფის სოლომონ II-ის ძმის შვილების — ვახტაგ და გიორგი სა და ტარიელის ჩავლა, რომლებიც სამშობლოდან იყვნენ გადახვეწილნი იმერეთის 1820 წლის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ. თეიმურაზი დაინტერესებულია იმერელი ბატონიშვილების ბედით: „გთხოვთ უსაკუთრესად ეგ ჩვენნი მოძმენი კაცი, რომელნიცა შანდ მოსულან... ძმებრივის სიყვარულით მომიკითხოთ და მაგათი ვითარება მაცნობოთ, როგორ არიან მიღებული და ან როგორ იქცევიან. ეცადნენ, რომ კარგი და პატიოსანი ყოფაქცევა აჩვენონ მანდაურს საზოგადოებას და სწავლასაც ეცადნენ“, — წერილები, გვ. 13). მართლაც, მ. ბრონე ახლო ურთიერთობაშია ლტოლვილ ბაგრატიონებთან და მეგობრობდა მათ, ყოველი ღონით ცდილობს ქართველი ბატონიშვილების დახმარებით სრულყოს ქართული ენის ცოდნა. ამავე დროს გაეცნო მ. ბროსე ეგვიპტის ფაშას მოხელის მიერ პარიზში სასწავლად გამოგზავნილ იოსებ წილოსანს, რომელსაც საინტერესო ცხოვრების გზა ჰქონდა გამოვლილი: საქმე ისაა, რომ იოსებ ლაზარეს ძე წილოსანი (1804—1873) ოსმალთა აგენტებმა გაიტაცეს გურიიდან და კაიროში მიჰყიდეს ეგვიპტის ფაშას ერთ-ერთ უმდიდრეს მოხელეს. მირახორ-მაპომედ აღას ქართველი ჭაბუკი იმდენად მოსწონებია, რომ ერთადერთი ასულის სეით-ზეინაბის საქმროდ და თავისი უზარმაზარი ქონების მემკვიდრედ დაუმტკიცებია. შესანიშნავი აღმოსავლური განათლების მიღების შემდეგ იო-



სებ წილოსანი სწავლის გასაგრძელებლად მართვაში რიზს გაუგზავნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში მას ბრწყინვალე კარიერა და უმდიდრესი მემკვიდრეობა ელოდა, ქართველ ვაჟკაცს გული მაინც სამშობლოსაკენ მოუწევდა. საბოლოოდ საქართველოში ჩამოვიდა და ოღმოსავლური ენების ცოდნა გამოიყენა რამდენიმე სახელმძღვანელოსა და სასაუბროს შესაქმნელად.⁷²

ამასობაში მ. ბროსეს პირადი ცხოვრებაც აეწყო: 1830 წელს მან ცოლად შეირთო მარია-ავგუსტა-ვიქტორია შელი (როგორც ცნობილია, მ. ბროსემ პირველად 1826 წელს იქორწინა, მაგრამ პირველი მეუღლე მალე გარდაეცვალა), რომელთანაც სამი შვილი შეეძინა: ლორანი (დაიბ. 1831 წ.), ანრიეტა (დაიბ. 1832 წ.) და მარია (დაიბ. 1834).⁷³

ოჯახზე ზრუნვა მ. ბროსეს აიძულებს მატერიალურ შემოსავალსა და მუდმივ სამსახურზე იფიქროს, მაგრამ მას ზედიზედ უარს ეუბნებიან ჯერ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარის თანაშემწის, მერე კი კორექტორის თანამდებობაზედაც კი. ბოლოს იგი სამეფო სტამბის ასოთამწყობად დაუნიშნავთ. ბროსე ყველაფერს ითმენს, ყოველგვარ გაჭირვებასა და დამცირებას იტანს, ოღონდ თავის საყვარელ საქმეს არ მოსწყვიტონ, ქართველობიგიურ შუშაობას თავი არ დაანებოს. მას ამ საქმეში, მართალია, შორიდან, მაგრამ სულიერად მაინც მუდამ გვერდში უდგას თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც ამარაგებს წიგნებით, ხელ-



ნაწერებით, ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის ცნობებით და თანაც, გამხნევებასთან ერთად, ყოველთვის მეცნიერული სიზუსტისკენ მოუწოდებს და აფრთხილებს: „ეგრეთ დააბეჭდინე, რომ ან მე და ან თქვენ არავინ დაგვზრახოს, რომ ფრთხილნი არ არიან ლიტერატურაში“ (წერილები, გვ. 24), ან კიდევ: „რომელსაც ვერ მიხვდე, მკითხე, რომ ტყუილები არ ჩაგვიწერო, თორემ სირცხვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამცინებენ, აი, ამისთანა შაგირდი გყავსო“ (იქვე, გვ. 31).

1834 წელს კვლავ გაჩნდა საქართველოში ჩამოსვლის იმედის ნაპერწკალი: საფრანგეთის ახალმა სახალხო განათლების მინისტრმა, ცნობილმა ისტორიკოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ფ. პ. გ. გიზომ მ. ბროსეს თხოვნა ამის თაობაზე განსახილველად კვლავ აკადემიას გადასცა. სპეციალურმა კომისიაშ აკადემიის წევრების — ე. კატრმერის, ა. ჟობერისა და ე. ბურნუფის შემადგენლობით 1834 წლის 14 თებერვალს მოიწონა მ. ბროსეს მივლინების გეგმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკა იზინიმ თითქოს ყველაფერი იღონა მ. ბროსეს წამოსასვლელად, ხოლო გახარებულ თეიმურაზ ბაგრატიონს ბროსესთვის საქართველოში მეგზურად გამოსაყოლად იმ ხანად პეტერბურგში მყოფი სამეგრელოს მთავრის შვილი დავით დადიანიც კი ჰყოლია გამზადებული, მაგრამ ამ განზრახვას განხორციელება ამჯერადაც არ ეწერა: რუსეთის მთავრობამ ბროსეს გიზაზე უარი უთხრა. ამის მიზეზი გახლდათ



საქართველოში 1832 წლის ცნობილი შეკმუდნების გამეღავნება და რუსეთის ხელისუფლების მიერ ბროსეზე ეჭვის მიტანა. ნესელროდე საიდუმლოდ სწერდა ბარონ როზენს: „პარიზიდან მიღებული ცნობის თანახმად... ვინმე ბროსეს განზრახული ჰქონია საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით საქართველოში ვითომდა სამეცნიერო მოგზაურობა, რომლის ნამდვილი მიზანია ამ ქვეყნებში არეულობის თესლის მობნევა და ჯაშუშური მოღვაწეობა... მ. ბროსემ რამდენიმე წლის წინეთ დაიწყო სანკტპეტერბურგში მცხოვრებ თეისურაზ ბატონიშვილთან მიმოწერა, ის ურთიერთობაშია აგრეთვე იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონის ძალისწულებთან — ვახტანგთან და ტარიელთან“.⁷⁴ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ თეისურაზისა და ბროსეს ნაცნობი იყო თბილისის ყოფილი საფრანგეთის საკონსულოს მდივანი ვ. ლეტელიე, რომელიც გარეული აღმოჩნდა 1832 წლის შეთქმულებაში. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ამის თაობაზე შ. ხანთაძე, „რა თქმა უნდა, ეს ეჭვი სრულიად უსაფუძვლო იყო, ბროსეს ურთიერთობაში ქართველ ბატონიშვილებთან არავითარი პოლიტიკური მიზნები არ ისახებოდა. მისი ინტერესები წმინდა მეცნიერული იყო“.⁷⁵ ამგვარად, ნაკლებად სარწმუნო უნდა იყოს გ. გოზალიშვილის ვარაუდი: „ახლად აღმოჩენილი მასალები ადასტურებენ, რომ ბროსეს ქართველთა შეთქმულებაში ერთგვარი მონაწილეობა მართლაც

უნდა პქონოდა“,⁷⁶ რომელსაც, როგორც იზიარებს შ. მესხია⁷⁷.

საბოლოოდ, მარი ბროსეს ოცნება მაინც აუხდა: 1835 წელს პეტერბურგიდან სამშობლოში ავადმყოფობის გამო სამკურნალოდ დაბრუნდა ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ფრანც შარმუა, რითაც საიმპერატორო აკადემიაში განთავისუფლდა აღმოსავლეთმცოდნის აღგილი. აკადემიკოსების — ქ. ფრენისა და ფ. შარმუას რჩევითა და სილვესტრ დე-სასის რეკომენდაციით, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გრაფმა ს. უვაროვმა ამ აღგილის დასაკავებლად მოიწვია მ. ბროსე.⁷⁸

მართლაც, 1836 წლის 14 (2) დეკემბერს მარი ბროსე აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღიუნქტიდ, რაც იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დაამტკიცა 1837 წლის 7 აპრილს (26 მარტს), ბროსეს კი მოწვევა და სამგზავრო ფული გაეგზავნა.

1837 წლის 18 ივნისს (27 მაისს) მარი ბროსე თავისი ოჯახით (მეუღლითა და სამი შვილით) პეტერბურგში ჩამოვიდა. მ. ბროსეს ცხოვრებაში, კერძოდ, მის ქართველოლოგიურ მუშაობაში ახალი ხანა დაიწყო, მის წინ მოღვაწეობის ახალი ფართო ასპარეზი გადაიშალა.

პირველ რიგში, თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს შორეული მეგობრობა და მიწერ-მოწერით ნაცნობობა უკვე ახლო პირად მეცნიერულ

ურთიერთობასა და ნათესაობაშიც გადამტკიცებულია
 (მარი ბროსეს ვაჟი — ლორან ბროსე, შემდეგში
 ცნობილი მეცნიერი-ბიბლიოგრაფი, თეიმურაზის
 მონათლული იყო). ამას გარდა მ. ბროსემ კონ-
 ტაქტები დამყარა პეტერბურგისა და მოსკოვის
 ქართული კოლონიების წევრებთან, რომელთაგან
 ბევრი ცნობილი მწიგნობარი გახლდათ (ბაგრატ
 ბაგრატიონი, ზაქარია ფალავანდიშვილი, გიორგი
 ავალიშვილი, პეტრე ქებაძე, სვიმონ ტაბიძე...),
 მათგან სამაგალითო იყო მარი ბროსესა და დავით
 ჩუბინაშვილის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მე-
 ცნიერული თანამშრომლობა, აგრეთვე, გაიჩინა
 მეცნიერი კორესპონდენტები საქართველოშიაც
 (ჯერ პლატონ იოსელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკო-
 ლოზ ქუთათელაძე, ნიკოლოზ ფალავანდიშვილი,
 დავით დადიანი, მიხ. ბარათაშვილი, სულხან ბა-
 რათაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, მოგვი-
 ანებით — დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი, დი-
 მიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, იობ ცისკა-
 რიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე...).⁷⁹

ამასთან, როგორც ჩანს, თითქოს მ. ბროსეს-
 თან ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ჩვენს პოეტს
 ნიკოლოზ ბარათაშვილსაც.⁸⁰ მათი საშუალებით
 მ. ბროსე ეცნობა, ხშირად კიდევ იძენს კიდეც
 ძველ ქართულ ხელნაწერებს, ნაბეჭდ წიგნებს,
 ნუმიზმატიკურ და ეპიგრაფიკულ ძეგლებს და
 სხვ., ხოლო როცა ეს არ ხერხდება, თვითონ, ან
 მისი დავალებით სხვებიც, ამზადებენ მისთვის სა-
 ინტერესო ნუსხათა ასლებს, წარწერათა გადმონა-

წერებს და ა. შ. პეტერბურგის მეცნიერებათა განვითარების დემინის სტამბაში მ. ბროსეს ენერგიული ჩარევით და თეიმურაზ ბატონიშვილის კონსულტაციით ჩამოისხა ქართული შრიფტის ახალი სახეობები...⁸¹

მ. ბროსეს პეტერბურგში ჩამოსვლამ და ქართველობიური მუშაობის გაშლამ აღტაცება და სულიერი გამხნევება გამოიწვია ქართლის ბედით დაინტერესებულ მოწინავე ქართველ ახალგაზრდობაში. ზაქარია ფალავანდიშვილი 1838 წელს სწერდა მარი ბროსეს: „ჩვენ ყოველთა ივერთა გვძევსთ თქვენი ვალი, ვგრძნობთ ამას, მაგრამ არ ვიცით, როგორ გადავსწყვეტ“, და კიდევ: „ერწმუნეთ ქართველების წრფელ ერთგულებას, ვისაც კი რამე ესმის“,⁸² ხოლო პლ. იოსელიანი იმავე 1838 წელს ფრანგი ქართველოლოგის საქმიანობას „ახალი დიდი ეპოქის დასაბამს“ უწოდებს, რაც აღაფრთოვანებს მშობლიური კულტურის სამსახურისთვის: „განიღვიძა საუკუნობითი დუმილისაგან საქართველოს ძველმა და პირველუამითმა დიდებამ“, და რომ, „განვლო დუმილმან საუკუნეთა და გონებათა განიღვიძეს დასაბამად ამა დიდისა ეპოხისა, ვიტყვი პირუთვნებელად, გამოსჩნდით თქვენ. რასა იქმოდიან ქართველნი, ვისა განაკვირვებდენ მწერლობასა თვისსა და რომელთა ნაყოფთა მწერლობისათა ბერძენთა და რომაელთა შორის შეაფარდებდენ თვისთა წერილთა, უკეთუ არა გამოსჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი თვით ევროპასა შინა? აქა არს პირველი სიქადული ქართველთა და იმედი შემდგო-

მაღისა ყურადღებისაცა, რომელს მოიღება და განვითაროს
ლებული კერძო ქვეყანისა!.. აწ ყოველზოგებულ
თუელსა აქშეს მოვალეობა, რათა ძალისაებრ თვი-
სისა შეეწეოდეს საზოგადოსა ზრუნვასა აღდგე-
ნისათვის დაცემულისა სიტყვიერებისა და მწერ-
ლობისა ჩუქუნისა“.⁸³

მ. ბროსე ინტენსიურად კითხულობს და ბეჭ-
დავს თავის ახალ შრომებს პეტერბურგის მეცნიე-
რებათა აკადემიაში, ამასთან, დაიწყო საჯარო
ლექციების კითხვა ქართველოლოგიის პრობლე-
მებზე აკადემიის გარდა, პეტერბურგის უნივერსი-
ტეტიაც, რომლის პროფესორად იგი წლების მან-
ძილზე ითვლებოდა,⁸⁴ ხოლო ქართული სიძველე-
ების შესწავლის მიზნით ორჯერ (1838 წ., 1944 წ.)
იყო სამეცნიერო მივლინებით მოსკოვში; იტა-
ლიაში სამკურნალოდ ყოფნის (1845 წ.) შემდეგ,
1846 წლიდან კი ენერგიულად შეუდგა საქარ-
თველოში ჩამოსვლის ოცნების განხორციელებას,
რომ ბოლოს და ბოლოს ეხილა, ი. მეუნარგიას გა-
მოქმა რომ გავიმეოროთ, „თავისი აღთქმის ქვე-
ყანა“!

მართლაც, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენ-
ტის გრაფ ს. უვაროვისა და აკად. ქრ. ფრენის
ხელშეწყობით, აგრეთვე, კავკასიის მეფისნაცვალ
გრაფ მ. ს. ვორონცოვის დახმარებით 1847 წლის
31 აგვისტოს მ. ბროსე თბილისში ჩამოვიდა. და-
ახლოებით ერთი წლის განმავლობაში მან მოიარა
თითქმის მთელი საქართველო, მისი თითქმის ყვე-
ლა კუთხე, იყო სომხეთშიც.⁸⁵



საქართველოში მგზავრობისას მ. ბროსეს ფან
ახლდა მისი მეგობარი ორიენტალისტი ნიკოლა შემოგადის
ხანიკოვი, რომელიც ამ დროს კავკასიის დიპლო-
მატიური მისიის ატაშედ მსახურობდა, აგრეთვე,
სხვადასხვა ადგილას მას მეგზურობას და მასპინ-
ძლობას უწევდნენ პლატონ იოსელიანი, გიორგი
ერისთავი, რაფიელ ერისთავი, დავით და ეკატე-
რინე დადიანები, გიორგი შერვაშიძე, ნიკოლოზ
ქუთათელაძე, გიორგი გამრეკელი, თადეოზ გუ-
რამიშვილი (ილია ჭავჭავაძის მომავალი სიმამ-
რი), მიხეილ და სულხან ბარათაშვილები, ქრის-
ტეფორე მამაცაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცე-
სიშვილი, ივანე მაჭავარიანი, დავით და დიმიტრი
ერისთავები...

ქართველმა ხალხმაც თავის მხრით დიდი სი-
ყვარული და პატივისცემა გამოუცხადა უცხოელ
მეგობარს. შემორჩენილია 1848 წლის 30 მარტს
გორგი მ. ბროსესთან შეხვედრის ამსახველი მასა-
ლები და ამ შეხვედრაზე ცნობილი ქართველი
დრამატურგის გიორგი ერისთავისა და მარი ბრო-
სეს მიერ წარმოთქმული სიტყვები.

გიორგი ერისთავს ასე მიუმართავს სტუმრის-
თვის: „უფალო ბროსეტ! იმა დრომთვან, ოდეს
ივერთა მოესმათ მაღალნი შრომანი თქუცნნი გან-
სასწავლებლად ჩუცნის ენისა და ქუცყანისა არ-
ხიოლოგიურის და ისტორიულის მხრით, უმწვერ-
ვალეს სურვილად ჩუცნდა იყო გვეხილეთ თქუცნ
მამულსა შინა ჩუცნსა, რათამცა გამოგვეცხადებინა
თქუცნთვის მაღლობა ჩუცნი! გულითადი სურვი-

ლი ჩუმნი აღსრულდა! თქუმნ გხედავთ ჟაშუათ
ჩუმნსა!

უფალო ბროსსეტ! უტევე ფიალა საჭხავისუსა
იყოს წინდად ჩუმნისა უღრმესის თქუმნდამი პა-
ტივისცემისა და ესე არს ხმა ერთობრივ ჩუმნთა
მემამულეთა! ხსოვა შენი გარდავალს ჩუმნ
შვლითი შვლამდე და იგინი პატიოსნებით წარ-
მოსოქვამენ შენსა საჯელსა.

უფალნო! დავლიოთ სადღეგრძელო უფლის
ბროსსეტისა, რომელსა უყვარს ენა რუსთაველი-
სა, პეტრიწისა და ხონელისა, და რომელიცა აც-
ნობებს ამა ენასა განათლებულთა ერსა, მხარესა
და ქუცყანასა“.

აი, მ. ბროსეს სიტყვა: „უფალნო თავად-აზ-
ნაურნო და ყოველნო გორის კეთილშობილნო!
გულითად ვგრძნობ და დიდათ მაღლობელი ვარ
მოწყალებისა თქუმნისა და პატივისცემისათვს,
რომელი გიჩუმნებიათ ჩემდა: მარამ მე ისეთი
ამპარტავანი არა ვარ, რომ თავსა ჩემსა მივაჩემო
ასეთი პატივით მიღება თქუმნ მიერ. მე ასე დარ-
წმუნებული ვარ, რომელ ამ აზრად მოგიყვანესთ
მეცნიერების სურვილმა და მამულის სიყვარულმა,
იმისთვის ღმერთმან ინება აღმირჩია მე, უღირსი,
საქართულოს ლიტერატურისა განმაღვძებლად.
რა შემეძლო თვინიერ შეწევნისა.

დრო იყო, ოდეს ყვავილობდა საქართულოში
ჰსწავლა და კელოვნებათა წადილი, უნამეტნავე-
სად ბაგრატ შესამიღვან დაწყებული ვიდრე მონ-
გოლების დრომდე, სამი საუკუნე გავიდა ძლიერი

და საქელ-განთქმული იყო საქართულოს ხალხი
და შეფობა მათი. მას შემდგომად დროთა კომისარი
რებისა გამო ასე შესწუხდა და დამცირდა საქარ-
თულო ოსმალთა და სპარსთა ძალით, ასე დამ-
დაბლდა, რომელ საჭიროდ შეიქნა მოლტოლვი-
ლება რუსეთის მფარველობის ქუმშე...

დაბარებულ ვიყავ რუსეთს მეცნიერებათა
აკადემიაში, გავწესდი ქართულ სიტყვერების და
ძუშლის ცხოვრებისა მეძიებლად, ნეტაი წარმე-
მართოს გზა ჩემი.


... ნუ დაგავიწყდებათ თავად-აზნაურნო, ახლა
მეფობენ ქუცყანაზე და დედოფლობენ ჰელივლა და
კელოვნებანი. თქუცნც ეცადენით, რომ განსწავ-
ლოთ ყმაწვილნი სხუა და სხუა კელობითა. შე-
ეწიენით თავსა თვსსა. ღმერთი არ დაგაკლებსთ
მოწყალებასა თვსსა. შევერთდები თქუცნთანა გუ-
ლითა და მუშაკობითა... განგიმეორებთ მადლობა-
სა, თქუცნ სადღეგრძელოს დავლევ...“.⁸⁶

ჩვენს სამშობლოში თითქმის ერთი წლით
ყოფნისას მ. ბროსემ კიდევ უფრო ახლოს გაიცნო
მისი სათაყვანებელი ქვეყანა და ხალხი, შეკრიბა
დიდძალი საისტორიო და სალიტერატურო მასა-
ლა და 1848 წლის 23 ივლისს თბილისიდან გაემ-
გზავრა. 8 აგვისტოს იგი უკვე პეტერბურგშია და
ახალი ენერგიითა და შთაბეჭდილებებით დატვირ-
თული შეუდგა მოპოვებული მასალების დამუშა-
ვებას, რომელიც მაღლ სამ ტომად გამოაქვეყნა
კიდეც.⁸⁷


იონა მეუნარგიას ცნობით, „შემდეგში ბროსევ

კიდევ იყო საქართველოში და კიდევ ერთ-ჯერ ნა-
ხა ეს აღგილები“,⁸⁸ მაგრამ სახელდობრ უარითდან
მოხდა ეს, ან რა წყაროზეა დამყარებული ეს
ცწობა, ჩვენ არ ვიცით, თუმცა გიორგი წერეთე-
ლი პირდაპირ გვეუბნება: „... იმან ბროსემ ორ-
ჯელ მოიარა საქართველო და სომხეთი თავის
ფეხით — ერთხელ 1848 წელსა და მეორეთ
1851-სა“,⁸⁹ რასაც ივანე გვარამაძეც ემოწმება:
ბროსემ „ორჯერ მოვლო მთელი საქართველო-
სამესხეთო თავის ფეხით...“⁹⁰


მარი ბროსეს სამეცნიერო მოღვაწეობაშ თან-
დათან დიდი აღიარება პპოვა და მისი მეცნიერუ-
ლი ავტორიტეტი უფრო და უფრო იზრდებოდა: 1838 წელს იგი გახდა ექსტრაორდინარული აკა-
დემიკოსი, ხოლო 1847 წელს — ორდინარული
აკადემიკოსი; სხვადასხვა დროს პეტერბურგის მე-
ცნიერებათა აკადემიაში იგი ცვლიდა ან ასრუ-
ლებდა ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილე-
ბის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის აკადემიკოს-
მდივნის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეო-
ბასაც. გარდა ამისა, იგი არჩეული იყო პარიზის,
ორლეანის, კოპენჰაგენის, ბერლინის, ვენეციის,
ნანსის, პუის, მოსკოვის, თბილისის სხვადასხვა სა-
მეცნიერო საზოგადოების წევრად. დიდი ღვაწლი
და ამაგი დასდო მ. ბროსემ პეტერბურგში სააზიო
მუზეუმს, საიმპერატორო ერმიტაჟს, საიმპერატო-
რო ბიბლიოთეკას, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრე-
ბით საინტერესოა მ. ბროსეს ღვაწლი პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტში 1845 წლიდან ქარ-



1. Թարո ծրաբը.




2. მარი ბროსეს მამა — უან ფილიპ ფრანსუა
ბროსე (ორიგინალი დაცულია სტოკოლმში).



ლორან ბროსე, მარი ბროსეს ვაჟი, „ანალი-
იკური ბიბლიოგრაფიის“ ავტორი.



4. լոռան լոռանու մը ծրուց (թարո ծրուցես թզոլոթզոլո).




ნ. ვიქტორ ლორანის ძე ბროსე (მარი ბროსეს
შვილთაშვილი), დუტუ მეგრელის სიძე (ქალი-
შვილის ქმარი), პროფ. ედიშერ ხოშტარიას მამა.



6. ମାରୀ ଧରନ୍ଦେବ,

7. ମାରୀ ଧରନ୍ଦେବ
ଶାଶ୍ଵତପାତ୍ରମାଳା (ସାଙ୍ଗ)





36136340
202-00101933

卷之三

წევნის : ეყალსანი : -

Estrogenomelus:

Figures 55 56 57 58 59 :-

କର୍ମବ୍ୟକ୍ତିମାତ୍ରଃ:-

ମୁଖ୍ୟତର୍କ୍ୟାଳ୍ୟକାରୀ:-

ցիկնությունը: չտիրապես վայելու դրա: Պահապահ զա

Hymn: John Hob:-

8. ვეფხისტყაოსნის მ. ბროსესეული ფრანგული თარგმანის ავტოგრაფის თავფურცელი.

ՕՐԵԴԻ ՀԱՅ - յազրու սնաս առա յանու ա-
Յափիլ շրքը պա զցը, նոր այ պիդը - քածը՝ ո.
Յափինա յած, չունե և ոչը շրքիկը
Երես զցի յանտ յեւ, ու յու գոյ անս հեյց յու.
Յու ս անդնե, ու յու շա զցի անս հեյց յու.
Ճանձնել յայր և յու անս հեյց յու:
Յու յու անս ի յու յու անս օյնին անս յու:
Եկի յանտ յայր և յու անս օյնին անս յու:
Եկի յանտ յայր և յու անս օյնին անս յու:

longtemps que je suis à l'abbaye de Sainte-Croix à la montagne. = un
vieux prieur de l'abbaye de Sainte-Croix, ch. = or. 3 brins jaunes. 1000. griseau
brun pâle. = or. deux pâles du vœud. Dans les mesures en
= 1/2 lib. livr. t. fait de cire. = 1/2. La cire de cire et parfum
et gomme jujube. = 1/16 pour faire une grande bougie.
= le miel rive des bois. = mout au miel. = mout au miel.
= 1/2 miel rive des bois. = mout au miel. = mout au miel.

9. მარი ბროსეს ხელით გადაწერილი ვეფხის-ტყაოსანი (დაცულია ლენინგრადის აღმოსავ-ლეთმცოდნეობის ინსტიტუტში).

ღმიონს გარეჯახის-ე პო-სეს
ფქია ჩო-ხელსა.

ებდომა- პესია ყბვთველსა ღე-
ქი მას ფქეს რო-მელსა.

ზორბო ჰეთს ცმიგის ტმო-გუ-
ლსა, მას წმ დამუძრო-მელსა.

და ებრიელ შიშირ⁹ ქუსთველსა,
მის-თკს ცრემლო- შეუ-რო-მელის¹⁰.

« Mosé de Khorî a célébré Amiran, fils de Daredjan ; le poème d'Abdoul Messia, écrit par Chawthel, et l'histoire de Dilar, par l'infatigable écrivain Geth Sargis de Thmogwi, furent dignes d'éloges ; Rousthwel a versé des larmes sans fin sur son Tariel¹¹. »

Ces vers, d'ailleurs assez peu poétiques, renferment des notions intéressantes sur la littérature géorgienne, puisque trois auteurs y sont nommés avec allusion à

¹ Ms. F de la Bibl. royale : ღარეჯისა-მა :

² Ms. E : ქავთველი :

³ Ms. E : ღამედი :

⁴ Ms. E : ღამამელი : Ms. F : ღამამელი :

⁵ Ms. E : ლეგნისა :

⁶ Ms. E : პორეგინბ-ოებ : Ms. F : პორეგი გასა :

⁷ Ms. E : ქეთემდელისა : — B.

⁸ Rectifiez ainsi la traduction insérée dans le *Journal asiatique*, novembre 1830, pag. 374. — B.

ჭიჯხურთბ თუმდად სიცურუვე,
მართებს მართ ვითბ მზეობა.

სიბრძნე სიმდიდრე სიცხვე⁽¹⁾, სიყ-
მე და მცირლეთ-ბა.

წერ გონება დათმობა, მძღეთბ
მებრძოლთბ ⁽²⁾ მძღეთ-ბა.

და ჭისცა წს სრულდა ჩორ სჭი-
რს, აკლიბ მიჯხურთ ზეეთ-ბა.

ჭიჯხურთ-ბა სხვ რმებ, იმ სი-
ძის დასაბარი.

ყვი სხვა ⁽³⁾ სიძრ სხვა, მუქ ფ-
ზის დიდი მზღვარი ⁽⁴⁾.

და ჭამულს ფუგულთ-დ ⁽⁵⁾ სიუჭრ-

(1) Manuscrit E. სიცხვე სიმდიდრე.

(2) E. მებრძოლეთბ.

(3) E. სხვა bis.

(4) E. ზღვარი; arabe *tsaghîr*, frontière militaire.

(5) E. ფუგულთ-

339 6306 - ც უ ა მ ს ა ნ ი

რ ა უ ა დ ა დ

БАРГОВА КОЖА

Знаменитый писатель

Шота Руставелли

ახლად ღამეშვილი

შეკრიტულით ღვაწლით უფრო

მნიშვნელოვანი, ზაქარია გალავანძიშვილისა და ღვაწლი ჩუბისოვისათვის

სან კ ტ - პ ე ტ ე რ პ უ რ დ ს

სტანდაში საკედლწიფლ აგადემიისა მეცნიერებათა

1841

12. ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის
თავფურცელი.



13. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია.

14. მარი ბროსეს „საქართველოში მოგზაურობის ატლასის თავფურცელი (სპბ., 1850).

15. ერთი გვერდი მარი ბროსეს „საქართველოში მოგზაურობის“ ატლასისა (სპბ., 1850).


ATLAS
DU
VOYAGE ARCHÉOLOGIQUE
DANS LA
TRANSCAUCASIE,
EXÉCUTÉ EN 1847-1848, SOUS LES AUSPICES DU
PRINCE VORONTZOF,
COUVENTION DE CAUCASIE,
PAR
M. BROSSET,
MEMBRE DE L'ACADEMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

SAINT-PÉTERSBOURG.
IMPRIMERIE DE L'ACADEMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

1850.

Se vend chez MM. Agache et Cie, Libraires, Commissaires de l'Académie, Perspective de Noviky, et à Tropia, chez M. Zingold. Rue

1. Plan de la ville de Tenguit ou Pekhura, à Tenguet
B. Façade d'une des maisons



06435
30344

RAPPORTS
SUR UN
VOYAGE ARCHÉOLOGIQUE
DANS
LA GÉORGIE ET DANS L'ARMÉNIE,
EXÉCUTÉ EN 1847 — 1848
PAR
M. BROSSET,
MEMBRE DE L'ACADEMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

1^{re} LIVRAISON.

Avec un Atlas de 18 planches lithographiées.



ST.-PÉTERSBOURG,
IMPRIMERIE DE L'ACADEMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.
1849.

SE VEND CHEZ MM. EGGERS ET COMP., LIBRAIRES, COMMISSIONNAIRES DE L'ACADEMIE,
PERSPECTIVE DU NEVSKY, N° 1/10, ET A FRIPIC, CHEZ M. LÉOPOLD VOSS.

Prix: 3 Rhl. arg. — 3 Thlr. 10 Ngr.

16. მარი ბროსებ „ხაფურთველოში მოგზაურობის“ თავფურტილი (ხელ., 1849).



ქართლის ცხოვრება,

დახასამითან მეათესამეტე ხაუგუნებდის,

თარგმნიდიღ და გამოცემული ღვაწლითა

კ. ბ. რ. ი. ს. ე. ბ. ე.

რამდენიმე სამართლის მიერ და გამოცემული არის.

ნაწილი პირველი.

ძველი მოთხოვნა, 1469 წლამდის ქრისტე აჭთა:

HISTOIRE DE LA GÉORGIE

DEPUIS L'ANTIQUITÉ JUSQU'AU XIX^e SIÈCLE,

PUBLIÉE EN GÉORGIEN

PAR

M. BROSSET,

Membre de l'Académie Impériale des sciences.

I^e Partie.

Histoire ancienne, jusqu'en 1469 de J.-C.



სანქციერებულება.

DE L'IMPRIMERIE DE L'ACADEMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

1849.

chez MM. Eggars et Comp. libraires, Commissionnaires de l'Académie, Perspective de Nevsky,
No. 12, et à Leipzig, chez M. Léopold Voss.

„ქართლის ცხოვრება“ გამოცემული მარი
სახე მიერ (ხვდ., 1849).



HISTOIRE DE LA GÉORGIE

DEPUIS L'ANTIQUITÉ JUSQU'AU XIX^E SIÈCLE,

TRADUITE DU GÉORGIEN

PAR

M. BROSET,

Membre de l'Académie Impériale des sciences.

I^e Partie.

Histoire ancienne, jusqu'en 1469 de J.-C.

II^e LIVRAISON.



ST.-PÉTERSBOURG,
DE L'IMPRIMERIE DE L'ACADEMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

1830.

Se vend chez MM. Eggars et Comp. libraires, Commissaires de l'Academie, Perspective de Nevsky,
N^o. 1^{re}, et à Leipzig, chez M. Léopold Voss.



18. „ქართლის ცხოვრების“ მარი ბრონებეული
თავთურცელი.



თული ენის კათედრის დასაარსებლად, რომლის
ხელმძღვანელი, მისივე რეკომენდაციით, გამოიწვია
პირველი ქართველი პროფესორი დავით ჩუბინა-
შვილი.⁹¹ მ. ბროსემ აგრეთვე ძლიერ შეუწყო ხე-
ლი თავისი დიდი მასწავლებლის — თეიმურაზ
ბაგრატიონის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადე-
მიის საპატიო წევრად არჩევას. აი, როგორ აძ-
თავრებდა მ. ბროსე თავის სიტყვას პეტერბურ-
გის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე 1837
წლის 29 დეკემბერს (ძვ. სტილით), როცა
ჩამოთვლიდა თეიმურაზის მეცნიერულ დამსახუ-
რებას: «...И могу ли я, перед почтенным соб-
ранием перечислить все заслуги царевича
Теймураза, которые дают ему право на пол-
ную признательность со стороны этого выс-
шего святынища науки».⁹²

მართლაც, ამავე სხდომაზე თეიმურაზი ერთ-
წმედ აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკა-
დემიის საპატიო წევრად და ამგვარად, თეიმურაზ
ბაგრატიონი პირველი ქართველი აკადემიკოსი
გახდა.

თეიმურაზ ბაგრატიონის გარდაცვალების
(1846 წ.) შემდეგ მარი ბროსე თანდათან რუსეთ-
სა და დასავლეთ ევროპაში გასული საუკუნის
50-70-იან წლებში მეცნიერული ქართველოლოგი-
ის აღიარებული მეთაური გახდა და მას რუსეთსა
და საქართველოში გამოუჩნდნენ ისეთი სახელო-
განი მიღდევრები და მისი საქმის ღიღებული გამ-
გრძელებლები, როგორიც იყვნენ დ. ჩუბინაშვი-
ლის შარაძე

ლი, ალ. ცაგარელი, დ. ბაქრაძე, თ. ულრიკაშვილი,
ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და სხვა

1879 წელს მარი ბროსეს ჯანმრთელობა
ძლიერ შეერყა. ექიმებმა მას ურჩიეს საფრან-
გეთში გამგზავრება, იქნებ გაღოჯანმრთელებაზე
სამშობლოს პავაშ იმოქმედოსო. 1880 წლის 20 (8)
მაისს იგი მართლაც დაბრუნდა საფრანგეთში და
დასახლდა ქ. შატელროში (პუატიესთან ანლოს)
თავის ქილიშვილთან ანრიეტ ბუტენთან და კიდევ
სამი თვე იცოცხლა. 1880 წლის 3 სექტემბერს
(ძვ. სტ. 22 აგვისტოს) მარი ბროსე ქ. შატელრო-
ში გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს სენ-ჟან-
ბატისტის სასაფლაოზე.

ადგილობრივ გაზეთში „ეკო დე შატელრო“
1880 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა მოკრძა-
ლებული სტატია, რომელიც იუწყებოდა: „ახლა-
ხან შატელროში გარდაიცვალა ერთი გამოჩენილი
მეცნიერი, რომელსაც რუსულ მეცნიერებაში
თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და რომელიც ჩვენს
ქალაქში მხოლოდ სამ თვეს ცხოვრობდა... იგი
გარდაიცვალა შატელროში თავისი სიძის, ცნობი-
ლი ქიმიკოსისა და მედვინის ბ-ნ ბუტენის ოჯახ-
ში“, ხოლო ქ. შატელროს ერთი მკვიდრის სიტყ-
ვებით, რომელიც 1965 წელს პროფ. ი. ტაბაღუაშ
ჩაიწერა, „საწყალი ბატონი მარი ფელისიტე ბრო-
სე ყველას მიერ მივიწყებულია შატელროში და
არავითარი მოგონება არ დაუტოვებია ჩვენს ქა-
ლაქში“. ⁹³

სამაგიეროდ, მარი ბროსეს გარდაცვალებას



ღრმა მწუხარებით შეხვდა რუსეთის მეცნიერული და ფართო საზოგადოებრიობა (ი. «Новое время», «Русский курьер», «Голос», «Молва...»), კერძოდ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღიარებით, მ. ბროსემ «... приобрел право считаться основателем грузинской и армянской истории и археологии»⁹⁴.

განსაკუთრებით დიდი მწუხარება და სახალხო გლოვა გამოიწვია ამ ცნობამ საქართველოში, რასაც უფრო დაწვრილებით და ვრცლად შევეხებით, რადგან მას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ქართულ-ფრანგული ურთიერთობებისა და საერთოდ, ქართული საზოგადოებრივი და მეცნიერული აზროვნების ისტორიისათვის, მით უმეტეს, რომ ახლა ჩვენში აღინიშნება მარი ბროსეს დაბადების 180 და გარდაცვალების 100 წლისთავი. ამდენად, საინტერესოა, თუ როგორ აფასებდნენ ჩვენი ეროვნული მოღვაწენი და ქართული კულტურის მესვეურები ფრანგი მეცნიერის მიერ საქართველოსთვის გაწეულ ღვაწლს ამ საუკუნის წინ.

პირველი ცნობა ამის შესახებ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „დროებაში“ 1880 წლის 2 სექტემბერს (№ 184), სადაც ს. მ.-ს (სერგეი მესხის) ხელმოწერით გამოქვეყნებულია „ბროსეს გარდაცვალებაზე“ და ითხა მეუნარგიას „მ. ბროსეს ნეკროლოგი“. .

გამოჩენილი ქართველი სამოციანელი სერგე
მესხი წერდა:

„ამ ორი-სამი თვის წინათ რუსულს გაზეთებში იწერებოდნენ, რომ აკადემიკოსი ბროსსე სტოკებს აკადემიკოსობას, ეთეოვება რუსეთს და საფრანგეთში მიდის სამუდამოთ იმ განზრახვით, რომ იქ, სამშობლოში გაატაროს თავის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები და იქვე ჩაჰყაროს თავის ძვლები.

ამავე გაზეთებმა მოგვიტანეს ჩვენ გუშინ სამწუხარო ამბავი, რომ ბროსსეს შეპსრულებია თავის უკანასკნელი განზრახვა და სურვილი: ის გარდაცვალებულა საფრანგეთის ქალაქ შატელროში ამ იგვისტოს 22-ს.

„საუკუნოთ იყოს ხსენება მისი!“

არავის არ ეკუთვნის ამ სიტყვების თქმა ისე, როგორც ჩვენ, ქართველებს, ამიტომ, რომ ამ კაცმა ჩვენი ხსენება და სახელი საუკუნო მოსახსენებლად გახდა ევროპაში.

მართლაც, იდრე, ჩვენ ისტორიულ ცხოვრების დროს, განათლებული ევროპა ცოტიდ თუ ბევრად გვიცნობდა; იცოდა, რომ კავკასიაში ცხოვრობს ერთი მხექ ხალხი, ივერიელნი, რომელიც მარჯვედ წინ უდგება და ებრძვის აზის ხალხსა, განსაკუთრებით, სპარსელებსა და ოსმალებსა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ბეჭი რუსეთისას შეუერთდა, ჩვენის ქვეყნის ხსენება თითქმის სრულიად მოისპო ევროპაში. ბროსსემ

პირველშია შეატყობინა ქვეყანის ჩვენი წარსული ისტორიული ცხოვრება, ჩვენი ბედ-იღბალი და მდგომარეობა.

აი, ანისთვის პმართებს ახალ-მიცვალებულს ბროსხეს ყოველის ქართველისაგან საუკუნო მაღლობა და პატივისცემით შობსენება.

ეს ერთი მხარეა იმის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. მეორე მხარე კიდევ უფრო საყურადღებოა ჩვენთვის:

ბროსხე დაბადებით ფრანცუზი იყო. მეცნიერებისა და დავარდნილ ხალხის სიყვარულმა აღძრა ამ ჩვენთვის უცხო კაცში სურვილი ჩვენის ისტორიულ ცხოვრების შესწავლისა და ჩვენის ლიტერატურის დახმარებისა. პატარა საქართველოს ხალხის გაცნობას, შესწავლას მოანდომა იმან მთელი თავისი სოცოცხლე და თავის დაუღალავი შროშა. ის იყო ნამდვილი შვილი თავის ქვეყნისა — საფრანგეთის ხალხისა, რომლის ერთი ჩინებულთაგანი და სიქებთაგანი თვისება და ხასიათი ის არის, რომ თავის საკუთარ უბედობის და გაჭირვების დროსაც კი არ ივიწყებს სხვა ხალხების შეწუხებას და დაჩაგვრას...

როგორ სამაგალითო არ არის ამ კაცის ცხოვრება და ზოღვაწეობა ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომელნიც ასე გულ-გრილად ვმუშაობთ ჩვენი საკუთარ ქვეყნის წარმატებისა და გონებით სოდგენისათვის? როგორ არ უნდა გვრცხვენოდეს, რომ ვიღაც ფრანცუზი ჩნდებოდეს ჩვენთვის



მზრუნველი, ჩვენი ქვეყნის გამცნობილებებისა, ჩვენი ისტორიისა, ლიტერატურისა და ენის გამოკვლეველი — და ჩვენ კი ამ დროს მხოლოთ იმას ვფიქრობდეთ — თუ როგორი მახე დაუგოთ ჩვენს მოძმეებს, როგორ ლაშათიანად ვჭამოთ, ვსვათ და შემდეგ მხართებოზე წარმოვწვეთ?

განსაკუთრებით სამაგალითოა ამ კაცის ცხოვრება იმ ჩვენ ახალგაზრდა ესრედ წოდებულს განათლებულ თაობისათვის, რომელიც უველავ პირველად საპატიო თანამდებობის მიღებას, ჩინოვნიკობასა და კარგ ჯამაგირზედ პფიქრობს ლირიბ-ლატაკს ფრანცუზს, ჩვენი ქვეყნის უცნობს, ჩვენთან არავითარ ინტერესით არ შეკავშირებულს, პარიჟში მცხოვრებს აღეძვრის სურვილი ჩვენის გაცნობისა, ჩვენის ისტორიის შეწავლისა, და ენერგიულად პკიდებს ხელს ამ საქმეს. ეს ხდება იმ დროს, როდესაც თვითონ ჩვენ ქვეყნის განათლებული შვილები მისდევენ თავის კარიერას, ჯიბისა და სტომაქის გავსებას!

ამისთანა კაცის სიკვდილი მთელი ქართველობისათვის სახალხო მწუხარებად უნდა ჩაითვალოს მაგრამ ამ მწუხარებაში ჩვენ ის გარემოება გვანუგეშებს, რომ მიცვალებულის ცხოვრება სამაგალითოდ, მისაბაძავად დარჩება იმ ქართველ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც პირველი მოვალეობა სამშობლოს უანგარო სამსახური და იმისათვის თავის საუკეთესო დღეების შეწირვა უნდის...

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი“.

ოონა მეუნარგია კი თავის ნეკროლოგში მართ
ბროსეს ადარებს ბერძნული მითოლოგიური მითების
გმირს — ბრიარეოსს და ხატოვნად ამბობს: „... ეს
ნახევარი საუკუნეზე მეტია. ჩაც დაუღალავი მუ-
შაკი, როგორც მითოლოგიური ბრიარე, ორმოც-
დაათი თავით და ასის ხელით მუშაობს საქარ-
თველოს ისტორიის გამოსაკვლევად და ლიტერა-
ტურის შესასწავლად... ჯერ ისევ თბილ საფლავ-
ზე ამ საქართველოს დაუვიწყარ კაცს ჩვენგან
შხრლოდ მაღლობა და პატივი შვენის“.

„დროების“ რედაქციის (რედაქტორები ილია
ჭავჭავაძე და სერგეი მესხი) ინიციატივით, 1880
წლის 4 სექტემბერს თბილისში, სიონის ტაძარში
გადახდილ იქნა მარი ბროსეს პანაშვიდი (იხ.
„დროება“, 1880, 4.IX. № 186; 6.IX. № 188;
«Кавказ», 1880, № 235, № 236), რომელზედაც
სიტყვა წარმოუთქვამს არქიმანდრიტ გრიგორის
(დადიანს):

„ქრისტეს მიერ საყვარელნო ქმანო!

დღეს შევიკრიბენით ჩვენ წმიდასა ტაძარსა შინა,
რათა მივსცეთ უკანასკნელი პატივი კაცსა შორე-
ულსა და უცხოსა, რომელმანცა სიყრმითგანვე შეი-
ყვარა ქვეყანა ქართლოსიანთა, ერი, ენა და მისი
წარსული ისტორიული ცხოვრება. დღეს ვეთხოვე-
ბით ჩვენ მისს ქვეყნიურ ხორციელ არსებობას, მის
შრომაში განტარებულ ცხოვრებას და ვსწუხ-
ვართ, რომ ეს კაცი, ყოველს საქართველოს განა-
თლებულს ოჯახში ცნობილი და სიცოცხლეშივე
ჩათვლილი რიცხვთა შორის დიდთა და კლასი-



კურთა საქართველოს სახელთა, მოგვეღწის მაგრამ დავმორჩილდეთ ღვთის განგებულების წინაშე. ბროსე მოკვდა დღეს ქვეყნისთვის, იგივე ბროსე დაიბადა ისტორიისა და მომავალთა შთა-მომავლობათათვის. მივაგოთ კაცსა საწყალისა-მებრ თვისისა. ჩვენ გვრწამს, რომ მომავალი, რო-მელიც იწყება დღეს ამ კაცისათვის, დააფასებს ლირსეულად მისს შრომას. ის დაინახავს, რომ ეს იყო პირველი კაცი, რომელმანც ქართულ მატია-ნეს და ქართული ენის შესწავლებას მოჰკიდა ხე-ლი იმ რიგით და წესით, რა რიგათაც სწავლობენ საზოგადოდ ისტორიას და ენას. „ქართლის ცხოვ-რება“, სანამ ბროსე არ შეამკობდა მას შენიშვნე-ბითა და არ გამოსცემდა ქართულათ და ფრანცუ-ზულათ, იყო უხმარ მრავალთათვის. ეგრეთვე ვა-ხუშტის ღეოღრაფიაც. სანამ ბროსე არ აღსწერ-და საქართველოს 1847 და 1848 წელს, მანამ სა-ქართველოს ისტორიული აღგიღები იყვნენ უც-ნობნი განათლებულთა ხალხთათვის. მაგრამ დაუ-ტევოთ აქ ბროსეს მნიშვნელობა როგორც ის-ტორიკოსისა, სხვები და სხვა დროს იტყვიან ამას. ჩვენ ვნახოთ კაცი მისის ხასიათით და ვისარგებ-ლოთ მისის მაგალითით. ბროსეს ცხოვრება ბევ-რათ მოგავს იმ მისიონერთა ცხოვრებას, რომელ-ნიც სტოვებენ სამშობლო მიწას და მიღიან კიდი-დან-კიდემდე სოფლისა, რათა აუწყონ სახარება უფლისა. ამანაც ამ ისტორიულ ჭეშმარიტების მოციქულმა დაუტევა საფრანგეთი—თვისი სამშობ-ლო, მაგრამ მაცხოვრისაგან მზათ დატოვებულ

ჭეშმარიტების გასაფენათ კი არა, ისტორიისა და მითიკონია მითიკონია ჭეშმარიტების საძიებლად!

ამ შორ ქვეყანაში ორგვარ კმაყოფილებას ხე-
დავდა შისი გული, ერთი — ევროპაში უცნობი
ხალხის გაცნობის გამო და მეორე — ამ ხალხის
წარსრულით ძველი საზოგადო ისტორიის გაგე-
ბით. დიდი და შაღალი სიამოვნება უნდა იყოს
კაცისათვის ესე ვითარი კმაყოფილება! მაგრამ
მარტო ამ ნოციქულებრივის თავ-განწირულობით
არ გვაკვირვებს ჩვენ განსვენებული ბროსსე. ის
ყველა ჩვენთვის არის მაგალითი დაუღალავი მუ-
შაჟობისა. ორმოცდათი წელი იღვწოდა იგი ჩვე-
ნის ქვეყნის შესასწავებლად და მუშაობდა ქვეყ-
ნის ხმაურობიდან განშორებული, თავისთვის,
სრულიად დაიმედებული, რომ მომავალი დააფა-
სებს მისს ეგოდენსა შეცადინეობასა... რა მაგალი-
თია, ძმანო, ესეთი კაცის ცხოვრება! რაოდენი უნ-
და იყოს ჩვენი შეცადინეობა გამულის შესასწავ-
ებლად, როდესაც უცხო, დიდებული ქვეყნის შვი-
ლი შრთელს სიცოცხლეს ჰსწირავს ჩვენს ქვეყა-
ნას! მოვედით, ძმანო, და შევსწიროთ მადლობა
განსვენებულსა ბროსსეს და შევევედროთ სული
მისი ღმერთსა. ძველი ივერია, რომლის მინდვრებ-
ზე ბროსსემ, ვითარცა მოციქულმა ანდრიამ, და-
სვა ნიშანი მომავალი ქართული ისტორიის წარმა-
ტებისა, იხილავს, ადრე თუ გვიან, ბროსსესაგან
დაწყებულის საქანით დაგვირგვინებას და თავის
შერით თითონ დაუდგამს მას ნიშანს ამ წარწე-

რით: „ბროსსეს — მაღლობელი საქართველო“.
საუკუნოდ დარჩეს ყოველს ქართველის გულშემ
კაცის ხსენება!“ („დროება“, 1880.6.IX. № 188).

სულ მალე, 9 სექტემბერს ბროსეს გარდაცვა-
ლებასთან დაკავშირებით პანაშვილი გადაიხადეს
ქუთაისშიაც, კათოლიკეთა ეკლესიაში, სადაც სი-
ტყვები წარმოუთქვამთ გიორგი წერეთლისა და
ირაკლი ლორთქიფანიძეს (იხ. „დროება“, 1880.
10.IX. № 190), ხოლო გაზეთმა „დროებამ“ 12
სექტემბერს გამოაქვეყნა კიდეც გამოჩენილი ქარ-
თველი მწერლის გიორგი წერეთლის აღნიშნული
სიტყვა:

„თვალ-ცრემლიანი ვდგევართ ამ ტაძარში
ქართველნი ორის სხვა და სხვა აღსარებისა. თა-
ნასწორის მხურვალე გრძნობით გვიდუღს გული
ცხედრის წინ. ვინ არის ეს დიდებული მიცვალე-
ბული, რომელმაც თავის კუბოს წინ შეგვაერთა
და აგვატირა ორი ღვიძლი ძმები სარწმუნოების
გამო ამდენის ხნით ერთმანეთზე დაშორებულნი?
ეს არის სახელ-განთქმული საქართველოს მეის-
ტორიე მარი ბროსსე, გვარით ფრანცუზი, სარ-
წმუნოებით კათოლიკე, გულით ქართველი და
ქველ-მოქმედებით კაცობრიობის წარჩინებული
წარმომადგენელი.

ბროსსეს, როგორც მეისტორიეს, პირველი აღ-
გილი უჭირავს საქართველოს მეისტორიებს შუა-
ის არის დამაარსებელი საქართველოში ისტორი-
ულის მეცნიერებისა. ჭეშმარიტად დიდი ნიჭიერი
და შორს გამსჭვრეტი ყოფილა ეს ფრანცუზი. რო-



ცა ის შეუდგა ქართულის ენის შესწავლას უძღვესა გულში ჩაიგდო საქართველოს ისტორიის დაშუშხა ვება, იმდენად მივიწყებული იყო ქართველობა და იმის ცხოვრება, რომ არამც თუ უცხო ქვეყნის კაცებსა, თვით დაწინაურებულთ იმ დროის ქართველებსაც არ ჰქონდათ იმედი, რომ საქართველო კიდევ განახლდებოდა და ქართველთ ტოში კიდევ გაძლიერდებოდა. იმ დროს, როდესაც წყვდიადი ბნელი იყო გადაკრული საქართველოს წარსულზე და მომავალზე, მარი ბროსემ მიაგნო საქართველოს ერის სიცოცხლის ძარღვი და მიხვდა, რომ დიდებული მომავალი უძლოდა წინ საქართველოს ისტორიას.

აი, ამისთვის უფრო შეუდგა ის ქართულის ენის შესწავლასა და იკისრა ვახტანგ VI დროს რომ „ქართლის ცხოვრება“ იყო შესწორებული, იმის ხელახლიდ განხილვა და დაბეჭდვა. მაგრამ ბროსეს აზრით, ეს არ იყო საკმარისი. ის გრძნობდა, რომ იმის ისტორიული გამოკვლევა უფრო მტკიცე და ჭეშმარიტს საბუთებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული და ამ განზრახვით იმან ორჯელ მოიარა საქართველო და სომხეთი თავის ფეხით — ერთხელ 1848 წელსა და მეორეთ — 1851-სა. ბროსემ გადაფურცლა ისტორიული გუჯარი და დოკუმენტი საქართველოს ნიადაგზე, საცა კი ხელი მიუწვდა, შემდეგ შეუდგა იმათს განხილვასა, მაგრამ ამითაც კიდევ არ დააცხრო თავის ქველმოქმედება საქართველოს გულისთვის. იმან განიხილა ღრამმატიკული ქართული ენა და



შეაგროვა ფილოლოდიურის წესით საკვლეულაში სალები, იმან გადმოიღო ისტორიული ნაშთებიდამ ზედ წარწერები და მიაპყრო მეცნიერული ყურადღება ქართულს ძველს ფულებსა. ბოლოს ბროსებმ გამოსცა ორ წიგნათ თავის არხეოლოლიური მოგზაურობა. სასიქადულო განზრახვა მისი ასრულდა. იმან მოიმკო სახელი მეცნიერებაში და შეიქმნა საქართველოს არხეოლოდიის მამათმთავარი.

ესრეთი იყო ეს წარჩინებული ფრანცუზი, რომელმაც მოვლო ხელი ჩვენგან მივიწყებულს მეცნიერების დროშას და ამართა საქართველოს ნიადაგზე ამ გვარის სიტყვებითა: „ქართველნო, მეცნიერების შუქი მოადგა თქვენს ქვეყანასაც! დროა განიღვიძოთ და აღადგინოთ თქვენი დაცემული საშობლო!“.

ამიერითგან ყოველი ქართველისათვის ძვირფასი შეიქმნა საფრანგეთის ერი, რომელმაც გამოუგზავნა თავის წარჩინებული შვილი ჩვენს ქვეყანას მეცნიერების მოციქულად და საქართველოს დიდებული ბედის წინასწარმეტყველად... ამიერითგან ყოველს ქართველს კიდევ უფრო დიდი იმედი მიეცა საფრანგეთისა. დღე-გრძელი იყოს ის ერი, რომელიც ზრდის ბროსებსთანა ქველმოქმედს შვილებსა!

ბროსებს ამაგი დიდია ქართველებზე, საქართველო ვერაოდეს ვერ დაივიწყებს ბროსებს ღვაწლსა. მარი ბროსებ მარტო იმითი კი არ არის ჩვენთვის დაუვიწყარი, რომ გვიჩვენა საუკეთესო



იარაღი გვარის დასაცველად. ორა, ის კიდევ უფრო საყვარელი და ძვირფასი შექმნა ჩვენთ კულტურული იცით, ძეგლო, რისთვის? იმისთვის, რომ იმან პირველად გაიცნო საფრანგეთს და მთელს ევროპას ჩვენი ბივიწყებული სამშობლო. ბროსეს მეოხედით დღეს მთელი განათლებული ევროპა კითხულობს ჩვენი დიდებულთ წინაპრების ცხოვრებასა. მთელს ევროპის სახელმწიფოების თვალში ბროსეს შრომით მოგვეცა დიდი ფასი. კურთხეულიმც იყოს ამ კაცის სახელი, საუკუნოთ იყოს იმის ხსენება!“ (იხ. „დროება“, 1880, 12.IX. № 192).

საინტერესოა ქუთაისში ჩატარებული ცერემონიალის აღწერა, რომელიც აქვეა დაბეჭდილი: „კუბო მორთულია სხვადასხვა ყვავილებით, დაფნის გვირგვინით, რომელიც ლამაზათ შემკული იყო ბროსეს თხზულებათა სახელების ზედწარწერის ქაღალდებით. თვითონ კუბოზე ეწყო თითქმის ყველა თხზულებანი და ნაშრომნი მიცვალებულის ბროსესი და ამათში პირველი აღგილი „ქართლის ცხოვრებეს“ ეჭირა. მშვენიერი არგანის კვრა, საამო მომღერლები და სხვ.“ („დროება“, 1880, 12.IX. № 192).

აღსანიშნავია, რომ 5 ოქტომბერს ასეთივე ცერემონიალი მოუწყვიათ ჯავახეთში, ხიზაბავრის კათოლიკეთა ეკლესიაში: „კუბო მორთული იყო ტევნებით (!), სხმული ვაზის ფოთლებით და სთვლის ყვავილებით. კუბოზედ იდვა ბროსეს დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“ და ზედ სიმის ფუნჯებიანი გვირგვინი, გარემოს მრავალი კე-

ლაპტრებით გაპრწყინებული... დიდი მხურვალება
და თანაგრძნობა გამოიჩინა ამ მდაბიო 
ქალით კაციების ისე გაკრძალულად იყვნენ და
შწუხარედ, რომ თითქოს ვინმე თავიანთ გულის
დიდი საყვარელი მოპედომიანო". აქ, ხიზაბავრის
კათოლიკეთა ეკლესიაში სიტყვა წარმოუთქვაშს
ცნობილ ქართველ საზოგადო შოღვაშეს ივანე გვა-
რამაძეს (ვინმე მესხს):

„ქრისტეს მოყვარე, მორწმუნე ერნო!

დღეს ჩვენ, მაღალ გრძნობითმა ლმობიერებაშ
აღვიძრა, შეგვეწირა წმ. წირვა უფლის მიერ გან-
სვენებულის ფრანსუზის დიდებული მარი ბროს-
სეს სულისათვის. ეს მისი გარდაცვალების ამბავი
გვაცნობა ჩვენ გავლილ 1 ენკენისა ჩვენმა „დრო-
ების“ გაზეთმან: 22 მარიამობისთვეს გარდაცვლი-
ლა საფრანგეთის ქ. შატელროში, სამი თვის წინ
თავის აკადემიკოსობის თანამდებობის გამოთხო-
ვების შემდეგ რუსეთიდგან, რომლითაც უნდოდა
თურმე თვისი ბოლო სიცოცხლის გატარება თვის
საშუალო მამულში.

ეს განსვენებული პირი დიდის თანაგრძნობის
ღირსი არის ჩვენგან, თავისი ტკბილი სიცოცხლის
უმთავრეს ნაწილთ ყოველნი წამნი შესწირა მან
ჩვენ ქართველთ სიყვარულსა და წარმატებას მეც-
ნიერებაში, რომლითაც განაღვიძა ჩვენში მივიწ-
ყებულ-მიყრუებული სწავლის მოყვარება და იღ-
გვძრა სწავლის წარმატებაზედა!

ორჯერ მოვლო მრთელი საქართველო—სამეს-
ხეთო თავის ფეხით. შეისწავლა ზედ-მიწევნით



ჩვენი ქვეყნის ყოველი გეოგრაფიული მდებარეობის რეობანი და გაიცნო ჩვენი ძველ-ახალი ცხოვჭილობური რება. იგივე აქ ხიზაბავრასაც მოვიდა თქვენში, ამ 32 წლის წინად, რომელიც მრავალთ გინახავსთ კიდეცა! თუ როგორ დაწვრილებით შაბა-შვილურად გამოგვითხათ ყოველი თქვენი ძველი თუ ახალი ცხოვრების გზაკვალი, როგორც აქ თქვენში, ეგრედ ყოველგან საქართველოში შოიქცა და განავრცო თავის კეთილ-მოღვაწების შედეგნი: შეასწორა ჩვენი ქართლის ისტორია და დაგვიძეჭდა; შეაღვინა ჩვენი ქვეყნის ორხეოლოგიური ცნობანი; გამოიკვლია ჩვენი ენის საძირკველი მეცნიერული და მრავალის ფრანცუზულის წერილებითა გაგვაცნო ცხადათ არა მარტო ს. ფრანგეთისა, არამედ მრთელ ქვეყნის სახელმწიფოთა და ნათესავებსა!..

ესრეთ მისი ძვირფასი სამეცნიერო მოღვაწეობა ეგრედ დიდად დააფასეს ჩვენმა მოძმე ქართველთ მართლმადიდებლობამ, რომ ქ. თბილისს სიონის დედაქლესიაში პანაშვიდი გარდაიხადეს მისი სულისთვის; აგრეთვე ქ. ქუთაისის კათოლიკეთ ეკკლესიაში ერთად გარდაიხადეს მრთელმა იმერეთის თავად-აზნაურ მოქალაქობამ, საღაც ბ. გიორგი წერეთელმა თავის გრძნობიერი სიტყვის წარმოთქმით, გააპატიოსნა განსვენებული იგი სათემ-ქვეყნოდ! ასრევე საქართველოს ყოველი მხარეებიდამ, ყოველნი წარჩინებულნი პირნი იხსენიებდენ დიდის მოწიწებით, ჭებითა და პატივისცემითა!..

თავიდგანვე ყოველს დროს განთქმულია მრთველ
ქვეყანაზედ ფრანსუზების კაცთმოყვარება^{შემოწმების}
ქმის ყოველს სახელმწიფო ოქებში, ყოველს ტრიუმფის
და ყოველს მხარეს ნახავთ იმათ საკვირველ
კაცთ-მოყვარებათ ნაირ-ნაირ ქველმოქმედების
ამართულ ძეგლთა, ხელოვნებითა, მეცნიერებითა,
მხედართ-მთავრობათა და ქვეყნის გაშენებლობითა;
ამათ რიცხვში მაღალი ადგილი უჭირავს ჩვენ-
თვის ამ განსვენებულსა: საუკუნოდ კურთხეულ
იყოს სახელ-სახსენებელი მისი, უფალმან განსვე-
ნება საუკუნო მიანიჭოს სულსა მისსა ზეცას სა-
სუფეველში და სამარადისო ნათლითა განანათ-
ლოს იგი, და ჩვენც სანუგეშოდ სულს-გულში
შთაგვინერგოს ნამდვილი სწავლა-განათლების
სურვილი, რომ მომავალში განვამართლო მისებრ
კეთილ-შოღვაწე შამა-ძმათაგან უკეთეს შამა-ძმათა
კეთილმოსალოდნელნი იმედნი სადიდებლად ღვთი-
სა და წარსამატებლად ჩვენი სამშობლო მაშული-
სა“ („დროება“, 1880.17.X. № 219).

მოტანილი მასალებიდან ჩანს, თუ როგორი კე-
თილისმყოფელი გავლენა იქონია მარი ბროსეს
პიროვნებამ და მისმა მოღვაწეობამ საქართველოს
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გა-
საღვივებლად, ქართველთა ეროვნული თვითშეგ-
ნების გამოსაფხიზლებლად და ჩვენი სამოციანე-
ლების სამოქმედო პროგრამის გასაშლელად.

ამავე დროს დიდი ფრანგი ქართველოლოგის
ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩვენს მოწინავე საზოგა-
დოებაში დაბადებულა აზრი „დანიშნონ ბროსეს

პრემია საქართველოს ისტორიის საუკეთესო
თხზულებათათვის“ (იხ. „დროება“, 1880.10.IX. № 190), აგრეთვე „დავაწესოთ ბროსეს სტიქენ-
დია და ქეგლიც დავუდგათ მას“ („დროება“, 1880.19.IX, № 198). საამისოდ „დროების“ რე-
დაქციამ იკისრა „გამართოს ხელისმოწერა ამ პრე-
მიის საჭირო ფულის მოსაგროვებლად“ და პი-
რობას იძლეოდა, ვინც საამისო თანხას შემოიტან-
და რედაქციაში, გაზეთში მათ სიას გამოაქვეყნებ-
და (იხ. „დროება“, 1880.10.IX. № 190). მართ-
ლიც, ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ თბი-
ლისში, ქუთაისში, გორში... და დაიწყო ხელისმო-
წერა ბროსეს სახელობის პრემიისათვის, რომე-
ლიც მოხმარდებოდა „საქართველოს ისტორიიდამ
საუკეთესო თხზულებების“ დამწერთ (იხ. „დრო-
ება“, 1880.10.X. № 214), ან კიდევ, დაენიშნებო-
დათ სტიპენდია იმ მოსწავლეებს, „ვინც ყველა-
ზედ მეტს წარმატებას და ნიჭს გამოიჩენდა ქარ-
თული ენის შესწავლაში“.

ამის თაობაზე „დროებაში“ გამოქვეყნდა ცნო-
ბილი საზოგადო მოღვაწის ქრისტეფორე მამაცა-
შვილის წერილიც:

„... სასიამოვნოა ყოველი მამულის შვილისა-
თვის ნახოს ის თანაგრძნობა, როგორიც გამოაცხა-
და ჩვენმა ქვეყანამ იმ კაცისადმი, რომელმაც მთე-
ლი თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენს ქველი ლი-
ტერატურის შემუშავებას. და დაგვანახვა, რო-
გორც ჩვენ, ისე მთელს ევროპას იმისთ ღირსება
და სიმდიდრე. უბროსეოთ ჩვენ არ გვექნებოდა ის
5. გურამ შარაძე

ცოტა გაგებაც ჩვენს წარსულს ისტორიულ ცხოვ-
რებაზედ, რომელიც ეხლა გვაქვს და რომელიც
ყოველის მხრით ღირს-შესანიშნი არის. პურუშვი-
თუ ამ პატივსაცემის კაცის შრომა არ ყოფილიყო,
ჩვენ დღევანდლამდინ ვერ გავიცნობდით ჩვენს
წინაპრებს, რომელნიც თითქმის ორი ათასი წე-
ლიწადი იცავდნენ თავიანთ მამულს, ენას, თვის-
ტომობას და ქართველისათვის ფას-დაუდებელ თა-
ვისუფლებას.

თვის სინდისიანი შრომის გარეთ, ბ. ბროსსეს
გულითა და სულით უყვარდით და ამისათვის
ჩვენც მოვალენი ვართ არ დავივიწყოთ ის და რომ
საშუალება ვიხმაროთ იმის სახსოვრათ.

ჩვენ რომ სხვა-და-სხვა მიზეზებით გაღირიბე-
ბულნი არ ვიყვნეთ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობა
იქნებოდა აგვემართა მარი ბროსსესათვის ძეგლი,
მაგრამ რაღგანაც ჩვენი სიღარიბე ამის ნებას არ
გვაძლევს, ამისათვის ეს მივანდოთ ჩვენს შთამო-
მავლობას, რომელიც, იქნება, ჩვენზედ მდიდრები
და ბეღნიერები შეიქნენ და ჩვენ კი ცუდათ არ
მოვიქცეოდით, რომ ერთი წლის, ანუ რამდენიმე
წლის განმავლობაში მოგვეგროვებინა ფული და
იმის სარგებლით დაგვენიშნა ერთი, ანუ რამდე-
ნიმე სტიპენდიატი გიმნაზიაში, სემინარიაში, ანუ
უნივერსიტეტში ბ. ბროსსეს სახელობაზედ. გან-
საკუთრებით შეიძლებოდა მხედველობაში გვყო-
ლოდა იმ მოსწავლეთაგანი, ვინც ყველაზედ მეტს
წარმატებას და ნიჭს გამოიჩენდა ქართული ენის
შესწავლაში“ („დროება“, 1880.10.IX. № 198).



მარი ბროსეს ხსოვნისადმი ქართველი ხალხის
ასეთი გულმხურვალე სიყვარულისა და პატივის უცნებელობისა
ცემის გამოჩენის გამო მისი მაღლიერი შვილი
ლორან ბროსე პეტერბურგიდან იწერებოდა: „მი-
ოღეთ და გადაეცით მამის-ჩემის მეგობართა გუ-
ლითადი მაღლობა ჩვენის სახლობისა იმ თანა-
გრძნობისათვის, რომელიც ჩვენ მოგვივიდა შემ-
თხვევის გამო ბროსეს სიკვდილისა. ლორან ბრო-
სე“ (იხ. „დროება“, 1880.16.IX. № 195).

მარი ბროსეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის
შესახებ ქართულ პრესაში სხვადასხვა დროს ამის
შემდეგაც იბეჭდებოდა (იხ. მაგალითაც, ესომ-ის
ფსევდონიმით დაბეჭდილი მ. ჯანაშვილის „მარი
ბროსე“, რომელიც ძირითადად დამყარებულია
ლ. ბროსეს შრომაზე, „საქართველოს კალენდა-
რი“, 1894, გვ. 393—400), ხოლო უფრო აღრე,
1887 წელს მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდ-
რეობის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ (№№ 13, 60,
61, 66, 82, 83) გამოქვეყნებულ გამოკვლევაში
მ. ჯანაშვილი წერდა: „საფუძვლიანად, სინდისიე-
რად და მიუდგომლად საქართველოს ისტორიის
შესწავლა დაიწყო დაუკიწყარმა მარი ბროსემ.
დიალ, ბროსე იყო მიუდგომელი, დაუღალავი
შრომელი, მან გადააჭარბა ყველა ჩვენ ისტორი-
კოსებს, ქართველთა ერს მან დაუდგა საუკუნო
ძეგლი... მრავლის შრომით, დაუღალავი მუშაობით
განსვენებულმა „ქართლის ცხოვრებას“ მოუპოვა
ნდობა მეცნიერებისა“ (იხ. „ივერია“, 1887,
№ 13); რაც შეეხება მარი ბროსეს შეხედულებას

ქართული ენის ინდოევროპულობის შესახებ, იგი
მ. ჯანაშვილმა ესომ-ის ფსევდონიმით განსაზღვრავა
წერილში „მეცნიერთა აზრი ქართული ენის შე-
სახებ“ (იხ. „ივერია“, 1888, № 232). მაგრამ
ბროსესადმი ქართველი ხალხის უსაზღვრო სი-
ყვარულისა და პატივისცემის გრძნობა კიდევ უფ-
რო მეტი ძალით გამომჟღავნდა 1902 წელს, მარი
ბროსეს დაბადების 100 წლისთავის დღეებში. ამ
ღირსშესანიშნავი თარიღის მართლაც ღირსეულად
აღნიშვნას იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ილია ჭავ-
ჭავაძე და მისი „ივერია“.

ჯერ იყო და, 1901 წლის 13 მარტს (№ 57)
გაზეთმა „ივერიამ“ გადმობეჭდა „ლე კოკაზ
ილუსტრე“-ს 1900 წლის უკანასკნელ ნომერში
დასტამბული კავკასიაში მოღვაწე ცნობილი უურ-
ნალისტის ჟ. მურიეს ღია წერტილი თბილისის
მოურავის ევანგულოვისადმი:

„სახელოვან მხედართა გვერდით კავკასიას
ქეგლები უნდა დაედგა აგრეთვე ორის სახელოვა-
ნის მწერლისა და მეცნიერისთვის. მე მოგახსე-
ნებთ ბროსესა და დიუბუა დე მონპერეს შესახებ.
თუ პირველი ღრმა განათლებასთან ერთად თაყვან
სცემდა საქართველოსა და სომხეთის გავლილ
ცხოვრებას, მეორე — ღიდ ნიჭიერ გეოგრაფოს,
გეოლოგოს და ბოტანისტთან ერთად მაღლიანი და
შემქცევი მომთხრობელი და სინდისიერი მწერალი
იყო. მათ ძვირფას თხზულებათა, რასაც ვერასო-
დეს ვერვინ აღემატება სინამდვილისა და მეცნიე-
რებრივის სისწორის თვალით, უკვდავ პყვეს ორი



ერი, რომლის ნანაშვე გაურკვეველსა და ბრძოლისას შუქი მიაყენა ბროსეს მიერ ამოკითხულმა წარწერებმა, მისმა ლინგვისტურმა კვლევა-ძიებამ და მისმა თარგმანმა „ქართლის ცხოვრებისამ“. დიუბუა დე მონპერემ თავისდა საპატიოდ აღწერა და გამოაქვეყნა მგზავრობა და ატლასი, ორივე შედევრი და ყოვლის ცნობის დაუშრეტელი წყარო. ქალაქის თვითმმართველობა, რომელიც უცნაურისა და უმნიშვნელო სახელწოდებით უხვია, როცა საქმე მიდგება ახალის ქუჩის დასახელებაზედ, ნუთუ ვერ მოახერხებს, თავისს ავხმოვან საქუჩო სახელთა შორის, მიუჩინოს ადგილი ორს თუნუქის ფიცარს, რომელიც ყველას-თვის გასაგები და მოსაწონი იქნებოდა და მოასწავებდა მადლობის მცირე და სამართლიან სასყიდელს, ორის ნიჭიერის კაცის სახსოვრად გარდახდილს“.

ეტყობა, ილია ჭავჭავაძე მარტო ჟ. მურიეს ლია წერილის გადმობეჭდვით არ დაკმაყოფილებულა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით აღუძრავს შუამდგომლობა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა თბილისის „ერთ-ერთ ქუჩათაგანს დაერქვას სახელი განსვენებულის ისტორიკოს-არქეოლოგის მარი ბროსსესი, რომელსაც დიდი სამეცნიერო შრომა მიუძღვის ჩვენის მხრის წინაშე. ევროპი-ელთაგან მან პირველმა აიღო ჩვენის ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიეროდ შესწავლის სპეციალურ საგნად და მიიპყრო მთელის გა-



ნათლებულ ქვეყნების მეცნიერთა ყურადღებისა (იხ. „ივერია“, 1902.3.III. № 48). ამას გარდა, რ. დოდაშვილის ცნობით, „ბროსეს დაბადების 100 წლის აღსანიშნავად 1902 წლის მარტს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ილია ჭავჭავაძემ თბილისის თვითმმართველობას განუცხადა: „ქალაქის თვითმმართველობისთვის უცნობი არ არის, თუ რა ფასდაუდებელი ამაგი დასდო განსვენებულმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა მ. ბროსემ კავკასიის მცოდნეობას თავისი ვრცელი გამოკვლევებით საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ცხოვრებიდან, რომლის ლიტერატურული ძეგლები, „ქართლის ცხოვრების“ სახელით ცნობილი ისტორიული ქრონიკები და ბატონიშვილი ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“ მთლიანად თარგმნა ფრანგულ ენაზე და აღჭურვა ისინი მნიშვნელოვანის კომენტარებით. მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთავის შესრულების გამო, მისი ღვაწლის ყურადსალებად და სახსოვრად, საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი სთხოვოს ქალაქის თვითმმართველობას ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მარი ბროსეს სახელი“.⁹⁵

ამის პასუხად, იგივე „ივერია“ 1902 წლის 14 მარტს (№ 56) აუწყებდა თავის მკითხველებს: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თხოვნისამებრ ქალაქის საბჭოს კომისიამ 11 მარტის საღამოს სხდომაზე გადასწყვიტა ბროსეს სახელი დაერქვას „ვოდო-

ვოზნის“ ქუჩას პოლიციის მესამე უბანში“ ამაგრებითი აგრეთვე, „ცნობის ფურცელი“, 1902.13.III, № 1751; „ივერია“, 1903.24.VIII. № 181), რაც შემდეგ უცნობებიათ ბარსელონაში მყოფ ლორან ბროსესთვის (იხ. „ივერია“, 1904.30.VII. № 175).

ქართველმა ხალხმა 1902 წელს დიდი პატივით გადაიხადა მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავი. პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი: „მარი ბროსე“ („ივერია“, 1902.25.I. № 19), ზ. ჭიჭინაძის „მარი ბროსეს წერილი“ („ივერია“, 1902.2.II, № 27), „მარი ბროსე“ („კვალი“, 1902.27.I. № 5), დ. კარიჭაშვილის „მარი ბროსეს და მისი მოღვაწეობა“, რომელშიაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„მართალია, ბროსემ სომხური ენის შესწავლა ქართულზე აღრე დაიწყო, მაგრამ მალე თავის საგანგებო საგნად გაიხადა ქართული და სომხურს ენას და ისტორიას იმდენად მისდევდა, რამდენადაც მასში ჰპოვებდა მასალას ქართულის ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის... მანამდე უცნობი და უყურადღებოდ დატოვებული საქართველო თავის წარსულის ცხოვრებით, მწერლობით და ხელოვნებით, საინტერესო შეიქმნა ევროპისათვის ბროსეს წყალობით. იმან დაანახვა ქვეყანას, რომ საქართველოს პქონდა კულტურული წარსული, რომ ის იყო საცხოვრებელი ნიჭიერის და მამაცის ერისა, რომელსაც მიუძღვის ცოტაოდენი სამსახური თვით ევროპის წინაშე, რომ



ქართველთა მწერლობა და ხელოვნება უძველესი გველად არის გაჩენილი...

ბროსებ ჩაუდგა სული ქართულს ისტორიოგრაფიას, დაუმზადა მას ბლობად საზრდო და უანდერძა სხვებს მისგან სულჩადგმულის ისტორიოგრაფიის აღზრდა და განვითარება. ამ ღვაწლის-თვის ბროსე საუკუნოდ მოსახსენებელია ქართველთაგან. ვინატრებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ახლანდელ მკვლევართ პქონდეთ ბროსეს ენერგია, საქმის სიყვარული და ერთგულება“ („ცნობის ფურცელი“, 1902.24.I. № 1706).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით 1902 წლის 2 მარტს თბილისში ქართველ კათოლიკეთა ღვთის-შმობლის მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქნა მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთავის წირვა და პანაშვილი, რომელსაც დასწრებიან ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, ეპისკოპოსი კირიონი, საფრანგეთის კონსული, „წარმომადგენელნი ყველა ქართულ საერო და სასულიერო დაწესებულებათა, ტფილისის რედაქციებისა, სამეცნიერო საზოგადოებათა და აუარებელი ხალხი“... ჭაქარია ფალიაშვილის ლოტბარობით თურმე გალობდა მგალობელთა გუნდი (იხ. „ივერია“, 1902.22.II. № 44; 1902.1.III. № 46; 1902.3.III. № 48; „ცნობის ფურცელი“, 1902.28.II. № 1741).

ამ შემთხვევის გამო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს საფრანგეთის განათლების მინისტრის —



ეორე ლეგისთვის გაუგზავნია შემდეგი შინაარსებრივი დეპეშა:

„დღეს მრავალ ხალხისა და საფრანგეთის კონსულის თანადასწრებით ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაახდევინა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეპკლესიაში დაბადების ასის წლის თავის სადღესასწაულო წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა ფრანგის ბროსესი, პარიჟის აზიურ საზოგადოებისა და რუსეთის აკადემიის წევრისა, საქართველოს უწარჩინებულების ისტორიკოსისა და საქართველოს ისტორიის გამავრცელებლისა მსოფლიო ფრანგულის ენითა. საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის. სალაში საფრანგეთს.

თავადი ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარე წერაკითხვის საზოგადოებისა“ („ივერია“, 1902.3.III. № 48; იხ. აგრეთვე, „ცნობის ფურცელი“, 1902.4.III. № 1742).

ამავე დღეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს დეპეშა გაუგზავნია აგრეთვე ბარსელონაში რუსეთის მთავარი კონსულის, განსვენებულ მ. ბროსეს შვილის ლორან ბროსესათვის: „დღეს, მრავალ ხალხისა და საფრანგეთის კონსულის თანადასწრებით, „ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოებამ“ გარდაახდევინა ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეპკლესიაში დაბადების ასის



წლის თავის სადღესასწაულო წირვა და კართველი დი მოსახსენებლად სულისა მამისა თქვენისა, რო-შელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდო ქართველ-თა ერთათვის სამეცნიერო შრომით საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიის შესახებ, გააცნო ქვეყნიერობას ჩვენი მამული, რომელიც სამუდა-მოდ შეინახავს მის სახსოვარს ქართველთათვის ყოვლად ძვირფას სახელთა შორის“ („ცნობის ფურცელი“, 1902.13.III. № 1751).

აღნიშნულ დეპეშებზე ილია ჭავჭავაძემ მიიღო პასუხი საფრანგეთის განათლების მინისტრის უორჟ ლეგისა: „დიდად აღტაცებული ვარ მის გა-მო, რომ თქვენი საზოგადოება იცავს მეცნიერი ბროსეს სახსენებელსა. თქვენი პატივისცემა მიმი-ჩნევია ახალ ნიშნად იმ მეგობრობის კავშირთა, რომელნიც აერთებენ ორთავ ჩვენს ქვეყნებსა. უორჟ ლეგ, მინისტრი სახალხო განათლებისა“, ხოლო ლორან ბროსე, იმჟამად რუსეთის კონსული, ბარსელონიდან იწერებოდა: „კეთილშობილ ქართველთა ერის მიერ მამიჩემის მოგონებამ დი-დად იღმიტაცა. გთხოვთ გადასცეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-დოებას მადლობა ერთობით ჩემის სახლობისა და ჩემი პირადი თანაგრძნობაცა“ (იხ. „ივერია“, 1902.13.III. № 55; „ცნობის ფურცელი“, 1902.13.III. № 1751).

რ. დოდაშვილს მოჰყავს ლორან ბროსეს მეო-რე წერილიც: „... მე მოწამე ვიყავი იმ უსაზღვრო ურთგულებისა, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩემს



მშობელს ქართველი ხალხის სიძველეთა ძეგლებზე შესწავლის დროს. მან მთელი არსებით შეიყვარა საქართველო და ქართველები, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუკავშირა თავისი გონებრივი შისტრაფებანი და მეცნიერული მოღვაწეობა. საქართველოსადმი თავისი სიყვარული მე გადმომცა და მიანდერძა“.⁹⁶

მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთავი იმავე წლის 2 მარტს საზეიმოდ აღუნიშნავთ ქუთაის-შიაც (იხ. „ივერია“, 1902.9.III. № 52; „ცნობის ფურცელი“, 1902.3.III.№ 1741).

* * *

მარი ბროსემ ღირსეულად მოიმკო დიდი ჭირნახული. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის დაისზე იგი მოესწრო იმ ქვეყნისა და ხალხის ისტორიისა და ლიტერატურის აღიარებას, რომელსაც შესწირა მან თავისი ნიჭი და ენერგია. სამაგიეროდ, იგი მოესწრო აგრეთვე ამ ქვეყნისა და ხალხის სიყვარულსა და აღიარებას, რასაც თვითონაც გრძნობდა და 1879 წლის 15 მარტს პეტერბურგიდან თავმდაბლად წერდა ზ. ჭიჭინაძეს:

„ქართველები ჩემს ღირსებას მეტად აფასებენ ჩემგან ნაშრომებს მათის მწერლობისათვის, რომელთაგან სიამოვნებას გარდა მიმიღია დიდი ბედნიერება. მასსოვს დრო ესე, როდის ჩემნი მემაშულენი გიჟად მწოდებდენ, ვითომ ქართული

მწერლობა არა ღირს არაფრისა. მეღირს შეუდგენდეს
წყალობით, წინააღმდეგის დამტკიცება“.⁹⁷

მარი ბროსე ყოველდღიურ ცოცხალ კავშირში
იყო საქართველოსთან, ქართველ მწერლებთან, აქ
მოღვაწე მეცნიერებთან. ზ. ჭიჭინაძის მოწმობით,
„მ. ბროსე იბარებდა თითქმის ყველა ქართულ
წიგნს, წიგნაკებს, თვითონ მცირე ფურცლებსაც.
ჟურნალ-გაზეთებისა ხომ არაფერი გამორჩე-
ბოდა“.⁹⁸

მ. ბროსე ხედავდა, თუ მის თვალწინ, განსა-
კუთრებით ჩვენი სამოციანელების სამოქმედო ას-
პარეზზე გამოსვლის შემდეგ, როგორ დაწინაურდა
ქართული მწერლობა და მეცნიერება, როგორ თან-
დათან გაიშალა ქართველთა ეროვნულ-გამათავი-
სუფლებელი მოძრაობა, როგორ გამოფხიზლდა
ქართველთა ეროვნული თვითშეგნება. ამისი
ცოცხალი მაგალითია მ. ბროსეს დაინტერესება
ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით, კერძოდ, მისი
შედევრით „კაცია ადამიანით“, რომლის ფრან-
გულად თარგმნას იგი 1876 წელს შეუდგა: „ჩვენ
გვითხრეს, რომ... უფ. ბროსეს, რომელიც ასე მცო-
დნეა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატუ-
რისა, ამჟამად თ. ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ
მოთხოვას „კაცია-ადამიანს“ სთარგმნის ფრან-
ციზულს ენაზედ და აბეჭდინებსო“. — წერდა გაზ.
„დროება“, 1876 წლის 26 ნოემბერს (№ 128),⁹⁹
ხოლო იგივე გაზეთი 1878 წელს აუწყებდა მკით-
ხველებს: „ამბობენ... აკად. ბროსეს ქართული ლი-
ტერატურის ისტორიას სწერს ამჟამად ფრანცუ-

ჭულს ენაზედაო“, („დროება“, 1878. № 145).¹⁰⁰

განსაკუთრებული ურადღების ღირსებულების
მ. ბროსეს დაუცხრომელი ზრუნვა და ყურადღება
გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი
ბაქრაძის მეცნიერული მოღვაწეობისადმი, მისი
ზრდისა და დავაჟკაცებისათვის და მისი სახით,
ეროვნული კადრების გამოზრდისათვის.

პირველ რიგში, იგი დ. ბაქრაძეში ხედავდა
თავის ღირსეულ მემკვიდრეს: „ძალიან დავბერდი
და ამისათვის მწადიან რომ ყმაწვილმა ყმამა გა-
ათავოს ჩემგან დაწყებულით“ — წერდა იგი
დ. ბაქრაძეს 1866 წელს, ხოლო 1857 წელს ურ-
ნალ „ცისკარში“ (№ 2) მარი ბროსესადმი მიძღ-
ნილი დ. ბაქრაძის ნაშრომის „საქართველოს ის-
ტორიის წყაროების“ დაბეჭდვის გამო მ. ბროსეს
სამადლობელ წერილში ვკითხულობთ: „ეს სიტყვა
ძალიან მესიამოვნა, არა მხოლოდ მისთვის, რომ
თქვენ ღირსების მეტი აქებთ ჩემს ნამუშავევსა
და საქართველოს სიძველეთა და ისტორიის მე-
ძიებლობათა ჩემთა. მე ასეთი ქების მოყვარე არა
ვარ, რომ მივიჩემო ესოდენი ღირსება, რამდენად
აფასებთ დაწერილთა ჩემგან წიგნთა და სიტყვა-
თა. იმით უფრო მომეწონა წერილი თქვენი, რომ
ადრიდგანვე გიცნობ, „კავკაზში“ დაბეჭდილთა
სხვა-და-სხვათა გამო და სიხარულით შევიტყე ესე,
რომ უკანასკნელ გამოჩნდა საქარ-
თველოში თვით ქართველი კაცი, განათლების მოყვარე, რომ ელსა-
ურს გამოძიება და გამოცხადება

ძველის ყოფა-ქცევისა საქართველო
ოს ხალხთა, დათქვენგან ვს გაუმარტინებ
შეწევნასა: ჩანს თქვენ კარგათა მომზადებული
ბრძანდებით, ქართული ენა გეცოდინებათ რასაკვი-
რველია. გისწავლიათ უთუოდ ლატინური, ფრან-
ციცულ წიგნებს წაიკითხავთ: ამათი შეწევნითა,
მამულის მოსახსენებელნი და უცხოს მხარისაც
შემწედ გექნებიან: ნუ დაიშურებთ, ძიებითა და
მოთმინებით მოასწრებთ, და სურვილისა თქვე-
ნისა საგანს მიეწევით. ... მეორეთა გმადლობ, ბა-
ტონო, ამისათვის რომ საქართველო გიყვარს, და
მის ისტორიის და სიტყვიერების მეძიებელი
ბრძანდებით... ჭეშმარიტად ვაღიარებ, რომ რაც
მიქნია იმისი ათჯერ მეტი დარჩა საქნელად შემ-
დგომთა ჩემთა საქართველოს მოყვარეთა მიერ".¹⁰¹

ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობისადმი, ქართული მწერლობისა და მეც-
ნიერებისადმი, მ. ბროსეს ცოცხალ ინტერესს და
თანაგრძნობას, მის უკეთეს მომავალში მტკიცე
რწმენას მოწმობს ბროსეს სიტყვები, რომელიც
მას 1878 წელს პეტერბურგში შეიოთ ალ. ჭყონია-
სათვის განუცხადებია: „მე დიდად მოხარული ვარ,
რომ ქართველები ნელ-ნელა იღვიძებენ და თავის
უწინდელის ცხოვრების შესწავლას და თან ახლან-
დელის გაუმჯობესებას სცდილობენ. თქვენ ახლა
თქვენშივე გყავთ იმისთანა კაცები, რომელნიც
ოქვენს უწინდელს ცხოვრებას მეცნიერულად იძი-
ებენ. (მაგალითად მოიყვანა დიმ. ბაქრაძე, რომ-
ლის არჩეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და



აჭარაში იბეჭდებოდა მაშინ). თქვენ თანდათან ამ-
დიდრებთ თქვენს მამულს კარგის წიგნებით და გამოცემებით. ბროსე იმედნეულად უყურებდა
ჩვენს თანამედროვე მწერლობას და მის მომავალ-
სო“, — დასძენს აღ. ჭყონია.

მართლაც, რა შორს გამჭვრეტი აღმოჩნდა მა-
რი ბროსე, როგორ გამართლდა მისი წინათ-
გრძნობა!

თავი მეორე

მარი ბროსე — რუსთველოლოგი

მარი ბროსეს ღვაწლი რუსთველოლოგიაში მისი მარტო რუსთველოლოგიური შრომებით არ შემოიფარგლება. მ. ბროსეს ფართო ქართველოლოგიური ინტერესები, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული წარსულის მეცნიერულ გამოკვლევასა და უკეთ წარმოჩენას, იმავ დროს არსებითად ხელს უწყობდა რუსთველის ეპოქის შესწავლას, გენიალური ქართველი პოეტისა და მისი უკვდავი პოემის მოვლინების ისტორიული კანონზომიერების დასაბუთებას.

საგულისხმოა, რომ მარი ბროსეს პირველი ქართველოლოგიური ნაშრომები იმავდროულად რუსთველოლოგიური ხასიათის ძიებებითაა აღბეჭდილი. პარიზში მოღვაწე სრულიად ახალგაზრდა ორიენტალისტმა, რომელმაც ჯერ ხეირიანად ქართული წერა-კითხვაც კი არ იცოდა, ქართული ენისა და კულტურის შესწავლა სწორედ ქართული ბიბლიისა და ვეფხისტყაოსნის შესწავლით

დაიწყო და, ქართლის ცხოვრების“ ფუნდამენტური გამოკვლევებით გააგრძელა.

ქართული ბიბლია, ვეფხისტყაოსანი და „ქართლის ცხოვრება“ — აი, ის ძირითადი ქვაკუთხედი, რომელზედაც დაემყარა მარი ბროსეს ხანგრძლივი მეცნიერული შემოქმედება. მარი ბროსე პირდაპირ საოცრად ჩახვდა ამ სამი ძეგლის მაგისტრალურ მნიშვნელობას ჩვენი ეროვნული სულიერი კულტურისა და ისტორიის განვითარებაში.

ამის მჭევრმეტყველური დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მ. ბროსემ ქართული ენის შესწავლა პარიზში 1824 წელს სწორედ „ბიბლიის“ ქართული თარგმანებით დაიწყო,¹ ხოლო 1827 წელს გამოქვეყნებულ პირველსავე ქართველოლოგიურ ნაშრომში — „შენიშვნა ქართული ენის შესახებ“, უკვე ვეფხისტყაოსნის ორი პარიზული ხელნაწერი ჰქონდა განხილული.²

მარი ბროსეს რუსთველოლოგიური მოღვაწეობა ორ პერიოდად — პარიზსა და პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდებად იყოფა. პირველი პერიოდი მოღის 1827—36 წლებზე, მეორე კი — 1837—79 წწ.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მარი ბროსეს რუსთველოლოგიურ მოღვაწეობას როგორც პარიზში, ისე პეტერბურგში თვალყურს ადევნებდა და წარმართავდა XIX ს. I ნახევრის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი თეიმურაზ ბაგრატიონი. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მ. ბრონიშვილი შარაძე

სეს რუსთველოლოგიური შრომები იმთავითავა
გამოიჩინდა პროფესიული სიღრმითა 
ვა-ძიების სერიოზულობით.

ვახტანგ VI და თეიმურაზ ბაგრატიონი — აი,
ვინ იყვნენ მარი ბროსეს ნამდვილი წინამორბედნი
და მასწავლებლები რუსთველოლოგიაში. მათ შემ-
დევ სწორედ მარი ბროსეს ხვდა წილად შეექმნა
ახალი ეტაპი რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში. შესაძლოა, უფრო ჟუსტი იქნებოდა თუ ვიტყო-
დით, რომ ვახტანგ VI-ის შემდევ რუსთველოლო-
გიის განვითარების ისტორიაში ერთი მთლიანი და
ახალი ეტაპის შემქმნელია პეტერბურგის ქარ-
თველოლოგიური სკოლა. — თეიმურაზ ბაგრატი-
ონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი (აკად.
ნიკო მარის მოსკოვის მდე) და საქართველოში მო-
ღვაწე პლატონ იოსელიანი. მათ შორის კი, ერთი
პირველთაგანი ადგილი უეჭველად აკად. მარი
ბროსეს უჭირავს.

§ 1. ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორზე

მარი ბროსემ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვი-
ნაობის შესახებ პირველი საგანგებო შრომა 1830
წელს გამოაქვეყნა,¹ რომელიც ძირითადად დამყა-
რებულია პოემის პროლოგსა და ეპილოგ-
ში მოცემულ ცნობებზე. პოემის ტექსტს კი, რო-
გორც ვთქვით, იგი იცნობდა ორი პარიზული
ხელნაწერის მიხედვით: ერთია 1702 წელს გადა-

წერილი გეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციის
შემცველი ნუსხა — P—10, რომელსაც მ. ბროსების
ელიტერით აღნიშნავდა, ხოლო მეორე — 1811
წლის შოკლე რედაქციული ტიპის ხელნაწერი —
P—12, რომელსაც შესაბამისად F ხელნაწერს
უწოდებდა. ასე რომ, იმ ადგილებს, რაც ერთ
ხელნაწერს აკლდა, მ. ბროსე მეორეთი ავსებდა
და ამგვარად, მის განკარგულებაში ვეფხისტყაოს-
ნის ავტორის ვინაობის შესახებ პოემის პროლოგსა
და ეპოლოგში დაცული ყველა ცნობა იყრიდა
თავს. გარდა თვითონ ვეფხისტყაოსნის ამ ორი
ხელნაწერისა მაშინ, და ეს ხაზგასმით უნდა ით-
ქვას, მ. ბროსეს სხვა არავითარი წყარო, ან რაიმე
ქართველოლოგიური ლიტერატურა, თუ მხედვე-
ლობაში არ მივიღებთ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნს
საქართველოზე, რომლის გერმანულ თარგმანსაც
იგი იმოწმებდა,² ხელთ არ ჰქონია და ჯერ არც
თეიმურაზ ბაგრატიონთან ჰქონდა ურთიერთობა
დამყარებული. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა
ფრანგი ქართველოლოგი ძირითადად სწორად გა-
ერკვა პოემის რთულ ტექსტში და მისი ავტორის
შესახებ მთავარ ხაზებში მაინც მართებული დას-
კვნები გამოიტანა.

მ. ბროსე ასეთი თანმიმდევრობით იძლევა
ფრანგულ პროზაულ თარგმანს პროლოგის შემ-
დეგი სტროფებისა: „აწ ენა მინდა გამოთქმად...“, „
„მო, დავსხვეთ, ტარიელისთვის...“, „მე, რუსთვე-
ლი ხელობითა...“, „თამარს ვაქებდეთ, მეფესა...“, „
„მიბრძანეს, მათად საქებრად...“, აგრეთვე, ეპი-

ლოგის უკანასკნელი სტროფისა: „ამირან-დარე-
ჯანის ძე...“ და ამგვარი დასკვნა გამოაქვს: 
შა „ტარიელი“ შექმნილია თამარის მეფობის
დროს, მხედართმთავარ რუსთველის — „თამა-
რიანის“ ავტორის მიერ“ (გვ. 45). ყველაფრიდან
ჩანს, რომ „მე, რუსთველი ხელობითა...“, ბროსეს
ესმის როგორც: „მე, რუსთველმა, ლაშქრის მე-
თაურმა“ (ასე თარგმნის კიდეც მას ფრანგულად),
აქედან კი დასკვნა: რუსთველი მხედართმთავარი
ყოფილა (ასევე „მხედართმთავრად“ მოიხსენიებს
იგი რუსთველს ამავე ნაშრომის IV თავში: „ტა-
რიელის სტილი“, გვ. 50).³

საგანგებო ინტერესს იწვევს მ. ბროსეს ცდა —
რუსთველის შეთხზულად გამოაცხადოს აგრეთვე
„თამარიანიც“. იგი განაგრძობს: „თანამედროვეები
ამტკიცებენ, ამ ორი ნაწარმოებიდან [„ტარიელი“
და „თამარიანი“] მას მხოლოდ პირველი ეკუთვნი-
სო, მაგრამ ჩვენ მაინც ავტორის ნათქვამს ვეურ-
დნობით“ (გვ. 45). აქ ბროსე გულისხმობს „თა-
მარს ვაქებდეთ, მეფესა..., ვთქვენი ქებანი ვისნი
მე..., მიბრძანეს, მათად საქებრად..., ქება წარბთა
და წამწამთა...“ და მოჰყავს კიდეც მათი ფრანგუ-
ლი თარგმანი, რის საფუძველზე არაორაზროვნად
ამბობს: „რაც შეეხება „თამარის ქებას“, ჩანს,
ევგენიუსი შეცდა, როცა ეს ნაწარმოები ჩახრუხა-
ძეს მიაწერა; ყოველ შემთხვევაში, თუ რუსთვე-
ლის სიტყვები ამ საკითხზე სავსებით დამარწმუ-
ნებელი არაა, მის სასარგებლოდ მაინც გვიქმნის
მტკიცე ვარაუდს“ (გვ. 46).



„ჩანს, ევგენიუსი შეცდაო“, რომ ამ ბოლო ბროსე, მხედველობაში პქონდა ევგენი ბოლხოვი-ტინოვის დამოწერული წიგნის ის აღვილი, სა-დაც რუსი შეცნიერი აშკარად განასხვავებდა კრო-მანეთისაგან რუსთველსა და ჩახრუხაძეს და „თა-მარიანს“ ამ უკანასკნელის ქმნილებად მიიჩნევდა:

«Особенного упоминования достойны две на-
иначе древния поэмы Грузинския, В е п х и-
т ка ос ани т. е. Барсова кожа, и Т а м а р и-
ани, т. е. хвала Тамаре. Обе написаны за шесть
сот лет пред сим, во времена славного царст-
вования царицы Тамары, по ея, так ска-
зать, вдохновению. Обе сочинены близкими
ея боярами, первая, Руставелем, а вторая
Чахрухадзем»⁴.

მ. ბროსე ამით არ კმაყოფილდება და ვეფხის-
ტყაოსნის ვრცელი რედაქციის შემცველი პარიზუ-
ლი ნუსხიდან, რომელსაც იგი Е ხელნაწერს უწო-
დებს (P—10), თარგმნის ერთ ჩანართ (1956-
2123) სტროფსაც, რომლის, მ. ბროსეს მტკიცე
რწმენით, „სისწორეში ვერავინ შეატანს ეჭვს“
(გვ. 46). ესაა:

„მე ვთქვი ქება თამარისა და ხმელთა შინა მნათისა,
ვთქვი მათი ქება, მიზეზად მქონდა ქებისა მათისა.
რომანულისა თვალისა, მის ბროლისა და სათისა,
მემცა ვით მექო, ვერ აქებს ბრძენნი თუ შეკრბენ ათისა“.⁵

მაშასადამე, მ. ბროსეს აზრით, „თამარიანიც“
ვეფხისტყაოსნის ავტორის დაწერილია. როგორც



ცნობილია, გ. ბროსეს ეს შეხედულება მეტად მარტინ ბართველი მეტობებების შესახებ ღამის დაზენილ თავის განთქმულ გამოკვლევაში განავრცო და განავითარა ბ. მარმა, რომელმაც ასე შეაფასა გ. ბროსეს მოსაზრება: «Броссе думал, что эти гимны, красоте царицы, написанные Шотою, мы имеем в памятнике, дошедшем до нас с именем Чахрухадзе: он предполагал, что автор его Шота Руставели, а не Чахрухадзе. Это замечание у Броссе не вытекает из изучения самого хвалебного памятника, который ему казался одним цельным произведением: оно брошено попутно, как непримятательная догадка, основанная на том, что Руставели называет себя певцом Тамары. Но к мысли Броссе приходится и теперь, по близком и подробном изучении од Тамары, возвращаться, как к наиболее вероятному решению обсуждаемого вопроса, если исключить второстепенный вопрос о фамилии Чахрухадзе»⁶.

ბ. მარის ვარაუდით, „ვეფხისტყაოსნის“ და „თამარიანის“ ავტორი ერთი და იგივე პაროვნება — შოთა ჩახრუხაძე — მარტინ ბართველი და იგივე პაროვნება: «Быть может Шота по фамилии действительно был Чахрухадзе. В таком случае имя знаменитого поэта звучало бы полностью Шота Чахрухадзе Руставели: оды могли сохраниться с фамилиею, а стихотвор-

ный роман с именем и прозвищем популярного поэта»⁷, ჩასაც იგი გამოკვლევის დასკვნებშიც იმეორებდა: «Автор од, вероятно, Шота Руставели. «Чахрухадзе», если упоминание его основано на верном предании, есть фамилия Шоты Руставели»⁸. მართალია, ეს შეხედულება ბ. მარმა 1917 წელს უარყო,⁹ მაგრამ კვლავ გაიმეორა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.¹⁰ მ. ბროსე—ნ. მარის ეს მოსაზრება დღეს გაზიარებული არ არის სამეცნიერო ლიტერატურაში.¹¹

აქვე მ. ბროსეს არასწორად გაუგია ვეფხისტყაოსნის ეპილოგის უკანასკნელი სტროფის — „ამირან დარეჯანის ძე...“ შინაარსი: იგი აიგივებს და აერთიანებს „აბდულ-მესია შავთელსა“ და „ამირან-დარეჯანიანს“, ხოლო დილარგეთ მწერლის სახელი ჰგონია და ასე თარგმნის მას: „ნაწარმოების უკანასკნელ სტროფში ავტორი ამბობს: „მოსე ხონელმა შეთხზა პოემა „აბდულ-მესია შავთელი“, „შეაქო ამირან დარეჯანის ძე; დილარგეთ სარგის თმოგველი იყო დაუცხრომელი მწერალი; რუსთველმა, თვალცრემლიანმა, უმღერა ტარიელს“ (გვ. 45). ამიტომ შესაბამისად მის მიერ რუსთველის ეპოქის მწერლობაზე მცდარი ცნობებია წარმოდგენილი: „აქ დასახელებულ ავტორთაგან პირველი ორი ცნობილია საქართველოს მდიდარ ლიტერატურაში: მოსე ხონელი „დარეჯანიანის“ შემთხველია, მეორეც — სარგის თმოგველი — პროზაიკოსია, მან დაწერა



„ვისრამიანი“, რომლის სიუჟეტი კულტურული
(გვ. 45—46). სინამდვილეში კი, როგორც ვი-
ცით, „ამირან-დარეჯანიანი“ და „აბდულ-მესიანი“
ორი სხვადასხვა ნაწარმოებია, ხოლო რაც შეეხება
სარგის თმოგველს, მის მიერ თარგმნილი (და არა
დაწერილი) „ვისრამიანის“ სიუჟეტი კი არ არის
უცნობი ჩვენთვის, არამედ „დილარიანისა“.¹²
მ. ბროსეს ამ გაუგებრობების წყარო, როგორც
ჩანს, მის მიერ დამოწმებული ე. ბოლხოვიტინოვის
წიგნია, რომელშიც შავთელის თხზულება საერ-
თოდ არ არის დასახელებული (შდრ. გვ. 86—88),
ხოლო „ვისრამიანის“ ავტორად სარგის თმოგვე-
ლია გამოცხადებული (შდრ. გვ. 82). ვეფხისტყა-
ოსნის ავტორზე კი მ. ბროსე დაასკვნის: „რაც
შეეხება რუსთაველის ან, უკეთ, რუსთველის სა-
ხელს, ეს ან საკუთარი სახელი უნდა იყოს, ან
დიდგვაროვანთა მამულის სახელი. საქართველოში
მრავალი ადგილი ატარებს რუსთავის სახელს“
(გვ. 46) და იმოწმებს აკად. სენ-მარტენის ცნო-
ბილ ნაშრომს: „სომხეთის ისტორიისა და გეოგრა-
ფიის ნარკვევები“, ტ. II, პარიზი, 1819, გვ. 232;
როგორც ვხედავთ, მ. ბროსე პოეტის სახელს — შო-
თას ჯერ არ იცნობს, ან არ უთითებს.

ვეფხისტყაოსნის პროლოგის უკანასკნელი
სტროფისა და მასში დაცული ისტორიულ-ლიტე-
რატურული ცნობების გაშიფრვას მ. ბროსე კვლავ
დაუბრუნდა 1834 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომ-
ში „ლიტერატურული შენიშვნა ზოგიერთი ქარ-
თველი ავტორის შესახებ“.¹³

როგორც მ. ბროსე გვაუწყებს, „ეს ლექსები და მიმდინარეობა [„ამირან დარეჯანის ძე..“], რომლებიც სხვათა შორის, პოეტურად სუსტია, საინტერესო ცნობას. გვაწვდიან ქართული ლიტერატურის შესახებ, რამდენადაც სამივე ავტორი (ე. ი. მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, რუსთველი, ხოლო შავთელს* იგი კვლავ არ გამოყოფს*, გ. შ.) აქ ნახსენებია თვისი ნაწარმოებებითა და დაბადების აღვილით; სამივე მწერალი ერთნაირად უცნობია ევროპაში“ (გვ. 58). ამიტომ აღნიშნული სტროფის განმარტება მ. ბროსეს ფთხოვია თეიმურაზ ბაგრატიონისთვის: „ამ წერილის ავტორმა მიმართა კავკასიის ლიტერატურისა და ქვეყნების კარგ მცოდნეს, ფრიად განათლებულ პიროვნებას, რომლის სასაჩვებლო რჩევანი მუდამ გზის მაჩვენებელი იყო მისთვის. ბატონიშვილმა თეიმურაზმა, სააზიო საზოგადოების წევრმა და სიამაყემ, მოაწოდა მას მასალა, რომელსაც ახლავე გაგაცნობთ“ (გვ. 58).

მართლაც, მ. ბროსე აქ ბეჭდავს ფრანგულ თარგმანს თეიმურაზ ბაგრატიონის წერილისას, რომელიც 1833 წლის 9 ოქტომბრამდე უნდა იყოს დაწერილი.¹⁴ მასში დაწვრილებითაა განმარტებული თითოეული ტაეპი ამ სტროფისა („ამირან დარეჯანის ძე...“), განსაკუთრებით კი მეოთხე ტაეპი: „ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვს ცრემლ შეუშრომელსა“, რომელიც არსებითად წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ავტორის შეცნიერული ბიოგრაფიის შედგენის პირველ ცდას (მას თეიმურაზ ბაგრატიონი შემდეგაც არაერთხელ დაუბრუნდე-



ბა), და ანდენად, გზის გამკვლევი ხდება ბროსეს რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებაში. დღეს თეიმურაზის ეს წერილი ქართულადაც არის გამოქვეყნებული,¹⁵ ხოლო რუსთველის ბიოგრაფიის თაობაზე აქ, და სხვაგანაც, გადმოცემული თეიმურაზისეული ცნობები უკვე კრიტიკულად არის განხილულ-შეფასებული.¹⁶

ამის შემდეგ შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები აღძრულია ბროსეტის ხელმოწერით ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისთვის წამდლვარებულ „წინა-სიტყვაობაში“.

მართალია, დღეს უკვე გამორკვეულია, რომ ბროსეს აღნიშნული წინასიტყვაობა უმთავრესად ქართველ მეცნიერთა (თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ჩუბინაშვილი) კონსულტაციებით აქვს შედგენილი,¹⁷ მაგრამ ახლა იგი ჩვენთვის საინტერესოა, როგორც უცხოელი მეცნიერის ხელმოწერილი დაბეჭდილი დოკუმენტი, რომელმაც საუტაბო მნიშვნელობა შეიძინა რუსთველოლოგიის ისტორიაში.

თავდაპირველად, მ. ბროსე მოკრძალებით აღნიშნავს რუსთველის უბადლო ქართულს, მიუთითებს, რომ პოეტს უცხო ენებიც (არაბული, ბერძნული) კარგად უნდა სცოდნოდა, ამასთან, იზიარებს ტრადიციულ ცნობას, რუსთველის მიერ უმაღლესი განათლების საბერძნეთში მიღების თაობაზე, რისთვისაც იშველიებს XIII ს. სომეხისტორიკოს ვარდან დიდსაც, რომლის მიხედვით, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ყოველ

წელიწადს ორმოცამდე ყმაწვილი იგზავნებოდნენ მომავალი საქართველოდან ათენში სასწავლებლად,¹⁸ და ერთი მათგანი, ბროსეს მტკიცებით, ჩვენი პოეტიც უნდა ყოფილიყო, რომელსაც ათენიდან მობრუნების შემდეგ უნდა დაეწერა თავისი პოემა:

„უადგილოა ჩემგან ქება რუსთველისა, რეცა ქართველის მწერლისა. რუსთველი ასეთი მცოდნე იყო ქართულის ენისა, რომ მისი სწორი აქამიძე არ გამოჩენილა. არაბულიც კარგათ იცოდა, როგორც ამტკიცებენ ესოდენნი არაბულნი სიტყვები, შემოტანილნი მის მიერ ვეფხის-ტყაოსანში. აგრეთვე ბერძნულიც, რომელსაც აჩვენებს სხვა და სხვა ბერძენთ მწერლების სახელების წოდება, და ამისთვის ვერ უარ ვყოფთ, რომ რუსთველს საბერძნეთში საერთო სწავლა არ მიეღოს. რამეთუ სოშეხთ მეცხტორიკე ვძრდანი თვის საზოგადო მსოფლიო ისტორიაში მოუთხრობს, რომ დავით აღმაშენებელმა გაგზავნა ორმოცამდინ ყმაწვილი კაცები ათინაში სასწავლებლად. და შემდგომად ამისა ყოველ წელიწადს გაიგზავნებოდნენ ესოდენნი ქართველთა მეფეთაგან. უაჭველად რუსთველი იყო ერთი შათგანი, აღზრდილი საბერძნეთის შკოლაში, და რაც ბერძნულად ენასა ან ეპოვა პოემანი, თუ ფილოსოფიურნი წიგნი უთუოდ სულ წაეკითხა, და მის უკან თვისი პოემაც დასწერა“ (გვ. X).

„წინა-სიტყვაობის“ მომდევნო ადგილას, მ. ბროსე აგრძელებს შთა რუსოაველის ბიოგრაფიული ცნობების მოწოდებას. „ზემოთ ვსთქვით,



რომ მთხველი ვეფხვის ტყაოსნისა იყო რომ რუსთველი, რომელიც სიტყვითა რომელთამე ქართველთა მეცნიერთა, იყო თამარ მეფის მეჭურჭლეთ თუ მოლარეთ-უხუცესი. მაგრა ქართლის ცხოვრებაებში მისი სახელი სრულიად არსად არ მოიხსენება“ (გვ. XI).

მ. ბროსეს მიერ აქ დამოწმებული „სიტყვითა რომელთამე ქართველთა მეცნიერთა“ გულისხმობს ოეიმურაზ ბაგრატიონს, რომელსაც ტრადიციული ცნობა ვეფხისტყაოსნის ავტორის თამარის კარის მეჭურჭლეთუხუცესობაზე, დაუინებით აქვს გატარებული თავის რუსთველოლოგიურ შრომებში: „შოთა რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესი ანუ მოლარეთუხუცესი იყო დიდებულისა მეფისა თამარისა“ (განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გვ. 5), „შოთა რუსთველი... თამარ მეფისა მეჭურჭლეთ უხუცესი იყო, ესე იგი მოლარეთუხუცესი“ (ისტორია გიორგიისა..., გვ. 284) და სხვ.¹⁹

შოთა რუსთველის მოლარეთხუცესობა, იგივე მეჭურჭლეთუხუცესობა გატარებულია აგრეთვე ამავე გამოცემისთვის ბროსეს სახელით დართულ ე. წ. „ლექს-ანდერძში“:

„მოლარეთ-ხუცესს დიდსა მას, ვიტყვი პიიტიქს ქართველსა, გვარ-ჩინებულსა შოთასა მას უწოდებდეს სახელსა, დიდისა მეფის თამარის ჩინებულს თანა-შზრახველსა. ამ ლექსთა ტურფა-თხზულებით, სიბრძნითა გამომხატველსა“

(გვ. 223).

შავრამ ახლა უკვე ვიცით, რომ აღნიშნული „ლექს-ანდერძიც“, სინამდვილეში, თეიმურაზ ბაგრატიონია რატიონის დაწერილი ყოფილა.²⁰ როგორც ვიცით, შეხედულება შოთა რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობაზე დღესაც ძლიერად იკაფავს გზას რუსთველოლოგიაში და იგი თითქმის საეჭვოც აღარ არის. აღ. ბარამიძის სიტყვით „ახლა სავსებით სარწმუნოა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის იგივეობა“.²¹

იშველიებს რა ვეფხოსტყაოსნის ორ სტროფს (1841 წლის გამოცემით: ჩყპ — ბროსე შეცდომით ჩყპ-ს უთითებს და ჩქლზ სტროფები), რომლებშიც ნახსენებია „ვისრამიანისა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ გმირები („...ნუმცა თუ რამინს და ვისსა“, „ამირან დარეჯანის ძვე...“), მ. ბროსე დაასკვნის: „მხოლოდ ვიცით, რომ რუსთველმა თავისი პოემა ამირან-დარეჯანიანის და ვისრამიანის შემდგომად დასწერა (ჩყპ, ჩქლზ)“, ხოლო პოეტის ცხოვრების უკანასკნელ წლებზე მსჯელობისას იმოწმებს XVIII -ის ქართველ საეკლესიო მწერალსა და მოღვაწეს ტიმოთე გაბაშვილს: „რუსთველი... მას უკან [ვეფხისტყაოსნის დაწერის შემდეგ] მონაზონ იქმნა ქართველთ მონასტერს ჯვარს იერუსალიმს: ტიმოთე მიტრაპოლიტი ჰსწერს თვისის მიმოხილვაში რომ რუსთველი ზემოხსენებულს მონასტერში მარხია, და უნახავს შისი კედელზე დახატული სახე. ამის მეტი რუსთველის ცხოვრებისა არაფერი ვიცით“ (გვ. XI).

მართალია, სიცოცხლის ბოლო პერიოდში, იე-

რუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის მოღვაწეობას მხარს უჭერს, როგორიცაა ქალაქ ხური გადმოცემები,²² ისე ტიმოთე გრიგორია „მიმოსვლა“,²³ აგრეთვე, უკანასკნელი დროის სამეცნიერო ლიტერატურა,²⁴ მართალია ისიც, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ნ. ჩუბინაშვილის 1845 წლის,²⁵ ალ. ცაგარლის 1883 წლის²⁶ და ქართველ საბჭოთა მეცნიერ-მოღვაწეთა (ირ. აბაშიძე, გ. წერეთელი, ა. შანიძე) 1960 წლის²⁷ ექსპედიციებმა საბოლოოდ დაადასტურეს ტიმოთე გაბაშვილის ცნობა ჯვრის მონასტერში შოთა რუსთველის ფრესკული გამოსახულების (პორტრეტის) არსებობის შესახებ, მაგრამ ტიმოთე გაბაშვილს „თვისის მიმოხილვაში“ არსად არ უწერია, რომ „რუსთველი ზემოხსენებულს მონასტერში მარხიაო“, როგორც ამაჲ მ. ბროსე გვაუწყებს.

დღეს უკვე გარკვეულია, რომ ტიმოთე გაბაშვილისთვის მიწერილი ამ უცხო რუსთველოლოგიური ცნობის წყაროა თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური შრომები, რომლებშიც თეიმურაზი დაუინებით მიაწერს ტიმოთე გაბაშვილს („მაღალ ყოვლად სამღვდელო ტიმოთე მიტროპოლიტ მთავარ ეპისკოპოსი სწერს თვესა წმინდათა აღგილთა მოხილვასა“) ცნობას იმის შესახებ, თითქოს „რუსთველი შოთა ჯვარის მონასტერსა შინა აღსრულებულ არსდა მუნკე ჯვარის მონასტერსა შინა დაფლულ არს“. თვითონ თეიმურაზს ამ ცნობისთვის, აღბათ, უნდა ესარგებლა

მხოლოდდამხოლოდ ხალხური ზეპირგადმოცემით,
რადგან შესაფერისი წერილობითი საბუთი, ჯერ-
ჯერობით მაინც, მოპოვებული არა.²⁸

თეიმურაზ ბაგრატიონის ავტორიტეტის წყა-
ლობით კი, მის მიერ ტიმოთესათვის ზეპირად ში-
წერილი ეს უცხო ცნობა, შეუმოწმებლად შესულა
მ. ბროსეს აღნიშნულ „წინა-სიტყვაობაში“
(გვ. XI), რაც ასევე შეუმოწმებლად გაიმეორეს
შემდეგში დ. ჩუბინაშვილმა²⁹ და პლ. იოსელიან-
მა.³⁰

აქვე უნდა დავძინოთ, რომ 1851 წელს მ. ბრო-
სემ „ქართლის ცხოვრების დამატებანში“ ფრანგუ-
ლად დაბეჭდა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“
შერჩეული ადგილები,³¹ როგორც თვითონ გვაუწ-
ყებს ფალავანდიშვილისეული ნუსხის (ამჟამად
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინ-
გრადის განყოფილების ხელნაწერი E—13) მი-
ხედვით, მაგრამ აქ უკვე აღარაფერი უთქვამს შო-
თა რუსთველის იერუსალიმის ჯვრის მონასტერ-
ში დასაფლავების თაობაზე: ტ.გაბაშვილის თხზუ-
ლებიდან ადგილი რუსთველის შესახებ, სადაც
ლაპარაკია მხოლოდ რუსთველის მიერ ჯვრის მო-
ნასტრის განახლებასა და იქ მისი ფრესკის არსე-
ბობაზე, მ. ბროსეს ფრანგულად ზუსტად უთარ-
გმნია.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ 1830
წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში სენ-მარტენზე
დამყარებით, მ. ბროსემ უკვე იცოდა საქართვე-
ლოში მრავალი რუსთავის არსებობის ფაქტი,

მაგრამ, სახელდობრ, რომელი რუსთავილან
წარმოშობით ჩვენი პოეტი, არაფერს გვაუბნებლ-
და.³³ ამის შემდეგ 1834 წელს მან ფრანგულად
თარგმნა და გამოაქვეყნა თეიმურაზ ბაგრატიონის
ერთი წერილი, რომელშიც ვეფხისტყაოსნის ავ-
ტორი „გარეკანეთის რუსთავის (რომელიც შო-
რავს ტფილისს ექვსის მიღითა), ბოსტან-ქალაქის,
ანუ ნაგებების“ ე. ი. ჰერეთის რუსთავის მკვიდ-
რედ იყო გამოცხადებული.³⁴ ასე რომ, მ. ბროსეს-
თვისაც თითქოს უეჭველი უნდა ყოფილიყო შოთა
რუსთველის ჰერეთლობა. მაგრამ ვეფხისტყაოსნის
1841 წლის გამოცემისთვის „ფრანცუცი ბროსეტ“-
ის სახელით დართულ ე. წ. „ლექს-ანდერძში“
(გვ. 223) ვკითხულობთ:

„შოთთა იშვა სამესხეთოს დაბასა შინა, ქებული.
მას რუსთავად უწოდებდნენ, ძველთაგან იყო გებული.
ეს წიგნი ვეფხის-ტყაოსნად მისგან არს სახელ-დებული,
ბრძენთ დარმონია-დატვბობით მით იშვებს ყოვლ კაცთ

კრებული“.

ეს მით უფრო მოულოდნელია, რადგან, რო-
გორც უკვე შევნიშნეთ, დღეს უკვე გამორკვეუ-
ლია (ალ. კობახიძე, ლ. ქუთათელაძე), რომ აღ-
ნიშნული „ლექს-ანდერძიც“ სინამდვილეში თეი-
მურაზ ბაგრატიონის დაწერილია.

მაგრამ აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ ვეფხის-
ტყაოსნის 1841 გამოცემაში აქტიურ მონაწილე-
ობას ღებულობდა დავით ჩუბინაშვილიც და მისი



სახელი გარდა იმისა, რომ მ. ბროსესა და ჸ. ფა-
ლავანდიშვილის ვკერდით სატიტულო ფურცელი მომდევ
ზეა გამოწერილი მოხსენიებული, ასევე საგანგე-
ბოდ არის იგი მ. ბროსეს მიერ მოხსენიებული „წი-
ნასიტყვაობაშიც“: „ამ წიგნის დაბეჭდვაზე დასა-
კუთრად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. ჩუბი-
ნოვმა გულითადი შემწეობა მიჩვენა“. (გვ. XIV)
და ე. წ. „ლექს-ანდერძშიც“: „კალავ ფალავან-
დოვი ჩემთან და ჩუბინოვიც მღვწელია“ გვ.
224). დავით ჩუბინაშვილს კი, როგორც ცნობი-
ლია, მტკიცედ სწამდა ხალხურ გაღმოცემებსა, და
ნაწილობრივ, გვიანდელ ლიტერატურულ წყარო-
ებზე (მაგ., არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და
რუსთველისა“) დამყარებული ტრადიციული
თვალსაზრისი შოთა რუსთველის მესხეთის რუს-
თავიდან წარმომავლობის შესახებ: «Шота рустა-
вель родился в незначительном городе Руста-
ви, в провинции Ахалцихской». ³⁵

ეტყობა, დ. ჩუბინაშვილის ეს თვალსაზრისი
შოთა რუსთველის მესხეთის თაობაზე გაუზიარე-
ბია მ. ბროსეს და მათ, როგორც გამოირკვა, თეი-
მურაზ ბაგრატიონის მიერ დაწერილი „ლექს-ან-
დერძიც“ კი გადაუკეთებიათ თავისებურ ყაიდაზე.
თურმე თეიმურაზის ავტოგრაფში ეწერა:

„შოთა იშვა რუსთავისა ქალაქსა შინა ქებული
მას ბოსტან-ქალაქს უწოდენ, ძველთაგან იყო გებული..“

ხოლო პოემის 1841 წლის გამოცემაში კი დაუ-
ბეჭდავთ:

„შოთა იშვა სამესხეთოს დაბასა შინა ქებული,
მას რუსთავად უწოდებდნენ, ძველთაგზე რეფლული
უკავშირობისა”

ქებული...“³⁶

შოთა რუსთველის მესხეთის (ახალციხის) რუსთავიდან წარმოშოვლობა მ. ბროსემ გიმეორა 1877 წელს განოქვეყნებულ ნაშრომში „ქართული რომანტიკული ლიტერატურა“,³⁷ საღაც იგი კვლავ შეეხო ვეფხისტყაოსნის ეპილოგის უკანასკნელ სტროფს („ამირან დარეჯანის ძე...“) და მისი ასეთი განმარტება შემოგვთავაზა: „ამგვარად, მოსე ხონელმა (იმერეთიდან) დაწერა რომანი პროზად — „ამირანდარეჯანიანი“; შავთელმა (შავშეთიდან) — ამჟამად დაკარგული პოემა — „აბდულმესია“; გროსარგისმა ან, უბრალოდ, სარგის თმოგველმა — წიგნი (ასევე დაკარგული) დილარზე ან დილარგეთზე; რუსთველმა — რუსთავიდან (ახალციხის ახლოს) — პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 65) თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ. ბროსე არც შოთა რუსთველის პერეთლობის თეიმურაზ ბაგრატიონისეული თეორიისადმი ყოფილა გულგრილი. როგორც ს. ყაუხეჩიშვილი იუწყება, შოთა პერეთის ერისთავის (- შოთა კუპრის) შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ჭამთააღმწერლის ცნობისათვის („...პერეთის ერისთავი შოთაი, რომელსაც მანისი ფერობისათვს კუპრობით უჯმობდეს“) მ. ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ საკუთარ ნუსხაში (ლენინგრადის ყოფ. სააზიო მუზეუმის ხელნაწერი



№ 41) ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „შოთა რუსთაველი (რუსთაველი?) ეს უნდა ცუოს ჩვენი პოეტი, რადგან ის იყო რუსთავიდან, კახეთის მახლობლად (რომ არის)“.³⁸

ასე იყო თუ ისე, შოთა რუსთველის მესხობის თეორია დღეს უფრო გაზიარებულია,³⁹ ხოლო პოეტის პერეთლობას იცავს პ. ინგოროვა,⁴⁰ რაც თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა შემცირებულოვნად უარყოფილია,⁴¹ თუმცა აღ. ბარამიძის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის ავტორი შეიძლება ყოფილიყო მესხეთის რუსთავიდანაც და თბილისის რუსთავიდანაც. ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად ჯერ-ჯერობით რაიმე მტკიცე საბუთი არ მოგვეპოვება, თუმცა ზოგი რამე გარკვეული რუსთველის მესხობის სასარგებლოდ მეტყველებს“.⁴²

ამავე ნაშრომში (1877 წ.) მ. ბროსე კვლავ შეეხო შოთა რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობას და პოეტის გარდაცვალების თარიღიდ 1215 წელი მიუთითა: „რაც შეეხება ავტორს, შოთა რუსთველს, იგი თამარ მეფის თანამედროვე და მისი მეჭურჭლეთუხუცესი (ე. ი. ფინანსთა მინისტრი) იყო. როგორც ამბობენ, 1215 წელს გარდაცვლილა იერუსალიმში, სადაც ბერად ყოფილა“ (გვ. 65).

მართალია, წყაროს არ მიუთითებს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი ცნობა მ. ბროსეს აღებული უნდა პქონდეს პლატონ იოსელიანისაგან, რომელიც ანტონ I-ის „წყობილ-სიტყვაობის“ კომენტარებში 1853 წელს წერდა:



„შოთა რუსთაველი პსკოვრებდა დედოფლის
თამარისა ქანსა: მონოზონად აღკუშცილი, გარდა-
იცშალა იერუსალიმსა 1215 წელსა“.⁴³

ამის შემდეგ მ. ბროსეს შოთა რუსთაველის
ბიოგრაფიის საკითხებზე სხვა მეტი არაფერი დაუ-
წერია.

§ 2 პოემის სიუჟეტის ორიგინალობის დასაბუთება

ერთადერთი რუსთველოლოგიური ხასიათის
წიგნი, რომლითაც მარი ბროსე თეიმურაზ ბაგ-
რატიონის გაცნობამდე (1830 წ.) სარგებლობდა,
იყო რუსი მეცნიერის ე. ბოლხოვიტინოვის ცნო-
ბილი ნაშრომის (სპბ., 1802) გერმანული თარ-
გმანი (რიგა-ლაიფციგი, 1804), რომელშიც ვაფ-
ხისტყაოსნის ამბის წარმომავლობასთან დაკავში-
რებით ნათქვამია: «Содержание поэмы Вепхис-
ткаосани есть почти романическое, в зятое
изъ Индейской истории»¹. ამ შეხედუ-
ლების გავლენა აისახა თუნდაც პოემის სიუჟეტზე
ბროსეს აღრინდელ წარმოდგენებში მანამ, სანამ
იგი წერილობით კონტაქტებს დაამყარებდა პე-
ტერბურგში მცხოვრებ ქართველ სწავლულ ბა-
ტონიშვილთან — თეიმურაზთან და გაეცნობოდა
ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემისთვის დარ-
თულ ვახტანგ VI-ის კომენტარებს, რომელშიაც
პოემის სიუჟეტის ორიგინალობის პრობლემა მკა-
ფიოდ და ნათლად იყო უკვე გადაწყვეტილი: რუს-
თველს „თამარ... ქართულად ლექსის თქმა უბრ-

ძანა, ლექსიც იმას გაუკეთებია და ამბავიცა“, რუსთველი „იმ თავის მოგონილია ზღაპრის რიელისას და ავთანდილისას უბნობს...“, „ეს ამ-ბავი სპარსში არ არის...“, „...სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება: ამბავიც თვითან გააკეთა და ლექ-სადაც...“.²

მ. ბროსეს ადრინდელ რუსთველოლოგიურ ნა-აზრევზე ე. ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის გავლენის თვალსაჩინო ნიმუშად მოვიტანთ ერთ მაგალითს. ირკვევა, რომ 1830 წელს გამოქვეყნებული მ. ბროსეს ნაშრომის „გამოკვლევანი ქართული პოეზიის შესახებ“ ერთი ადგილი პირდაპირ სიტ-ყვა-სიტყვით მისდევს ე. ბოლხოვიტინოვის წიგნს. შევუდაროთ:

ე. ბოლხოვიტინოვი

«...романы Бар а-миани, Росто-миани... (или похвала Ростому и другая так же писаны у грузинов героическими стихами), а особливо два славные романа, сочиненные еще при царице Тамаре, пер-

მ. ბროსე

„ზოგიერთი ისე-თი ნაწილმოები, რო-გორიცაა „ბარამია-ნი“, „როსტომიანი“ („როსტომის ქება“) და სხვა, პერი-კულ პოემებად ითვ-ლება საქართველო-ში; მაგრამ სტილის შეუდარებელი სი-ლამაზისა და ამაღლე-

вой Дареджани, автора Мойсе Хонеля, а второй Висрамиани, автора Саргис-Тмогвели во вкусе переписки Руссовой Элоизы,—обращаться еще письменными. Грузины весьма высоко почитают сии два последния сочинения за красоту неподражаемого и стиля и трогательность многих картин... Особенна-го упоминования достойны две наипаче древния поэмы Грузинский, Вепхисткаосани, т. е. Барсова ко-жа и Тамариани. Обе писаны за шестьсот лет пред сим, во времена славного царствования царицы Тамары,

ბული ხატელანდების
ნიმუშებად უსწოროსე
ლები სარგის ომო-
გველის „ვისრამი-
ანსა“ და მოსე ხონე-
ლის „დარეჯანიანს“
ასახელებენ ოქროს
საუკუნის პოეტურ ნა-
წარმოებთა შორის.
ეს ორი რომანი პრო-
ზად რცხოს „ელიო-
ზასებურია“. ლექ-
სებში ქართველები
გამოყოფენ „ტარი-
ელსა“ და „თამა-
რიანს“, რომლებიც
ერთგვარად თამარის
ღვთაებრივი საგმი-
რო საქმეებითაა შთა-
გონებული. ვერც აო-
ხრებამ, ვერც ვერავი-
თარმა უბედურებამ,
რაც ამდენი საუკუნის
განმავლობაში თავს
ატყდებოდა საქარ-
თველოს, ისინი ვერ
წაშალა ქართველ-
თა მექსიერებიდან“.
(„უკრნალ აზიატიკ“,



по ея так сказать, вдохновению... Обе у грузинов сохранены доныне в целости, и чрез столько веков различных угнетений, порабощений, опустошений их отечества, изтребивших многие их памятники, не могли изгладиться из их памяти». (Ист. изображение..., 1802, стр. 82, 85—86).

ტ. V, ქართ. თავი 26-იდან
бо б. ქადეოშვილი
ლისა, გვ. 43).

პოემის პროლოგის ერთ-ერთი სტროფის („ესე ამბავი სპარსული...“) საფუძველზე, რომელიც ბროსემ პარიზული ხელნაწერის მიხედვით იცოდა, თავის პირველ ნაშრომში, 1828 წელს, ფრანგმა მეცნიერმა „რუსთველი ამ სპარსული ამბის ავტორად“ მოიხსენია,³ ხოლო 1830 წელს, ვეფხისტყაოსნის სტილის თავისებურებებს იგი ასევე აღმოსავლური წყაროს გამოყენებით ჩსნიდა: „ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რომანი „ტარიელი“ საკმაოდ ახლოსაა ამავე სახის არაბულ წიგნებთან. „ათას ერთი ლამის“ დაკვირვებულმა წაკითხვამ ამის შევრი დამამტკიცებელი საბუთი მომცა. ორივე



ნაწარმოებში ერთნაირი გრძნობა ერთნაირ ალ-
ტყინებას იწვევს, თითქმის ერთნაირი სიკუფებია
თაა გამოხატული, ერთნაირ ეფექტს იძლევა. გა-
მოთქმები, გულის წასვლა, ტირილი, სიკვდილი
და ტრაგიკული შემთხვევები, მწუხარების ნიშნად
თავზე მტვრის დაყრა, ჩოგნით თამაში, ნაღიმები
მუსიკის თანხლებით, სიბნელეში ლამპასავით აბ-
დლვრთალებული ბრილიანტი; ბოლოს, სიყვარუ-
ლის, გმირობის, სიძლიერისა და სიშმაგის ენთუ-
ზიაზმი, — ყოველივე ეს „ტარიელში“ ისევეა
წარმოდგენილი, როგორც არაბულ რომანებში და
იმის მაჩვენებელია, თუ რა წყარო გამოიყენეს
ქართველებმა თავიანთი ამბებისათვის“.⁴

მაგრამ ამის შემდეგ მ. ბროსემ შეხედულება
თანდათან შეიცვალა (ამაში ალბათ თეიმურაზ
ბაგრატიონსაც მიუძღვის წვლილი!) და უკვე 1831
წელს საგანგებო ნარკვევში „ტარიელის“ მოქმე-
დების ადგილი და საკუთარი სახელები“, რუსთვე-
ლისეული „ესე ამბავი სპარსული...“, მსგავსად
ფრანგი მწერლის ლესაჟის (1668—1747) „ფილ-
ბლაზისა“, ვეფხისტყაოსნის ავტორის მიერ სიუ-
ჟეტური შენიდბას ხერხის გა-
მოყენებად გამოაცხადა: „ტარიელი“, — მი-
სი ავტორის გამოთქმას თუ ვიხმართ — ეს ობო-
ლი მარგალიტი, — მან ინდოეთში (!) იპოვა,
ფასდაუდებლად მიიჩნია, სპარსული სამოსი მოა-
შორა და თავისი ხალხის გემოვნებით მორთო.
ცხადია, როცა რუსთველი ამბობდა, ეს ამბავი
შორიდან გოდისო, ამით სურდა მეტი ფასი მიეცა



თავისი წიგნისათვის, როგორც ჩვენთან „ქილო-
ბლაზის“ გონიერამახვილი ავტორი აცხადებდა მუშაობების
მელჩიორ დე ლა რონდას ხელნაწერებში ვიპოვეთ.
„ტარიელის“ შთავარი გმირი რომ ინდოელია, ამა-
ზე არ გვსურს კამათი; რომ ხვარაზმი, არაბეთი,
ხატაეთი საქართველო არაა, არც ესაა საღავო,
მაგრამ აქ მხოლოდ პერსონაჟები და მათი საცხოვ-
რებელი ადგილებია ეგზოტიკური“.⁵

სხვათა შორის, უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ,
რომ თანამედროვე რუსთველოლოგიურ მეცნიე-
რებაშიც ანალოგიური ჸეხედულებაა გაბატონე-
ბული. ალ. ბარაშიძე წერს: „ვეფხისტყაოსნის ამ-
ბავი შეუქმნია თვითონ შოთა რუსთველს. „სპარ-
სული ამბის“ შომიზეზებით რუსთველმა გამოიყე-
ნა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი
ხერხი — სიუჟეტური შენიღბვის ხერხი, სიუჟე-
ტის ხელოვნურად გაუცხოურებისა და გაუცნაუ-
რების ხერხი... ასევე უნდა გადაწყდეს ვეფხის-
ტყაოსნის სიუჟეტის (ფაბულის) საკითხიც. რუს-
თველი შეგნებულად და გეგმაშეწონილად აუცხო-
ურებს თავისი პოემის სიუჟეტს, იყენებს სიუჟე-
ტური შენიღბვის ხერხს. შენიღბვის საჭიროებას
აღბათ იწვევდა ვეფხისტყაოსანში ასახული ამბის
გამჭვირვალე ისტორიული ასოციაციები და პოე-
მაში გატარებულ სოციალურ-პოლიტიკურ და სარ-
წმუნოებრივ-ფილოსოფიურ შეხედულებათა რა-
დიკალიზმი“.⁶

აქვე; თავისი დებულების დასასაბუთებლად,
მ. ბროსე საქართველოს ისტორიაში ჯერ დაწ-



რილებით ეძიებს ვეფხისტყაოსნის პერსონაჲ მუსტაფა ქადაგიშვილის, ნესტან-დარეჯანის, რამაზის, ავთან-დილის, თინათინის, ფატმანის, ჭარსაღანის სახელებს და პოულობს კიდევ მათ, რის შემდეგაც აცხადებს: „არც ერთი ეს სახელი ინდოეთის ისტორიაში არ გვხვდება. ასე დაწვრილებით განზრას შევჩერდი ამ საკითხზე, რათა მეჩვენებინა, რომ „ტარიელის“ გმირები ის ევე შეიძლება იყვნენ ქართველები, და რომ ისინი ალბათ ეროვნული გრძნობით შეარჩია ავტორმა, რაც პოეტისათვის სავსებით ნებადართულია“ (გვ. 55—56). ამას მოსდევს მ. ბროსეს ცდა, „პოემაში ნახსენები ქალაქები და ხალხიც“ საქართველოს ნიადაგზე ახსნას. კერძოდ, ვეფხისტყაოსნის ქაჯთა ქვეყანა მას აგონებს „მტკვრის ზემო წელზე ოდესაც გაშენებულ ქაჯთა ქალაქს, რომელსაც შემდეგ არტანისა და პურის სახელწოდება მიუღია“, სიტყვა „მიზგითაში“ გულუბრყვილოდ ეძიებს „ქართველთა ქვეყნის ძველი დედაქალაქის მცხეთის სახელს“, ასევე „ხატაეთს“ „ქართული ენის თავისებურებათა მიხედვით“ (ხატაი, ხატევლი, ხატი, მხატავი, ხატების მკეთებელი ან ხატაველი, ხატიანი კაცი) წარმოგვიდგენს, როგორც „ხატთაყვანისმცემელთა ქვეყანას“, პოემაში გამოყვანილი „ინდოეთის შვიდ სამეფოდ დაუფაზე“ კი ირონიულად შენიშნავს, ეს „ისეთი რამათ, რის შემოწმებაც ინდოეთის სპეციალისტებისთვის მიმინდვიაო“ და ა. შ., რის საფუძველ-



ზედაც დაასკვნის: „ამრიგად, მიმაჩნია, რომ რეგნულად „ტარიელი“ ინდური ამბავია, სახელების მიხედვით — სპარსული, ხოლო სხვა დანარჩენი ნიშნებით — ქართული“ (გვ. 58).

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის აღიარებაში მ. ბროსეს მკვეთრი და საბოლოო შემობრუნება გადაწყვიტა თეიმურაზ ბაგრატიონის მეცნიერულმა კონსულტაციებმა.

როგორც ცნობილია, თეიმურაზ ბაგრატიონი ამტკიცებდა, რომ „წიგნი ესე ვეფხისტყაოსანი შეიცავს თვისს შორის თუმცალა ზღაპარ-სიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა კელოვნებთა შეწყობილ არსეს ესე სრულიად ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენასა ჩვენისასა“ (განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედ., თბ., 1960, გვ. 292—293), ან კიდევ: „ესე უკვე წიგნი ლექსთანი ვეფხისტყაოსანი ყოველთა ქართველთა სიბრძნისმოყვარეთა შორის უმეტეს ყოველთა ზედა სხვათა ბევრთა თხზულებისაგან არს უმეტეს მოწონებული, ვინაიდან ქართულსა ხარაკტერსა ზედა არს შეწყობილი, ხოლო მელექსეობას შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, პრამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ თვისთა შეთხვისათვის საკუთარი ქართული ხართული ხარაკტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა“ (იქვე, გვ. 290—291). ამასვე იმეორებდა თეიმურაზი სხვაგანაც (იხ. წიგნისა-

ცავის კატალოგი, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1948, გვ. 38; წერილები მ. ბროსესადმი, უნივერსიტეტის ბანეიშვილის რედ., თბ., 1964, გვ. 37).⁷

უკვე გ. იმედაშვილმა შენიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის გავებაში თეიმურაზი ძირითადად ეყრდნობა ვახტანგის კონცეფციას..., მაგრამ ვახტანგისაგან განსხვავებით, თეიმურაზისათვის ორიგინალობა უპირატესად მაინც თვით პოემის მხატვრული ანალიზიდან გამოდის. მას მიაჩნია, რომ ვეფხისტყაოსნი არსებითად ქართული მოვლენაა. ის მოფიქრებულია ქართულად — მოქმედების განვითარებით, გმირთა ხასიათით, სტილით, ლექსიკით. მას არა აქვს ორეული, მსოფლიო ლიტერატურაში ის განსხვავებული მოვლენაა“⁸ ხოლო აღ. ბარამიძე, „სწავლული ბატონიშვილის თეიმურაზის“ დამოწმებით, წერს: „ვეფხისტყაოსნის ბევრ დაკვირვებულ მკვლევარს კარგად ჰქონდა შემჩნეული პოემის სიუჟეტისა და იდეური შინაარსის ორგანული კავშირი საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან, ქართველი ხალხის ცხოვრებასთან... ამ მხრივ არსებითად თეიმურაზ ბატონიშვილის თვალსაზრისს ავითარებს აკადემიკოსი მარი ბროსე ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემის წინასიტყვაში“⁹.

მართლაც, ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თეიმურაზისეული დასაბუთების გზას გაჰყვა მ. ბროსე, რომლის ხელმოწერით პოემის 1841 წლის გამოცემისათვის წამდლვარებულ „წინასიტყვაობაში“ კითხულობთ:



„თუმცა მოახსენებს რუსთველი (ივ), „მომ
ვეფხვის-ტყაოსანი პირველი იყო სპარსულად „მართლია
გალიტი... კელის-კელ საგოგმანები“, მაგრამ ნათ-
ლად ჰსჩანს, რომ თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე
უფრო თამარ მეფის ქებისათვის, და დაუწერია
შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათა: აზ-
რი ესე გამოცხადდების მუკლებით დ, ე, სადაც
ამბობს: „თამარს ვაქებდით... მიბძანეს ქება...“,
ამას გარდა ხვარაზმუაპის ძის ნესტან დარეჯანზე
გამიჯნურების ამბავი. ვინ არ მიხვდება მოსლვასა
ხორაზმუაპისა ტფილისს და თხოვნა თამარ მეფისა
ცოლად, როგორც მოუთხრობს ვახტანგ მეფე
თვის ქართლის ცხოვრებაში. და უსაცილოდ სხვა-
ნიცა მოქმედნი პირნი ვეფხვის-ტყაოსანისა თვით
ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო
მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა.
მესმა სწავლულთა ქართველთაგან, რომ თვით
ქაჯთა გვირაბი, რომელშიაც დატუსაღებული იყო
ნესტან დარეჯან, მისი მსგავსი იპოება იმერეთში.
გარნა გმირების ზნეობა, ყოფა-ქცევა, გულოვნო-
ბა, ძმური მეგობრობა, უთუოდ ქართველთ გულს,
ზნეობას, ერთის სიტყვით ვსთქვათ, სრულს მათს
ხარაკტერს გამოგვიხატავენ“ (გვ.IX),¹⁰ ხოლო სა-
ქართველოში ვეფხისტყაოსნის პოპულარობის
ერთ-ერთი მიზეზი, ბროსეს აზრით, არისო, „კმა-
საყოფელი აღწერა რუსთველის მიერ ზნეთა და
შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა“ (იქვე, გვ.
VII).

მანამდე კი, 1837 წლის 29 დეკემბერს პეტერ-

ბურგის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება-
სთვის წარდგენილ მოხსენებაში „საქართველოს მეცნიერება-
ისტორია და ლიტერატურა“¹¹ მ. ბროსე გულის-
ტკივილით აღნიშნავდა: „მშეცნიერი ქუცყანა ესე
თითქმის დავიწყებული ევროპის მატიანეთა ში-
ნა დროთაგან თამარისა და რუსუდანისა, აწ ჯერ-
არს წარმოსჩნდეს თვისთა ნაოხართაგან; სიბნელე
უცნობლობისა, რომელიც მოჰყენდა მას აქამომ-
დე, განქარდების და მტკიცედ ვიცი რომელ სიბნე-
ლესა ამისგან წარმოსჩნდების ბრწყინვალე სახიე-
რება ახლისა, ყრშისა ლიტერატურისა, — ასე,
რომე განკვრდებიან, თუ ვითარ აქამომდე ვერა
სცნობდნენ მას“.

ამის დასამტკიცებლად, მ. ბროსე ხატავს X—
XIII სს. საქართველოს სახელმწიფო და კულტუ-
რული აღზევების შემდეგ სურათს: „დარუბანდი-
დან ტრაპიზონადმდე, აფხაზეთიდან განჯადმდე მე-
ფენი საქართველოსანი [დიდებულთა მეფობათა
ბაგრატთა, გიორგითა, დავითთა და თამარისა] პა-
ტივსაცემინებენ სარწმუნოებასა თუსსა, სკიპტრა-
სა და ზედმოქმედებასა თვესა შთაზედა, და ამვუა-
რი მდგომარეობა მოქმედებათა განგრძელდების
სამ საუკუნეს. — საქართველო მოიფინების ძეგ-
ლებითა; ყოველგან აღიზართებიან ეკკლესიანი,
პალატნი, ტაგრუცნი მეფეთა საფლავთაზედა, —
რომელთა ნაქცეობათა აქამომდე შებრალებით
ჰფარავს თვით დროცა, რაგუარნიც არიან ვარ-
ძიისა, ქუთაისისა ციხე-დარბაზისა; წარმოსჩნდე-
ბიან გენიანი, რომელნიცა მიიყვანენ ქართულ-

სა ენასა უმაღლესსა სისრულედმდე; ერთის მხრივ, მთარგმნელი საღმრთო წერილისა ქველის დამატებითია ლის აღთქმისა; მეორეს მხრივ, შემთხუზველი თრთა დიდ-მშუცნიერთა ეპობეათა* ამირა ბისა და ტარიელისა. დრონი ესენი იყვნენ უდიდესთ საუკუნეთ საქართველოისა“.

აქვე მ. ბროსემ წარმოადგინა ქართული ლიტერატურის სამი დარგი: სასულიერო ლიტერატურა, საერთ პოეზია და საისტორიო მწერლობა. ქართული სასულიერო მწერლობა, მ. ბროსეს შეფასებით, არისთ «феномен, наблюдаемый равномерно у самых образованных Европейских народов», ხოლო «...цветы поэзии наполняли своим благоуханием все долины и венчали все вершины Кавказа. Приятно повторить здесь имена Руставеля, Монсия, Саргиса, Абдул-Мессии, Тшахрухадзе; раскрыть характер их поэтических талантов, и сделать разбор их произведений, столь оригинальных: и эта картина будет все еще История».

და ამ, აქ უკვე მ. ბროსე პირველად მიადგა მის მიერ ჩამოთვლილ ქართული ეროვნული მწერლობის ძეგლთა, მათ შორის, რუსთველის ეპობეის ორიგინალობისა და მათში გამოხატული ქართული ეროვნული და ისტორიული სინამდვილის ასახვის (აღიარების) იდეას: «... потому что действующия лица в этих произведениях суть Грузинские герои, под вымышленными

именами; и эти описания, блестящия поэтическим жаром, которыя кажутся только забавными вымыслами, излагают по большей части достопамятные дела известных мужей». Да бოд «Европа умела бы оценить если бы они были ей известны».

Маро ბროსეს აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, აღ. ბარამიძე წერს: „აკადემიკოსმა ბროსემ სათავე დაუდო ვეფხისტყაოსნის შინაარსის აღ ე გორიად მიჩნევას და იმის ისტორიულ-ნაციონალურ ინტერპრეტაციას. ბროსეს გზას მიჰყვნენ ვეფხისტყაოსნის მკვლევართა თაობები“.¹² ამასვე აღიარებს ლ. მენაბდე: „საყურადღებო და მნიშვნელოვანი ისაა, რომ მ. ბროსემ ვეფხისტყაოსნის შინაარსი აღევორიულად მიიჩნია, პოემაში მოთხრობილი ამბავი საქართველოს კონკრეტულ სინამდვილეს დაუკავშირა და სათავე დაუდო რუსთველის თხზულების ისტორიულეროვნულ ინტერპრეტაციას“.¹³ ამდენად, საკითხის ისტორია ზუსტი არ ჩანს კ. კეკელიძის მტკიცებაში: „პირველი, ვინც ასეთი გზით მიუღვა საკითხს, იყო აწ განსვენებული პროფ. დ. ჩუბინაშვილი; ის ფიქრობდა, რომ პოემა თამარის მეფობაშია დაწერილი და მის პერსონალურ ისტორიას შეიცავს“.¹⁴ იგულისხმებოდა დ. ჩუბინაშვილის ნაშრომი «О грузинской поэме Вепхис-Ткаосани или «Барсова кожа», Романеци პირველად 1842 წელს გამოქვეყნდა,¹⁵ და შემდეგ, 1846 წელს გადაიბეჭდა მისსავე „ქართულ ქრისტომატიაში“¹⁶



და წარმოადგენს საქართველოს ისტორიულ ნამდვილების ვეფხისტყაოსნის ანალოგიების შეძლების სერიოზულ ცდას.

მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის შემდეგ ამ თეორიას ბევრი მიმღებარი და დამცველი გამოუჩნდა როგორც ძველად (ს. ბარათაშვილი, გ. იოსელიანი, ნ. გულაკი, დ. ბაქრაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ე. სტალინსკი, მ. ჯანაშვილი, ს. ქვარიანი, ნაწილობრივ, თვით ნ. მარიც), ისე ჩვენს დროში (პ. ინგოროვა, კ. ჭიჭინაძე, დ. ბენაშვილი, დ. ქუმსიშვილი), ხოლო უკიდურეს გაყალბებამდე მიიყვანა დ. დანდუროვმა.

მაგრამ როგორც უკვე კ. კაკელიძემ შენიშნა, „აქ მოყვანილი ანალოგიები ზოგი ისტორიულად არ მართლდება, ზოგი შემთხვევითი ხასიათისაა“,¹⁷ ხოლო ალ. ბარამიძის დასკვნით, „ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვეფხისტყაოსნის აღეგორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისს. ვეფხისტყაოსნის ამბისა და პერსონაჟების მოხმობილი ანალოგიები და პარალელები საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებს და ნებისმიერია“, თუმცა მისივე სიტყვებით, „ამისდა მიუხედავად, ჩვენთვის უდავოა, რომ რუსთველის პოემაში გარკვეული ასოციაციებით ნამდვილად აღბეჭდილია მე-12 საუკუნის საქართველოს სწორედ კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის ნიშანდობლივი მოვლენები და ცალკეული ფაქტებიც. ზოგი რამ ამ მხრით სრულიად გამჭვირვალეა“.¹⁸ სამართლიანია და უნდა დავე-
8. გურამ შარაძე

თანხმოთ ლ. მენაბდის შეფასებას, რომლის შედეგითაც „ამ კონცეფციამ თავის დროზე მიღწეული სად დადებითი როლი შეასრულა ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივების საქმეში. ნაწილობრივ მისი გავლენით აიხსნება ის ფქტი, რომ ვეფხისტყაოსნის ბევრი მკითხველი და დამფასებელი დაბეჯითებით იცავდა და ამ-ტკიცებდა პოემის ორიგინალობას, შიიჩნევდა მას ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლად“.¹⁹

მართლაც, ამის შემდეგ, აკად. ნ. მარამდე სა-ეჭვოდ არვის გაუხდია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობა. სებოლოოდ მაინც, ვერც ნ. მარის და მის შიმდევართა ეჭვებმა დაარღვია ჯერ ვახტანგ VI-ის და თეიმურაზ ბაგრატიონის, მერე მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილის საღ მეცნიერულ საბუთიანობაზე აგებული უკვდავი პოემის ორიგინალობის თეორია.

§ 3. ვეფხისტყაოსნის ტექსტის სტროფული შედგენილობისა და მოცულობის საკითხები

თავისი რუსთველოლოგიური მუშაობის პირველ ეტაპზე, როცა პ. ბროსე რუსთველის პოემას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ქართული რომანის“ ხელნაწერებით იცნობდა, იგი რუსთველისეულად აღიარებდა ვეფხისტყაოსნის ე. წ. ვრცელ რედაქციას (გაგრძელებებით), რომელიც დაცული იყო

1702 წელს გადაწერილ პარიზულ ნუსხაში (P—10). ამაში გვარწმუნებს 1828 წელს დაწერათა რილი მ. ბროსეს სიტყვები: „ამ რომანში ტარი გმირის ისტორიას არაფერი აკლია. პირველ ნაწილში ტარიელი ყმაწვილია, ხოლო უკანასკნელში — მოხუცი. ამგვარად, აღწერილია ტარიელის დაბადებაც და სიკვდილიც. ავთანდილიც კვდება. რუსთველი... მათ ანდერძებსაც კი გვამცნობს“.¹ ამიტომ, ბუნებრივია, მ. ბროსე იწუნებდა პოემაში გადმოცემული ამბის გაჭიანურებულ თხრობას: „ნაწარმოების კითხვისას არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ იგი უტანლად ორდელია, მასში ბევრი ამბავია მოთხრობილი. მიუხედავად ამ ნაკლისა, პოემა „ტარიელი“, რომელიც დაახლოებით რვა თასი ტაეპისაგან შედგება, დიდ ინტერესს იწვევს...“²

ამის შემდეგ მ. ბროსემ დაწვრილებით შეისწავლა ვეფხისტყაოსნის ორივე პარიზული ნუსხა, რომლებსაც იგი E და F ლიტერებით აღნიშნავდა. ამათგან E წარმოადგენს 1702 წელს შემახაში გადაწერილ პოემის ვრცელი რედაქციის შემცველ ნუსხას (დღევანდელი შიფრით P—10), ხოლო F კი — 1811 წელს იოანე იალღუზიძის მიერ პოემის ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარე მოკლე რედაქციული ტიპის ხელნაწერს (დღ. P—12).

ორივე ხელნაწერის შედარების შედეგად მიღებული დასკვნები მ. ბროსემ 1830 წელს გამოაქვეყნა.³ მისი სიტყვებით, „ამ ორ ხელნაწერში სამი სახის განსხვავება გვხვდება: 1. ხელნაწერი-

სა და ორთოგრაფიის ვარიანტები; 2. ტექსტების
ვარიანტები; 3. სარედაქციო ვარიანტები, რაც გიერთ საკითხში წინა ვარიანტებს ემთხვევა.

აქ განსაკუთრებით საინტერესოა მ. ბროსეს
დაკვირვება პოემის მოცულობაზე, საიდანაც ჩანს,
რომ მ. ბროსე უკვე თანდათან, ინტუიტურად და
ბეჯითი დამოუკიდებელი კვლევით გრძნობს პო-
ემის ვრცელი რედაქციის შემცველი ტექსტის ნაკ-
ლებ პოეტურ ღირსებას მოკლე რედაქციასთან
შედარებით: E ხელნაწერში, წერს მ. ბროსე, „ტარიელის“ ტექსტი... დაახლოებით 7808 ტაქტს
ქმნის და სათაურებთან ერთად 7921 სტრიქონს
„შეადგენს“, მაშინ როდესაც F ხელნაწერში „წი-
ნა ხელნაწერის 7921 სტრიქონიდან აქ შემორჩე-
ნილია 6265; ე. ი. 1656-ით ნაკლები, რაც შემო-
კლებულ 409 სტროფსა და 20 სათაურს უდრის.
მეორე მხრივ, დამატებულია 40 სტროფი და 4
სათაური, ე. ი. სულ 164 სტრიქონი. ამისგან და-
მოუკიდებლად, F ხელნაწერში მთელი წინასიტ-
ყვაობა გადაკეთებულია და ხშირად სტროფებში
მთელი ტაქტებია შეცვლილი ან მეტისმეტად გადა-
კეთებული. აი, სწორედ ამას ვუწოდებ მე სა-
რედაქციო ვარიანტებს, რასაც
ახალი ხელნაწერისათვის, თით-
ქმის მუდამ სარგებლობა მოაქვს.
შემთკლებების და ცვლილებე-
ბის უმეტესი წილი გონივრულა-
და გაკეთებული, გარდა ბოლო ნაწილი-
სა, სადაც გადამწერებს, ეტყობათ, მობეჭრე-

ბიათ ასეთი გრძელი ამბავი დაახლოებით 1200 ტაეპი გა-
მოუტოვებიათ“.

მ. ბროსესთვის უკვე აშკარა ხდება პოემის
ინტერპოლატორთა ნაყალბეობა: „გადამწერები
თავის თავს ნებას აძლევდნენ ტექსტი შეესწო-
რებინათ და ესათ უის ადგილი
სურვილის ამებრ დაემატებინათ
ან შეემოკლებინათ“, რომ, „წინასიტ-
ყვაობა გადაკეთებულია, სტროფების რიგი შეცვ-
ლილია. ამასთანავე ტექსტში ბევრი დამატება შე-
ინიშნება“. ამავე დროს (1830 წ.), მ. ბროსემ
იცის (ალბათ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნიდან)
ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ვახტანგისეული პირ-
ველი ბეჭდური გამოცემის არსებობა, („საჭიროა
ისიც დავსძინოთ, რომ „ტარიელი“ გამოიცა თბი-
ლისში, კანონმდებელი მეფის ვახტანგ VI დროს,
მაგრამ გამოცემა მაღვე გაქრა წიგნის ბაზრიდან“),
მაგრამ ეს განოცემა როგორც ვიცით, მას კიდევ
დიდხანს, კერძოდ, პეტერბურგში ჩამოსვლამდე
ხელოთ არ ჰქონია.

აღნიშნული ნაშრომის V თავში „ტარიელის
ესკიზი“, რომელიც 1831 წელს განიქვეყნდა,⁴
მ. ბროსემ ფრანგულად გადმოგვცა ვეფხისტყაოს-
ნის საკმაოდ ვრცელი შინაარსი გმირთა სიკვდი-
ლით დამთავრებული, მაშასადამე, მან კვლავ
იხელმძღვანელა პოემის ვრცელი რედაქციის შემ-
ცველი ნუსხით.

ამის შემდეგ, როგორც ვიცით, მ. ბროსემ პა-



რიზიდან წერილობითი კავშირურთიერთობაში გამოიყენებოდა ამყარა პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზ ბაგრატიონთან, რომლისგანაც ღებულობდა კონსულტაციებს რუსთველოლოგიურ პრობლემატიკაზე-დაც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1834 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მ. ბროსე ჯერ აღიარებდა: „ამ წერილის ავტორმა მიმართა კავკასიის ლიტერატურისა და ქვეყნების კარგ მცოდნეს, ფრიად განათლებულ პიროვნებას, რომლის სასარგებლო რჩევანი მუდამ გზის მაჩვენებელი იყო მისთვის. ბატონიშვილმა თეიმურაზმა, სააზიო საზოგადოების წევრმა და სიამაყემ, მოაწოდა მას მასალა...“, რის შემდეგაც რუსთველს უკვე აღარ მიიჩნევდა პოემის გაგრძელებების ავტორად, ყოველ შემთხვევაში, ფრთხილად შენიშნავდა: „ტარიელმა და მისმა მეუღლემ, — ამ ბობს კეფისტყაოსნის ან იქნებ და მატების ავტორი, — ღრმა მოხუცებულობამდე, ოთხმოცი წლის ასაკამდე იცხოვრეს, მათი თრი შვილი — ვაჟი და ქალი — მათსავით მშვენიერი იყო. სანამ სამუდამო ძილს მიეცემოდნენ, ტახტზე შვილები დასხეს; სწორედ შვილებმა დაასაფლავეს ერთმანეთის გვერდით მზე და ლომი“.⁵

რაც შეეხება ვეფხისტყაოსნის ე. წ. გაგრძელებათა გეგრძელებას „ომინიანს“, ბროსეს ეჭვიც არ ეპარება, რომ იგი რუსთველის მიმბაძველის შემოქმედების ნაყოფია და მის მხატვრულ ღირსებებსაც დაეჭვებით უყურებს: „ტარიელის შვილმა, რომელსაც პაპის სახელი სარიდანი ერ-



ქვა, ცოლად შეირთო ტარიელის მეგობრის, თანდილის ქალიშვილი. მათ გაუჩნდათ მამა მაცხოველია რმაინი, იმ პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი, რომლის შესახებაც მინდა გელაბარაკოთ“.

„ომაინის ამბავი“ 1704 16-მარცვლოვანი ტაქ-პისა და დაახლოებით ამდენივე პროზაული სტრი-ქონისაგან შედგება. მისი წაკითხვით გრ წ მ უ ნ დ ე ბ ი თ, რომ მთელი პოე-მა დაწერილია რუსთველის გენის შთაგონებით, რომ გამგრძელებელი თავისი იდეებითა და სტი-ლის მთავარი ფორმებით რუს-თველს ბაძავს.

წაკითხვამ დამარწმუნა, რომ პოემას გულს ვერ დაუდებს მკითხველი, დრამის მსვლელობა მრავალი ხიფათითაა გართულებული, რაც იმას მოწმობს, რომ მთხოობელს გამოცდილება არ ჰყოფს ყველების შერჩევისას და გამოგონების უნარიც ნაკლებად აქვთ“ (იქვე, გვ. 59).

მართალია, მ. ბროსე ადრინდელ რუსთველო-ლოგიურ შრომებში ვეფხისტყაოსნის ნაყალბევ აღვილებზე ლაპარაკობდა, მაგრამ სახელდებით ცნობებს ინტერპოლატორებზე არ გვაწვდიდა. პირველად, პოემის 1841 წლის გამოცემის „წინასიტყვაობაში“ ვახტანგისეული ტექსტისაგან განსხვავებული სტროფების ჩამოთვლის შემდეგ, ბროსე შენიშნავდა: „მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და ვეფხის-ტყაოსანსაც



ეთანხმება. თუ მცდა სწორეთ არ გამოიყენოს
ვისგან არიან დაწერილნი, უსაფრთხოების
ღირსნი იყვნენ რომ ჩაგვებეჭდა და იმიტომაც ჩა-
ვუმატეთ. ამას გარდა, პარიჟში რომ სამეფოს
ბიბლიოტეკაში კელნაწერი არის, რომელიც 10
წელი წინ ვახტანგ მეფის ლაბეჭდვილს ვეფხვის-
ტყაოსანზე იყო დაწერილი, იმაშიაც იპოვებიან
ზემოხსენებულნი ლექსნი“ (გვ. XIII).

იგულისხმება ვეფხისტყაოსნის პარიზული ხელ-
ნაწერის (P—10) ბოლო ცამეტი თავი (შისი ას-
ლი გადმოღებულია მ. ბროსეს მიერ 1828 წელს
და დაცულია ლენინგრადის აღმ. ინსტიტუტ-
ში — K-23):

1. ტარიელისაგან პინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა.
2. ტარიელისაგან პინდოეთს მისვლა, ხატაველთ დამორჩილება მეორედ.
3. შინ მისვლა ტარიელისაგან და ქორწილი მათი.
4. ხვარაზმთა მეფისაგან ტარიელის ავადმყოფო-
ბის ცნობა.
5. ესმა პინდოთ მეფესა ხვარაზმელთ მოსვლა.
6. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილსა და ფრიდონსა თანა.
7. მისვლა ავთანდილსა და ფრიდონისაგან ტარი-
ელის საშველად.
8. ავთანდილსა და ფრიდონისაგან წასვლა და ხვარაზმელთა ომი.
9. ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიცვალებოდა მის
ჟამს ნათქვამი.



10. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა, უკრანელი
11. ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქვა ჟამს შას
სიკვდილისა მისისა.
 12. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა.
 13. მოსვლა ფრიდონისაგან ძმობილთა მისთა ტა-
გრუცს ზედა.

ამას გარდა, მ. ბროსე აქვე იძლევა სახელდებით ცნობებს პოემის რამდენიმე ინტერპოლატორზე — დავით ჩოლაძეშვილსა და ნანუჩა ციციშვილზე:

„მეფის ირაკლის მეორის, გინა გიორგის მეა-
თერთმეტის (უნდა იყოს: მეათორმეტის, გ. შ.)
დროს იყო ჩოლაყაშვილი ჯიმშერ
ერისთვის ძე დავით მდივანბეგი,
მეფეთაგან პატივცემული, დიად მეცნიერი და
უცხო პიიტიკოსი, რომელი ჰგონებდა, ასე უნდო-
და ეთქვაო ტარიელს ნესტან დარეჯანისათვის,
სადა პსრერია „აწ რასაცა მე მაღირსებ...“ (მუხ-
ლი ულა), მის მაგიერად:

„საყვარელო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს

ასე და ამგვარად ბევრს გამოუცვლიათ ადგილ-
ადგილ ვეფხვის-ტყაოსანი: შემდგომად ესეც უნდა
კსოვათ, რომ ერთი ვინმე ციცი შვილი ყო-
ფილა ნანუ ჩად ზედ წოდებული, ვახტანგ VI
მეფის წინ, რომელსაც მოუგონია და თვითონ გა-
უკეთებია სხვა რიგად ვეფხვის-ტყაოსნის ბოლო,
სადაცა შეურთამს ცამეტის პუნქტით ათას ხუ-



თასი სტიხი. სტიხი ესე პარიუის კელ-ნოველურაც
იპოვებიან და ავრეთვე მრავალი უცხოური კატეგორია
ჰქონია. ამ ახალ დაბეჭდვილში არ ეგებოდა, ამი-
ტომ რომ რუსთველისა არ იყვნენ და ამას გარდა
დიდი განხილვაც უნდოდა“ (გვ. XIII—XIV).

უკანასკნელად, ნანუჩა ციციშვილის შესახებ
ცნობას ვპოულობთ მ. ბროსეს 1877 წელს გამო-
ქვეყნებულ ნაშრომში: „თავიაღმა ნანუჩაშვილმა,
რომელიც XVII საუკუნეში ცხოვრობდა გიორგი
XII (იგულისხმება გიორგი XI, რომელიც ორ-
ჯერ ავიდა ტახტზე და ამიტომ გიორგი XII-დაც
იწოდებოდა — გ. შ.) მეფობის დროს, მოვალედ
ჩათვალი თავი, პოემისათვის დაემატებინა გაგრ-
ძელება, რომელიც დაახლოებით 1500 ტავს მო-
იცავს და პარიზის დიდ ბიბლიოთეკაში დაცულ
ერთ-ერთ ხელნაწერს ერთვის“.⁶

დღეს უკვე გამორკვეულია, რომ ბროსეს ალ-
ნიშნული ცნობები ვეფხისტყაოსნის ინტერპოლა-
ტორთა — დავით ჩოლაყაშვილისა და ნანუჩა ცი-
ციშვილის შესახებ სიტყვასიტყვით, წყაროს დაუ-
სახელებლად, ამოღებულია ოეიმურაზ ბაგრატიო-
ნის 1834 წლის 17 ოქტომბრის წერილიდან.⁷
ამასთან, მ. ბროსეს სამართლიანი მოსაზრებით,
ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი ტექსტები
მაინც საგანვებო შესწავლისა და გამოცემის ღირ-
სია: „თუ კიდევ როდისმე დაიბეჭდება ვეფხის-
ტყაოსანი, ნანუჩას მომატებაც და სხვა რა ეკუ-
თვნიან ამ წიგნს, თუ გინდ რუსთველისა არ იყოს,



განხილვით უნდა დაიბეჭდოს“ (1841 წლის გამოცემის ცემის წინასიტყვაობა, გვ. XIV).

ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობის თვალსაზრისით, მ. ბროსემ უყურადღებოდ არ დატოვა პოემის 1841 წლის გამოცემის შემდეგ-დროინდელი პუბლიკაციებიც — 1846 და 1860 წლებში დ. ჩუბინაშვილისა, 1867 წლის („გამომ-ცემლის გვარი არ აწერია, მაგრამ, ფიქრობენ, რომ იგი ბ. გ. წერეთელსა და ბ. დ. ყიფიანს უნდა ეკუთვნოდეს“) და 1875 წლისა, რომელიც ეკუთვნის ა. კალანდაძეს და მოგვცა მათი შეფა-სება: „...ჩანს, რომ დროთა განმავლობაში თი-თოეულ გამომცემელს შესაძლებლად მიაჩნდა რუსთველის პოემისათვის რამდენიმე სტროფი დაემატებინა აქა-იქ“.⁸

§ 4. მარი ბროსე და ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემა

ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული პირველი ბეჭდური გამოცემის (1712 წ.) შემდეგ საუკუნე-ზე შეტი იყო გასული და პოემის ახალი გამოცემა კი არსად ჩანდა, რუსთველის თხზულების შეორე გამოცემისათვის არავის ეცალა. 1724 წელს ვახ-ტანგ VI-ის თავზე დატრიალებულმა ტრაგედიამ და რუსეთს მისმა ამალითურთ გადახვეწამ, რო-მელშიც სხვა ბრწყინვალე ქართველ მწიგნობ-რებსა და მეცნიერებთან ერთად სულხან-საბა ორ-ბელიანი და ვახუშტი ბაგრატიონი შედიოდნენ,



ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ძალები და მოწოდებულებები რეტა გამოიწვია, ხოლო თბილისის პირველი ქართული სტამბა კი მიწასთან გაასწორა. მართალია, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, XVIII ს. II ნახევარში, ოეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის, განსაკუთრებით, ამ უკანასკნელის ეპოქაში კვლავ მოხდა ეროვნული და ინტელექტუალური ძალების ხელახალი მობილიზება, ქართული სტამბის აღდგენა და ანტონ I-ის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა, მაგრამ აწეწილმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ცხოვრებამ და გარეშე თუ შინაური მფრების შემოტევათა განუწყვეტელმა მოგერიებამ არც ამ ორ დიდ მოღვაწეს — ერეკლე II-სა და ანტონ I-ს მისცა ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული ვითარების სტაბილიზების საშუალება.

1795 წელს კი აღა-მაჭად-ხანის ველურმა შემოსვამ კვლავ მიწასთან გაასწორა ოდნავ წელში გამართული დედაქალაქის კულტურული ცხოვრება, ხოლო მაღე ამას ზედ დაერთო ერეკლე II-ის გარდაცვალება (1798), ქვეყნის დამოუკიდებლობის საბოლოო დაკარგვა და რუსეთის იმპერიის გამგებლობაში შესვლა (1801 წ.), ბაგრატიონთა ოჯახის რუსეთს გადასახლება და მასთან ერთად, ქართული მწიგნობრულ-მეცნიერული ძალების ახალი ტალღის კვლავ პეტერბურგსა და მოსკოვს გადასროლა.

მიუხედავად ამისა, პეტერბურგისა და მოსკოვის ქართული კოლონიის წევრებმა არც უცხოეთში დაივიწყეს სამშობლოს სამსახური, იქ გა-



შალეს ფართო კულტურულ-მეცნიერული და სამ-
წერლო საქმიანობა. მათ შორის გამოირჩეული არის
პეტერბურგში მოღვაწე თეიმურაზ ბაგრატიონი,
რომლის, როგორც უკვე არაერთხელ ვთქვით,
უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეო-
ბით წარიმართებოდა მარი ბროსეს ქართველოლო-
გიური, და კერძოდ, რუსთველოლოგიური მოღვა-
წეობა.

მარი ბროსემ ვეფხისტყაოსნის შესწავლა პა-
რიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული პოემის
ნუსხების გაცნობით დაიწყო. ს. ცაიშვილის სი-
ტყვით, „მან პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკა-
ში მიაკვლია ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ხელნა-
წერს. მის, როგორც მკვლევრის, ალლოზე მეტ-
ყველებს ისიც, რომ მან მყისვე დაიწყო ამ ხელ-
ნაწერების შედარებითი შესწავლა, ზუსტად შე-
არჩია მათში შედარებით უფრო ავთენტიკური
ნუსხა და შეუდარა კიდეც ვარიანტული თვალსაზ-
რისით სხვა მის ხელთ არსებულ ნუსხებს“.¹

საქმე ისაა, რომ პარიზის სამეფო ბიბლიოთე-
კაში (შემდეგ მას პარიზის ნაციონალური ბიბ-
ლიოთეკა-ეწოდა) მაშინ დაცული იყო ვეფხის-
ტყაოსნის ორი ხელნაწერი: P—10-გადაწერილი
1702 წელს, შემახაში, ყაზაანთ ბეჟოას ქალის
მიერ, რომელიც შეიცავს პოემის ვრცელ რედაქ-
ციას და P—12-გადაწერილი 1811 წელს იოანე
იალღუზის ძის მიერ, რომელიც ვახტანგისეული
გამოცემიდან (1712 წ.) უნდა მომდინარეობდეს
და ამდენად, წარმოადგენს მოკლე ტიპის რედაქ-

ციას. აღნიშნული ხელნაწერი საქართველოდან წა-
ულია საფრანგეთის კონსულს თბილისში და 1824 წელს შეუწირავს პარიზის სამეფო ბიბ-
ლიოთეკისათვის,² ხოლო შემახაში 1702 წელს
გადაწერილი ვეფხისტყაოსნის ნუსხა კი — აკად.
აბელ რემუზას მიუძღვნია ამავე ბიბლიოთეკისა-
თვის.³

მაშასადამე, მარი ბროსეს ჯერ კიდევ პარიზში
ყოფნის პერიოდში ხელთ პქონია ვეფხისტყაოს-
ნის ორივე — მოკლე და ვრცელი რედაქციის
შემცველი ნუსხები და შესდგომია მათ შედარე-
ბით შესწავლას. პირველ რიგში, მ. ბროსეს სა-
კუთარი ხელით გადმოუწერია პოემის ვრცელი
რედაქციის შემცველი პარიზული ნუსხა (P—10)
და დაუწყია მისი ფრანგულად თარგმნა, ს. ცაი-
შვილის შენიშვნით, „მეტწილად იმ სტროფებისა,
რომლებიც ვახტანგისეულ გამოცემაში შედიან“.⁴
აღნიშნული სამუშაო, როგორც ფრანგულად მიწე-
რილი თავფურცლიდან ჩანს, მ. ბროსეს დაუმთავ-
რებია პარიზში 1828 წელს, თან წამოუღია რუ-
სეთში საცხოვრებლად გადმოსვლის დროს
(1837 წ.) და დღეს დაცულია სსრკ მეცნიერება-
თა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუ-
ტის ლენინგრადის განყოფილებაში: K—23. რაც
შეეხება გამბას მიერ 1825 წელს პარიზში თბი-
ლისიდან ჩატანილ ვეფხისტყაოსნის მოკლე რე-
დაქციის ითანე იალღუზისძისეულ ნუსხას, გადა-
წერილს 1811 წელს (P—12), მისი ასლი, რ. ორ-
ბელის ცნობით, უკვე პეტერბურგში ჩამოსულ

„ბროსესთვის უჩუქებია ი. შოპენს“,⁵ რომელიც ასევე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოჩენის ლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაშია დაცული: E—74. ეს ი. შოპენი (1798—1870) გახლავთ ფრანგი ისტორიკოსი, რომელიც რუსეთში 1825 წელს ჩამოვიდა სამუშაოდ, ერთხანს ცხოვრობდა კავკასიაში და სწავლობდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიას. ჩვენ გვქონდა ცნობა, რომ ვეფხისტყაოსნის ერთი ნუსხა, პლ. იოსელიანის მეშვეობით, ხელთ უნდა ჩავარდნოდა სწორედ ამ ი. შოპენს, რომელსაც, როგორც ახლა ირკვევა, იგი საბოლოოდ ბროსესთვის უჩუქებია.⁶

მაღვე, მარი ბროსემ რუსთველის პოემის პარიზული ხელნაწერების (P—10, P—12) აღწერასა და დახასიათებას საგანგებო შრომები უძღნა,⁷ აგრეთვე, გამოაქვეყნა დასაწყისი სტროფების ფრანგული პროზაული თარგმანი,⁸ და პოემის მოკლე შინაარსი,⁹ ხოლო 1830 წლიდან მოყოლებული პეტერბურგიდან უკვე ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე სისტემატურ წერილობით კონსულტაციებს ღებულობდა თეიმურაზ ბაგრატიონისაგან.

ყოველივე ამან, ახალგაზრდა ფრანგ ქართველოლოგს ვახტანგისეულ გამოცემაზე დამყარებით პარიზში რუსთველის პოემის ახალ გამოცემაზე ზრუნვა აფიქრებინა, რის თაობაზე შას 1833 წლის 16 აგვისტოს წერილობით უცნობებია თეიმურაზის ცოვის და უთხოვია მისთვის ვახტანგისეული

გამოცემის ეგზემპლარის გაგზავნა. იმავე 1833
წლის 9 ოქტომბრის საპასუხო ბარათში თემატიკული
ზი წერდა ბროსეს:

„ვეფხის-ტყაოსანზე თქვენ მიერი შრომა მო-
გეწერით და აღბეჭდვა. მე თითონ ვეძებე ვახტანგ
მეფის სტამბისა, თქვენთვის მინდოდა წარმომეგ-
ზავნა, მაგრამ აქ ჯერ ვერსადა ვპოვე, თუმცა
ერთი ექზემპლარი მე მაქვს ჩემთვის, რომელსაც
აქ ჩვენს სახლშიაც ხშირად კითხულობენ. დიდის
სიხარულით გამოვიმეტებდი რომ გამომეგზავნა,
მაგრამ ასე დაძველებული არის, რომ თითქმის
უფრო მეტი ფურცლები დახეული და ზოგგან და-
კარგული ფურცლები ხელით არის ჩაწერილი, და
ვახტანგ მეფისაგან განმარტებაცა სრულად არ
არის, ფურცლები აკლია. კიდევაც ვეძებ, თუ ვი-
შოვნე, გამოვგზავნი, მაგრამ სწორეთ კი არ ვი-
ცი, მეშოვება თუ არა. მე ლექსების განმარტება
ამისი ადრევე დავწერე, მაგრამ თეთრად არა მაქვს
გადმოწერილი. დიდად კმაყოფილება იქ-
მნებოდა ჩვენის ქართველების ა-
თვის, რომ ვეფხის-ტყაოსანი დაი-
ბეჭდოს ერთს წიგნათ და კიდეც
იყიდიან და კარგს ფასადაც გა-
ვიდოდა... და ეგების ეცალება
კარგის ასოებით, კარგს ქაღალდ-
ზედ მოამზადოთ და დაიბეჭდოს.
მომწერეთ მე თითო ექზემპლარი მანდ როგორ
დაჯდება, რა ერთი ფასი წავა და მეც მოგწერ,
როგორც გაიყიდება, მეაზიელის საზოგადოობის



ფულით რომ დაიბეჭდოს და ისევ საზოგადოობის უნიტარული
თვის გაიყიდოს, სარგებლობა უქმნება და თუ სა-
კუთრად თავის ფულით ვინმე დაბეჭდს და არას
წარაგებს, კიდეც მოიგებს მგონია. და თუ მოხ-
დეს დაბეჭდა, მხოლოდ ლექსების გასწორებისა-
თვის რომ ტყუილები არ ჩაიწეროს, ესეც შეიძ-
ლება მე მიჩვენოთ, ორიგინალი ერთს თვეზედ
ჟეტი არ დაუგვიანდება. შე იმავ ორიგინალში გა-
ვასწორებ და ვახტანგ მეფის სტამბისას შევამოწ-
მებ. თითო-ოროლს ალაგს ვახტანგ მეფის სტამბა-
შიაც არის მესტამბისაგან შეცომა (ესე იგი და-
ბეჭდვაში).. ბევრს ალაგს კი არ არის, ცოტას
ალაგს, იმასაც გაგისწორებთ და სამს თვეზედ
მისვლითა და მოსვლით მანდავ მოგივათ ორგინა-
ლი. ვახტანგ მეფისაგან განმარტებულსაც ზედავ
მოვაწერინებ და ისე დაბეჭდეთ რომ ხალხში გამო-
ვიდეს, კარგი რამ იყოს. როცა ვეფხის-ტყაოსანი,
თუ დაბეჭდოთ ცალკე ერთს წიგნათ, მარტო მხე-
დრულის ასოებით დაბეჭდეთ, ხუცურს ნუ ჩაატა-
ნებთ აშისთვის, რომ საქართველოს სოფლებში
მცხოვრები ძალიან ეწყობიან, მდაბალა ხალხი
ძალიან კითხულობს ვეფხის-ტყაოსანსა და იმათ-
მი ხუცური ბევრმა არ იცის, მარტო მხედრული
წიგნი იციან“.¹⁰

1937 წელს გამოქვეყნებული ა. კობახიძის
კნობით, „ვეფხისტყაოსნის გამოცემა ლითოგრა-
ფიულად ბროსეს ჯერ კიდევ 1834 წელს განუ-
რახავს პარიზში ყოფნის დროს და სანიმუშო
ცურცელი თეიმურაზ ბაგრატიონისათვისაც გა-
· გურამ შარაძე



მოუგზავნია, მაგრამ უკანასკნელს არ არის მეცნიერებასთვის, ს. ყუბანეიშვილის შენიშვნით, უცნობი იყო „რა საბუთზეა დამყარებული აღნიშნული ცნობა“. ¹²

ჩვენს მიერ საკავშირო აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში გამოვლენილმა დოკუმენტმა დაადასტურა ეს ცნობა.¹³ როგორც ჩანს, თეიმურაზის რჩევაში ვეფხისტყაოსანი პარიზში გამოეცა ან სააზიო საჭოგადოებას, ან რომელიმე კერძო პირს საკუთარი ხარჯებით, სასურველი შედეგი არ გამოიღო. ამიტომ მ. ბროსეს განუზრახავს ლითოგრაფიული წესით გამოეცა რუსთველის პოემა, ისე როგორც უფრო აღრე, 1833 წელს თეიმურაზ ბაგრატიონის „შემოკრებული მოთხრობა საქართველოსა“ რომ გამოსცა.¹⁴ მაშინ თეიმურაზი ამის თაობაზე წერდა მ. ბროსეს: „ქვაზედ დაბეჭდილი მაშინ კარგი არის, როდესაც კარგის კელით დაიწერება და ისე დაიბეჭდება. ჩართულები ძალიან კარგი არის, მომეწონა, რომელიც კურთხეულის (ესე იგი განსვენებულის) ჩემის ძმის ცხოვრებაზედ არის ყდაზე დაბეჭდული, მაგრამ სხვა სრულად იმ წიგნის ასოები წაბლალულად არის“. ¹⁵

ამის გამო, თეიმურაზს ამჯერად დაუწუნია ვეფხისტყაოსნის ლითოგრაფიულად დაბეჭდვის ბროსესეული განზრახვა: „ვეფხისტყაოსნის დაბეჭდას ლიტოლრაფიით ამ ხელზედ არ გირჩევ ამისთვის, რომ ვისაც ვაჩვენე თქვენგან გამოგზავ-



ნილი ფურცელი, დაიწუნეს“ — წერდა იგი 1834 წლის 17 ოქტომბერს პეტერბურგიდან პარიზში მ. ბროსეს და განაგრძობდა: „ამისთვის ჯერ ხანად იყოს დაყენებული, მანამ თქვენ აქ [პეტერბურგს] მოხვალთ და მაშინ ვიფიქროთ, როგორც სჯობდეს, ისე აღვასრულოთ“.¹⁶

როგორც მომავალმა დაგვანახა, თეიმურაზს და უკვე 1837 წლიდან პეტერბურგში დასახლებულ მ. ბროსეს კარგად „უფიქრიათ“ და „აღუსრულებიათ“ კიდეც „როგორცა სჯობდა“ 1834 წელს დადებული პირობა: 1841 წელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში სანკტ-პეტერბურგს, დ. ჩუბინაშვილთან და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად, მათ განახორციელეს რუსთველის უკვდავი პოემის მეორე გამოცემა, რომელიც ვახტანგისეული 1712 წლის გამოცემის შემდეგ ახალ ეტაპს წარმოადგენდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენის საქმეში.

უფრო იდრე კი, როგორც უკანასკნელ ხანს გახდა ცნობილი, ჯერ კიდევ 1826 წელს, პეტერბურგში განუზრახავთ ვახტანგისეული გეფხისტყაოსნის ხელახლა გამოცემა, რომლის ინიციატორიც თეიმურაზ ბაგრატიონი ჩანს, ხოლო ცენზურაში ამ საქმის მოგვარება მიუნდვიათ ცნობილი ქართველი ლექსიკოგრაფის, გაშინ სააზიო დეპარტამენტის თარჯიმნისთვის — ნიკო ჩუბინაშვილისთვის, მაგრამ საბოლოოდ ეს წამოწყება ჩაშლილა,¹⁷ თუმცა, ეტყობა, მან მაინც თავისი

დადებითი როლი ითამაშა მომავალი გამოცემისას
განხორციელების დაჩქარებაზე.

* * *

1837 წელს პეტერბურგში გაღმოსული მარი
ბროსე თეიმურაზ ბაგრატიონთან ერთად შესდგო-
მია ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდური გამოცემის
განხორციელებას.

ამისთვის მათ, პირველ რიგში, თანამშრომლე-
ბად მოუწვევიათ ახალგაზრდა ქართველი მყცნიე-
რები, პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამ-
თავრებულები — დაგით ჩუბინაშვილი (1814—
1891) და ზაქარია ფალავანდიშვილი (1817—
1845). გამომცემლებს ქართულ და რუსულ ენებ-
ზე შეუდგენიათ და დაუბეჭდავთ ვეფხისტყაოს-
ნის მომავალი გამოცემის „პროლრამმა“. ჩვენამდე
მოღწეული ამ „პროლრამმის“ ერთი ცალი დაცუ-
ლია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლე-
ნინგრადის განყოფილებაში, მ. ბროსეს არქივ-
ში — 1, № 95, რომელსაც პირველად ყურადღება
მიაქცია ელ. მეტრეველმა,¹⁸ ხოლო მეორე აღ-
მოჩნდა თეიმურაზ ბაგრატიონის ნაქონ ვეფხის-
ტყაოსნის 1841 წლის გამოცემის ეგზემპლარში,
უკანასკნელად პროფ. ვარლამ დონდუას რომ ეკუ-
თვნოდა, და იგი გამოაქვეყნა ი. მეგრელიძემ.¹⁹
„პროლრამმის“ ფრანგული თარგმანი კი აღრე და-
ბეჭდილი პქონდა ლორან ბროსეს.²⁰

„პროლრამმის“ ნათქვამია: „ვეფხისტყაოსანი,

ცნობილი თხზულება ქართულსა ენასა ზედა მინისტრის ბიურის დროსა სახელგანთქმულის თამარ მეფისა, მხოლოდ ერთხელ აღბეჭდილი იყო ტფილისს, ჩ ღ ი ბ წელსა, მეფისა შიერ ვახტანგისა VI. გამოცემა ესე სრულებით განიყიდა. ამისავე მრავალნი წიგნი დაიკარგნენ ჟამსა ტფილისის აღუბისა და დაწვისა, ჩ ღ ჟ ე წელსა, ხოჯა ალამაპ-მად ხანისაგან. ამისთვის აწ ვხედავთ ჩვენ, რომელ ხელწერილი ანუ აღბეჭდილი ვახტანგის მიერ წიგნი იყიდების მოყვარეთაგან ლიტერატურისა თხუთმეტ ანუ ოც მინალთუნად თეთრ ფულად, მისთვის რამეთუ საქართველოსა შინა ყოველთა ჰსურსთ ქონება თვისისა ტარიელისა, რომელსა იკითხვენ ნიადაგ, სწავლობენ ზეპირად და წარმოსთქვენ მისგან შაირთა, ოდეს უნდათ მოხსენება რომლისამე კეთილშობილურის გრძნობისა, მაღლის პაზრისა ანუ სახელოვანის მოქმედებისა.

შიზეზნი ესე აღგვძურენ ჩვენ, რათა ახლად აღვბეჭდოთ „ვეფხისტყაოსანი“, რომლისა საფუძვლად გვექნება მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილნი, გარნა მეორედ განმარტული განხილული სწავლულთა ქართველთა მიერ და შემოწმებული ძველთა კელწერილთა თანა, რაოდენობაც შეკიდლებთ პოვნასა საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა და მით მივაახლებთ ნამდვილსა.

უფ. ბროსსე, ვითა ზედამხედველი აღბეჭდვისა, მოუმატებს ქართულად წინასიტყვაობასა, სადაც წარმოადგენს სალიტერატურო უწყებასა წიგნისა ამის და აჩვენებს ღირსებასა მისსა. დიდიხნის გან-



ხილვა რუსთველის შრომისა შემძლებელ პურფს
მას დართვად რომელთამე შენიშნულება უნდა იყოს

წიგნი გამოვა გაზაფხულს ჩ კ მ ა წელსა. აღ-
რე მომწერთათვის ეღირება ორ მინალთუნად
თეთრ ფულად, ხოლო შემდგომად აღბეჭდვისა
განიყიდება ორ მინალთუნად და ოთხმოცვალგიდ
კოპეკად თეთრ ფულადვე.

წიგნი ესე აღიბეჭდების ამავე ასოებითა და იქმ-
ნება ამავე ტანისა, როგორც ეს პროლრამმა“.

როგორც „პროლრამმიდან“ ჩანს, ვეფხისტყა-
ოსნის ახალი გამოცემის მესვეურთათვის „საფუ-
ძველი... მეფის ვახტანგის მიერ დაბეჭდილნი“
ყოფილა და ამიტომ, ბუნებრივია, ისინი, პირველ
რიგში, ვახტანგისეული გამოცემის ცალების მო-
ბოვებას შეუდგებოდნენ. დღეს უკვე გამორკვეუ-
ლია, რომ ვეფხისტყაოსნის 1841 წლის საზღვაქ-
ციო-საგამომცემლო კომისიას ხელთ ჰქონია თე-
მურაზ ბაგრატიონისა და გიორგი ავალიშვი-
ლის ნაქონი ვახტანგისეული გამოცემის ცა-
ლები (დღევანდელი აღმოსავლეთმცოდნეო-
ბის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილე-
ბის K—10 და K—5), რომლებშიც შეტანილი
გრამატიკულ-ორთოგრაფიული ხასიათის და ვახ-
ტანგის სტამბისმიერ ბეჭდურ შეცდომათა სწო-
რებები, აგრეთვე დამატებით ოთხი ახალი საჭი-
რო სტროფის შეტანა ეკუთვნით თეიმურაზ ბაგ-
რატიონს, ნიკო ჩუბინაშვილსა და გიორგი ავალი-
შვილს.²¹

„პროლრამმიდან“ ასევე კარგად ჩანს ვეფხის-

ტყაოსნის ახალ სარედაქციო-საგამომცემლო კომი-
სიაში მ. ბროსეს როლი: „უფ. ბროსე, ვითა წევ-
დამხედველი აღბეჭდვისა...“.

მ. ბროსემ და მისმა თანამშრომლებმა ძირითა-
დად გაიზიარეს თეიმურაზ ბაგრატიონის სახელ-
მძღვანელო დებულება: „სრული ვეფხისტყაოსანი
არის რიცხვით ათას ხუთასოთხმოცდაცხრა (ოთხ-
ტაეპოვანი) სტიხი, როგორათაც ვახტანგ მეფის
დაბეჭდულს ვეფხისტყაოსანში იხილვება, ისინი
არიან ნანდვილი შოტთა რუსთველის შეთხზულნი
სტიქნი“, თუმცა, არც თეიმურაზი გამორიცხავდა
ვახტანგისეულ გამოცემაში ნამდვილი რუსთველი-
რი სტროფების გამორჩენის შესაძლებლობას
(„დაბეჭდვაში დარჩომოდესთ და ვეღარ ჩაეტანე-
ბინოსთ“) და აქვე იძლეოდა ოთხ ასეთ სტროფს:
„თუ ყოფილა იგი მოყმე...“, „მოუკლავ ვარ თი-
ნათინის...“, „მე დავშვერ ვითა წესია...“, „შევალ,
ფიცხლავ შევეკაზმე...“, ამასთან, აწვდიდა ცნო-
ბებს ვეფხისტყაოსნის ინტერპოლატორთა (ვინმე
მესხი, ნანუჩა ციციშვილი, დავით ჩოლაყაშვილი)
და ფსევდორუსთველური ყალბი სტროფების
თაობაზე.²²

მართლაც, პოემის ახალ გამოცემას მ. ბროსემ
ძირითადად შეუნარჩუნა ვახტანგისეული გამოცე-
მის კრიტიკული ხასიათი, ასევე უყოყმანოდ შეი-
ტანა თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ შემოთავაზე-
ბული ოთხი ახალი დამატებითი სტროფი, მაგრამ
არც ამას დასჯერდა და როგორც „პროლიტმა“
გვაუწყებს, სხვა „სწავლულ ქართველებთან“ ერ-

თად შეუდგა ვეფხისტყაოსნის ვახტანგის ქალ
ტექსტის „გამართვასა და შემოწმებას უსტურებულ
კელწერილთა თანა, რაოდენთაც შევიძლებთ ვოვ-
ნასა საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა და მით
მივაახლებთ ნამდვილსა“.

* * *

რამდენიმე წლის დაძაბული მეცნიერული მუ-
შაობის შედეგად 1841 წელს უკვე ხორცი შეესხა
კიდეც ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

გამოცემას აწერია: „ვეფხისტყაოსანი, რუ-
სულად Барсова Кожа, პოემა დაწერილი შო-
თა რუსთველის შეკრ. ახლად დაბეჭდვილი შე-
ერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქა-
რია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისა-
თა. სანკტ-პეტერბურლს სტანბაში საკელმწიფო
აკადემიისა მეცნიერებათა, 1841“, ხოლო მომდევ-
ნო ფურცელზე დაბეჭდილია მიძღვნა: „მათს
უგანათლებულესობას ბატონი-შვლს თეიმურაზს,
საქართველოს მეფის გიორგის ძეს, უმდაბლესის
პატივის-ცემისა, გულითადის მადლობისა, სამარა-
დისო ერთგულებისა ნიშნად შევსწირეთ დაშბეჭ-
დველნი ბროსეტ, ზაქ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუ-
ბინოვი“.

პოემის ტექსტს წინ უძლოდა „წინა-სიტყვაო-
ბა“ (გვ. XII—XIV), რომელიც ამგვარადა და-
თარიღებული და ხელმოწერილი: „აგვისტოს 15
1841 წელსა. ბროსეტ:“. თვითონ პოემას უჭირავს



1—223 გვერდები, რომელსაც 223—224 გვერდებზე ერთვის ცხრა-სტროფიანი ე.წ. ლექსიური ანდერძი, რომლის ავტორად გამოყვანილია „შეგვარ-ტომობით ფრანცუცი, ბროსეტ მზრუნველ ქართველთ ენის“, ხოლო 225—238 გვერდები და-თმობილი აქვს „მცირე ლექსიკონს“, რომელშიაც განმარტებულია ვეფხისტყაოსნის ძნელად გასაგები 535 სიტყვა.

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემაში მთლიანადაა მოხსნილი 1712 წლის გამოცემის ვახტანგისეული განმარტებანი, რასაც მ. ბროსე „წინა-სიტყვაობაში“ ასე ასაბუთებდა: „ამის გარდა ვახტანგ მეფემ დააბეჭდინა ვეფხვის-ტყაოსნის განმარტება, რომელიც ფრიად უშესაბამო და უხამსია. მაგალ., საღაც რუსთაველი აშიკობასა ჰსწერს, ვახტანგ მეფე თვისის განმარტებაში ამბობს, რომ ეს საღმრთო ტრფიალობაზე უთქვამსო. ხოლო თვითოვეულმა იცის რომ ვეფხვის-ტყაოსანი ზღაპარია და არა საღმრთო წერილი. აგრეთვე მრავალს მოქმედობასა ვეფხვის-ტყაოსანისასა განკვარტებს საღმრთოს წერილითა და სხ. ამის მიზეზით დაუტევეთ განმარტება ესე და მის მაგიერად დავბეჭდეთ მცირე ლექსიკონი უხმართა მდაბიურს ლაპარაკში და ძველთა სიტყვათა, რომელნიც ვეფხვის-ტყაოსანში იპოვებიან“ (გვ. XII—XIII).

მ. ბროსეს სავსებით სწორი შეცნიერული წარმოდგენა აქვს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულ ხასიათზე, რომელიც ერთ-

ხანს რუსთველოლოგიაში საჭოჭმანოდ ითვლებო
და (პ. ინგოროვა), მაგრამ დღეს იგი საყოფალო
თაოდ აღიარებული აზრია (ე. თაყაიშვილი, კ. ტე-
ნიძე, ს. ცაიშვილი). მ. ბროსე წერს: „ვეფხვის-
ტყაოსანი პირველ აღიბეჭდა ტფილის, 1712
წელსა, ვახტანგ VI მეფის ბრძანებითა, მის მიერ
გაკეთებულს სტანბაში, მისვე მეფისა წარსაგე-
ბელითა და ზედა-მხედველობითა: წიგნი ესე გარ-
ყუნილ იყო სხვა და სხვა მწერალთაგან, მისთვის
ვახტანგ მეფემა, როგორც პომერის სტიქები პი-
რისტრატოსის მიერ გასინჯულ იყო, ისე გასინჯა
და შეამოწმა ძველთ კელ-წერილებსა და შემდგო-
მად დაპბეჭდა“ (გვ. XI—XII).

მ. ბროსეს მახვილ თვალს მხედველობიდან არ
გამოპარვია ის გარემოებაც, რომ მართალია, ვახ-
ტანგისეული ვეფხისტყაოსანის სათვალავით მასში
თითქოს ჩ ფ პ თ (ე. ი 1589) სტროფია, მაგრამ
სინამდვილეში „ვახტანგ მეფის დაბეჭდილი ვეფ-
ხვის-ტყაოსანი შეიცავს 1587 მუკლთა, რამეთუ
მრავალნი რიცხვნი განმეორებული არიან ცთომით
ან დატევებულნი“ (გვ. XII). მიუხედავად ამისა,
ვახტანგისეული გამოცემის მცდარი სათვალავი
რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მაინც შე-
ორდებოდა (მაგალ. ე. თაყაიშვილი, იუსტ. აბუ-
ლაძე),²³ მაგრამ საბოლოოდ ა. შანიძემ გამოარ-
კვია, რომ მართლაც „პოემის უკანასკნელ სტროფს
კი უზის ჩფპთ (ე. ი. 1589), მაგრამ რაღვანაც
ორი ნომერი ჩავარდნილია (53, 334), ამიტომ
ვახტანგისეულ ვეფხის ტყაოსანში სტროფების სა-



მ. ბროსემ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის სტროფთა მცდარი სათვალავი კი შენიშნა, მაგრამ „წინა-სიტყვაობაში“ თვითონ დაუშვა ახალი შეცდომა, როდესაც თავის გამოცემაში დამატებით შეტანილად 48 სტროფი ჩამოთვალა: „... სტიქნი რიგ, რნა, რა, რეგ, როზ, რჟე, სიგ, სკბ, სმბ, სპდ, ტვ, ტია, ტლ, ტლგ, ტმგ, ტნგ, ტნე, ტპხ, ტჟ, უკთ, ულ, უნბ, ფიტ, ფით, ფუზ, ქბ, ქნთ, ქოვ, ღლ, ღლზ, ღმდ, ღმე, ღპთ, ღჟ, ყა, ყბ, ყღ, ყღა, ყღაზ, ყნბ, შპზ, ჩმვ, ჩტიე, ჩტმზ, ჩუკვ, ჩფლთ, ჩფნ, ჩფვე, რომელნიცა ჩევნ ახალს დაბეჭდილში ჩაუმატეთ, იპოვებიან მხოლოდ რომელთამე კელ-ნაწერებში“ (გვ. XIII).

მ. ბროსეს ამ ცნობას დიდხანს შეუმოწმებლად იმეორებდნენ,²⁵ მაგრამ როგორც ლ. მენაბდე შენიშნავს, „სინამდვილეში ის არც სწორია და არც ზუსტი. დამატებულ სტროფებს შორის მ. ბროსე ასახელებდა უკთ (414) სტროფსაც, მაგრამ ის გვხვდება ვახტანგისეულ გამოცემაში (უთ). ამასთანავე, სამი სტროფი-ს (200), ტი(301), ტნ(338) შეტანილია დამატებით, მაგრამ არაა მოხსენიებული წინასიტყვაობაში. ასე რომ, 1841 წლის გამოცემაში დამატებით დაბეჭდილია 50 ისეთი სტროფი, რომელიც ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში“ არ იყო“.²⁶

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის სტროფული შედგენილობა ვახტანგისეუ-

ლოთხ შედარებით გაზრდილია 50 ახალი სტროფით და შეიცავს ჩქლზ (1637) სტროფანთურულ თვლიდა რა დამატებით შეტანილ ახალ სტროფებს, მ. ბროსე ფრთხილად დასძენდა, რომ ისინი „იპოვებიან მხოლოდ რომელთამე კელ-ნაწერებში. მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და ვეფხვის-ტყაოსანსაც ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცით ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ რომ ჩაგვებეჭდა და იმიტონაც ჩავუმატეთ“ (გვ. XIII).

დღეს უკვე საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ამ 50 ახალი სტროფიდან 4 სტროფი თეიმურაზ ბაგრატიონის მითითებით არის შეტანილი,²⁷ ხოლო დანარჩენი 46-შერჩეულია პ. ქებაძის მიერ რედაქციისთვის მიწოდებული 52 სტროფიდან.²⁸ თავის მხრივ, პ. ქებაძეს ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის ტექსტში ჩასამატებლად გამიზნული ზემოთაღნიშნული 52 სტროფი, ს. ცაიშვილის მტკიცებით, გადმოწერილი უნდა პქონდეს პოემის ვახტანგამდელი ვრცელი რედაქციის შემცველ W—27 ნუსხიდან, რომელიც დღეს ოქსფორდში ინახება,²⁹ თუმცა ანგარიშგასაწევია მ. ბროსეს შენიშვნა, რომ ახლადჩამატებული სტროფები „ამას გარდა პარიუში რომ სამეფოს ბიბლიოტეკაში კელნაწერის, რომელიც 10 წელი წინ ვახტანგ მეფის დაბეჭდვილს ვეფხვის-ტყაოსანზე იყო დაწერილი, იმაშიაც იპოვებიან ზემოქსენებულნი ლექსნი“ (გვ. XIII). იგულისხმება 1702 წელს შემახაში ყაზაანთ ბეჟოს ქალის მიერ გა-



დაწერილი პოემის ვრცელი რედაქციის შემცვევა
ლი ნუსხა, რომლის ასლი მ. ბროსეს პარიზში ჯერ
კიდევ 1828 წელს ჰქონდა დამზადებული და თან
წამოღებული პეტერბურგში (დღ. K—23). მარ-
თალია, ს. ცაიშვილის დაკვირვებით, „1841 წლის
გამოცემაში შეტანილი ზოგი სტროფი არ მოიპო-
ვება პარიზულ ნუსხაში“,³⁰ მაგრამ ერთი საზია-
რო სტროფის არსებობის შემთხვევაშიც, ბროსეს
მიერ საერთოდ პარიზული ნუსხის გამოყენების
უგულებელყოფა არ შეიძლება. რაც შეეხება
პ. ქებაძის მიერ ახლადდამატებული სტროფების
მიწოდებას, ეს ფაქტი მ. ბროსემ საგანგებოდ აღ-
ნიშნა 1877 წელსაც თავის უკანასკნელ რუსთვე-
ლოლოგიურ ნაშრომში: „1841 წელს ბ. დ. ჩუბი-
ნოვმა, ბ. ზ. ფალაგანდოვმა და მე მეორედ გამო-
ვაცით [ვეფხისტყაოსანი] სანკტ-პეტერბურგში
1637 სტროფით, 48 სტროფის დამატებით, რომ-
ლებიც ბ. პ. ქებაძემ მოგვაწოდა და დასძინა
ხელნაწერებში ვიპოვეო“.³¹ საგულისხმოა, რომ
„აღნიშნული 50 სტროფიდან 11 სტროფი შევიდა
მომდევნო და მათ შორის 1937 წლის საიუბილეო
გამოცემაში (იხ. 1937 წლის გამოცემის 152, 301,
302, 323, 373, 415, 487, 553, 581, 586, 1514
სტროფები)“.³²

გარდა ამ და სხვა სახის რედაქციულ-ტექსტო-
ლოგიური სიახლეებისა, გამოცემას დართული
აქვს ცხრა-სტროფიანი ლექსი-ანდერძი (გვ. 223—
224), რომლის ავტორად გამოყვანილია მარი
ბროსე, მაგრამ უკანასკნელ წანს დოკუმენტურად



გამოირკვა, რომ ბროსეს სახელით გამოცემისთვის
დართული ლექს-ანდერძი თურმე თეიმურაზე მარჯვენა
რატიონის დაწერილი ყოფილა,³³ ხოლო რაც შე-
ეხება „მცირე ლექსიკონს“, მისი ავტორი დავრთ
ჩუბინაშვილია.³⁴

§ 5. მარი ბროსე — ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვეფხისტყა-
ოსნის რამდენიმე სტროფის რუსულ თარგმანს,
შესრულებულს 1802 წელს ე. ბოლხოვიტინოვის
მიერ,¹ მაშინ მარი ბროსე უნდა ვაღიაროთ პირ-
ვალ ევროპელ მეცნიერად, ვინც ფრანგულ ენაზე
მოგვცა რუსთველის პოემის დასაწყისი ნაწილის
პროზაული თარგმანი, აგრეთვე, ფრანგულ ენაზე
გარდათქვა ვეფხისტყაოსნის მოკლე შინაარსი.

როგორც უკვე ვთქვით, რუსთველის პოემას
მარი ბროსე გაეცნო პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში
დაცული ორი ნუსხის (P—10, P—12) მი-
ხედვით, რომლებშიც ვეფხისტყაოსნის ორივე —
ვრცელი და მოკლე რედაქციები იყო წარმოდგე-
ნილი. ასე რომ, მას საშუალება მიეცა მთლიანი
წარმოდგენა ჰქონოდა პოემის ტექსტზე.

თავდაპირველად, მ. ბროსეს დაუწყია პოემის
ვრცელი რედაქციის შემცველი P—10 ნუსხის
(გადაწერილი 1702 წელს შემახაში) ასლის გად-
მოღება, რომელიც მას 1828 წელს დაუსრულე-
ბია, შესდგომია აგრეთვე ვარიანტების ამოწერას
პოემის მოკლე რედაქციული ტიპის P—12 ნუს-
ხი.



ხიდან (გედაწერილია 1811 წელს იოანე იალლუ-
ზის ძის შიერ), თან პარალელურად ამზადებული იყო
პროზაულ ფრანგულ თარგმანს, რომელიც ქართუ-
ლი ტექსტის გვერდითაა მოთავსებული. როგორც
ჩანს, ფრანგ სწავლულს მტკიცედ აქვს გადაწყვე-
ტილი ვეფხისტყაოსნის სრული ფრანგული თარ-
გმანის შესრულება, რის თაობაზე იგი 1828 წელს
ბეჭდურადაც აცხადებდა: („ვიმედოვნებ შალე
შევთავაზო საზოგადოებას სრული თარგმანი“).²
ასეთივე სურვილი გაუმჯდოვნებია მ. ბროსეს 1833
წლის 16 აგვისტოს პარიზიდან მოწერილ წერილ-
ში თეიმურაზ ბაგრატიონისადრი, რაზედაც გახა-
რებული ქართველი ბატონიშვილი პასუხობდა:
„... და თარგმანით ფრანციცულად დაბეჭდვა, რო-
გორც თქვენი სურვილი არის, რომ ფრანციის წე-
რილთ მოყვარეთ წარიკითხონ და შეიტყონ რუს-
თაველის შრომა, დიახ კარგათ გიფიქრიათ და
დიდად მომწონს თქვენი განზრანვა და შრომა“.³
პოემის 1841 წლის გამოცემის „წინასიტყვაობა-
ში“ მ. ბროსემ კვლავ გაიმეორა: „თუ ოდესმე
[და]იბეჭდება თარგმანი რამე ვეფხვის-ტყაოსანისა
(როგორც განიგონია რუსულად ითარგმნება ვის-
განძე, და მეცი ჭრანციც ულად ვამ-
ზადებ), იმედი მაქვს რომ სიხარულით მიიღონ
ევროპაში“ (გვ. XI).

სამწუხაოოდ, მ. ბროსემ ეს დაპირება ვერ
შეასრულა, ბოლომდე ვერ მიიყვანა დაწყებული
საქმე, რადგან რ. ლოდაშვილის სიტყვებით, „უამ-
რავმა საქმემ გადაადებინა გვერდით ბროსეს ვე-



ფხისტყაოსნის თარგმნაც, რომელიც ჯერადაც 1828 წელს დაიწყო, „ეს იუტად ძნელი შემუშავება იყო და უამრავ საქმეებში ჩაფლულ ბროსესათვის შეუძლებელი“.⁴ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში დაცული მ. ბროსეს არქივის მასალებიდან ჩანს, რომ ვეფხისტყაოსნის პროზაულ ფრანგულ თარგმანზე მუშაობა მ. ბროსეს პარიზში 1832 წელს შეუწყვეტია: „ვეფხვის-ტყაოსანი. ტარიელისა და ნესტან დარეჯანის მიჯნურობა, რუსთველისაგან, ფრანციცულიდ გადმოთარგმანებული ბროსეტისაგან. ჩყლბ, პარიზს“ (K—23), ხოლო მისი დახვეწია და სხვისი ხელით გადათეთრება გაუგრძელებია პეტერბურგში 40—50-იან წლებში.⁵

მართალია, მ. ბროსემ ვერ მოასწრო ვეფხისტყაოსნის სრული ფრანგული თარგმანის მომზადება და გამოქვეყნება, მაგრამ 1828—31 წლებში „პარიზის სააზიო ჟურნალში“ მან დაბეჭდა თავისი შრომის ფრაგმენტები, რითაც მაინც დიდად შეუწყო ხელი რუსთველის უკვდავი პოემის პოპულარიზაციას მსოფლიოში, ან თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „რომ ფრანციის წერილთ მოყვარეთ წარიკითხონ და შეიტყონ რუსთაველის შრომა“.

1828 წელს მ. ბროსემ გამოქვეყნა წერილი „ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა“, რომელშიც ქართული კულტურის სხვა საკითხებთან ერთად, გადმოგვცა ვეფხისტყაოსნის მოკლე შინაარსი. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი

პოემას იცნობს ვრცელი რედაქციით (P—10),
რადგან ვეფხისტყაოსნის შინაარსში შეაქვს გმირული
თა სიკვდილისა და ანდერძების ამბებიც. მაშა-
სადამე, ამ ეტაპზე მ. ბროსე ვეფხისტყაოსნის გა-
გრძელებებსაც („ინდოხატაელთა ამბავი“, „ხვა-
რაზმელთა ამბავი“, „გმირთა სიკვდილის ამბავი“)
რუსთველისეულად მიიჩნევდა.⁶

იმავე წელს მ. ბროსემ გამოაქვეყნა „არაბე-
თის მეფის როსტევანის თავდაპირველი ისტორია.
თარგმანი ქართულ რომან „ვეფხისტყაოსნიდან“,
რომელშიაც პროზაულად თარგმნილია ვეფხის-
ტყაოსნის დასაწყისი ორი თავი: „ამბავი როს-
ტევან არაბთა მეფისა“ და „როსტევან მეფისაგან
და ავთანდილისაგან ნადირობა“. ⁷ აღნიშნულ თარ-
გმანში ბროსე უკვე ანგარიშს უწევს ორავე პარი-
ზულ ხელნაწერს (P—10, P—12), რადგან ზოგი-
ერთი სტროფი, რაც ერთ ხელნაწერში არ გვხვ-
დება, მეორეშია შემონახული, ან უკეთესი ვარი-
ანტით თუ რედაქციითაა შეცვლილი — შენიშ-
ნავდა იგი.

1830 წელს მ. ბროსე თავის ნაშრომში „გამო-
კვლევანი ქართული პოეზიის შესახებ“ კვლავ
დაუბრუნდა ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სტრო-
ფისა და ტაქპის ფრანგულად პროზაულ თარგმას
(1937 წლის გამოცემის მიხედვით, ეს აღგილე-
ბია: 789, 3—4, 800; 855,3; 878; 879; 951; 966,
3—4; 967; 968; 1347; 1348; 1492,1; 1654,4 და
სხვ.), რათა დაესაბუთებინა, რომ პოემის „ზოგი-
ერთ ადგილს პორაციუსის, პომეროსის, ფსალ-
10. გურამ შარაძე

მუნთა, წმინდა საგალობელთა და საღმრთო წერილის სხვა ნაწილების იმიტაცია ან გავლენაზე ყვია“, ხოლო „საკუთარი სახელებითა თუ უსტის ულად მოხსენიებული (თუცა შათი განოცნობა ძღვილია) ფილოსოფოსები ავტორის ისეთ ლიტერატურულ განათლებასა და, საერთოდ, ღრმა ცოდნაზე მიუთითებენ, რაც შეუძლებელია ქართველ მხედართმთავარს მივაწეროთ“.⁸

1831 წელს, ამავე ნაშრომის გაგრძელებაში (მესამე ნაწილში), რომლის V თავს „ტარიელის“ [ვეფხისტყაოსნის] ესკიზი“ ჰქვია, მ. ბროსემ ჯერ წარმოგვიდგინა პროლოგის დაწვრილებითი შინაარსი ზოგიერთი სტროფის („მიჯნური შმაგსა გვირქვან...“, „მიჯნურსა თვალიდ სიტურფე...“, „მიჯნურობა სხვა რამეა...“, „... დასთმობს ყველაკაი...“, „ამა საქმესა მიჯნური...“, „... არ დაჩენა ჭირთა, მალვა“, „არ ბედითად აპი ზმიდეს“, „გამს მიჯნური ხანიერი...“, „შაირობა პირველადვე...“, „მაშინდა ნახეთ მელექსე...“, „გამს მელექსე ნაჭირვებსა...“, „ვჰსთქვა მიჯნურობა პირველი...“, „მას ერთსა მიჯნურობასა...“) ქართულ-ფრანგული პარალელური ტექსტების თანდართვით, რომლებსაც ახლივს ვარიანტული წაკითხვები პოემის ვრცელი რედაქციიდან პარიზული (P—10) ნუსხის მიხედვით, ხოლო შემდეგ მკითხველებს შეახსენა ვეფხისტყაოსნის დასაწყისი პირველი ორი თავის („ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ და „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“) შინაარსი 1828 წელს მის მიერ

გამოქვეყნებული პროზაული თარგმანის მიხედვით
და შეუდგა, უკვე საკმაოდ ვრცლად, პოემის სტრუქტურა
ეტის გადმოცემას უცხო მოყმის გამოჩენილ
გმირთა სიკვდილით დამთავრებამდე (როგორც
გხედავთ, კვლავ ვრცელ რედაქციაზე დამყარე-
ბით).⁹

თეიმურაზ ბაგრატიონი იმავე 1831 წელს აღ-
ფრთვანებით შეეგება მარი ბროსეს შრომას: „მე
ვიხილე ჟურნალსა თქვენ მიერ წარმოვლენილსა
დიდისა მის და სახელოვნისა ჩვენისა მელექსეთა
გმირისა შოთა რუსთაველისა რჩეულზე ლექსნი
და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანცი-
ცულს ენაზედ. ვაშა! ვაშა!“¹⁰

ამით შეწყდა ვეფხისტყაოსნის ბროსესეული
ფრანგული პროზაული თარგმანის პუბლიკაციები,
ხელნაწერში (ლენ. K—23) დარჩენილი არასრუ-
ლი თარგმანი კი ელის თავის მკვლევარს...

აქვე ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს
მ. ბროსეს თეორიული გამონათქვამები საერთოდ
ვეფხისტყაოსნის სხვა, და კერძოდ, ფრანგულ ენა-
ზე გადათარგმნის შესახებ.

მ. ბროსეს შენიშვნით, „ეს მშვენიერი ნაწარ-
მოები მეტწილად სტილით ბრწყინვას და მკით-
ხველსაც სწორედ ამით ანიჭებს სიამოვნებას; მაგ-
რამ პოეზიისა და გემოვნების საკითხში დასავლე-
ლები ვერ რიგდებიან აღმოსავლეთის მოყვარუ-
ლებთან“.¹¹

ეს სიძნელე დგას ვეფხისტყაოსნის გადათარ-
გმნის დროსაც: ე. ი. როგორ გავაგებინოთ, რო-

კორ შივიტანოთ აღმოსავლური ლიტერატურს
ბრწყინვალე ძეგლის — ვეფხისტყაოსნის მთელი
სიდიადე ევროპელ მკითხველამდე, რაღაც უკრონეს
ზისა და გემოვნების საკითხში დასავლელები ვერ
რიგდებიან აღმოსავლეთის მოყვარულებთან.

საილუსტრაციოდ, მ. ბროსე იშველიებს ვეფხისტყაოსნის საკუთარ ორნაირ თარგმანს (მათ იგი ფრაგმენტს უწოდებს): ერთს, რომელიც წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის დასაწყისი ორი თავის ს იტყვა პას იტყვა ით თარგმანს „ჟურნ. აზიატიკ“, II და მეორეს, რომელიც ვეფხისტყაოსნის შინაარსის თავის უფალი ფრანგული გარდათქმაა („ჟურნ. აზიატიკ“, VII, 1831), შეუპირისპირებს მათ ერთიმეორეს და ორივეს იწუნებს: „თუ, როგორც ეს პირველ ნაწყვეტშია, ფეხდაფეხ მივყვებით სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობას, „ტარიელი“ ფრანგებისათვის მხოლოდ უცხო, უცნაური, გაუგებარი თხზულება იქნება, მეტისმეტი გულმოდგინება დამახინჯებს თარგმანს და სიზუსტის დაცვა უზუსტობა გამოგვივა; მეორე მხრივ, თუ იმით დაკმაყოფილდებით, რომ დედა-აზრს ამოვიღებთ, ხოლო ლექსის ფორმას არაფრად ჩავაგდებთ, მაშინ საკუთარი ფანტაზიით შეთხზული წიგნი გამოგვივა, რასაც რუსთველი ვერც იცნობს და ვერც მიიღებს. მეორე ფრაგმენტზე ასეთი ჭოსაზრება მაქვს“ (იქვე, გვ. 54—55).

ამიტომ ბროსე ასეთ გამოსავალს პოულობს: „...თუ გავითვალისწინებთ, რომ ფანტასტიკურმა ნაწარმოებმა უპირველეს ყოვლისა უნდა მოგვხიბ-

ლოს და სიამოვნება მოგვანიჭოს, და თუ რუსთაველების მიუ-
ლი ფრანგებისთვის დაწერდა თავის წიგნს, მიუ-
სადაგებდა მათ ენას, მათ ზნე-ჩვეულებებს, ჩვენ,
მის მთარგმნელებს, მძიმე მოვალეობა დაგვაწვე-
ბოდა, რათა მის მიერ განვლილ გზას ფეხდაფეხ
მივყოლოდით... ზუსტი და არალიტერატურული
თარგმანი მეცნიერთა გემოვნებას უფრო შეაფე-
რება; ჩვენ კი ფრანგ მკითხველს „ტარიელის“
ზუსტ რეპროდუქციას მივცემთ: იგი ნაკლებ სიტ-
ყვა-სიტყვითია, ვიდრე პირველი ფრაგმენტი და
ნაკლებ თავისუფალი, ვიდრე მეორე“ (იქვე,
გვ. 55), და თუ მაინცდამაინც „მეცნიერებს, რომ-
ლებსაც სურთ უფრო ზუსტად, უფრო სიტყვა-
სიტყვითა და ახლოს იცნობდნენ ნაწარმოებს, შე-
იძლება ლათინურ ენაზე გადავუთარგმნოთ ეს დი-
დი თხზულებაო“.¹²

ამ სიძნელეებს მ. ბროსე ხაზს უსვამდა ვეფ-
ხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის „წინასიტ-
ყვაობაშიაც“, მაგრამ აქვე აღნიშნავდა სხვა აღ-
მოსავლურ ენებთან (სპარსული, არაბული) შე-
დარებით, ქართულის ფრანგულთან სიახლოვეს,
რის გამოც ვეფხისტყაოსნის, და საერთოდ ქართუ-
ლი მწერლობის ძეგლთა კარგ ევროპულ თარგმა-
ნებს სიხარულით მიიღებენ დასავლეთშიო: „თუმ-
ცა აზიური გემო ევროპიულსა არ ეთანხმება, მაგ-
რამ უნდა ვსთქვათ, რომ ქართული საუბარი და
წერილის კანონი ჩვენისაგან [ევროპულისაგან,
ფრანგულისაგან] ასე შორს არ არის, როგორც
მაგალითად, სპარსული და არაბული გვარი, და



იმისთვის ქართველთა მწერალთა კარგი უმნიშვნელობა
ევროპიულს ენებზედ უნდა ყოველმა კაცმა მოი-
წონოს: თუ ოდესმე იბეჭდება თარგმანი რამე ვე-
ფხვის-ტყაოსნისა (როგორც გამიგონია რუსულად
ითარგმნება ვისგანმე, და მეცა ფრანციცულად
ვამზადებ), იმედი მაქვს, რომ სიხარულით მიიღონ
ევროპაში“ (გვ. XI).

აღბათ, მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მ. ბრო-
სეს შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის თარგმნის
თაობაზე, დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა
და ისეთივე საჭირბოროტო საკითხად რჩება, რო-
გორც ამ სუკუნენახევრის წინათ.

§ 6. ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი და იდეურ-მხატვრული დახასიათება

რუსთველის დიადი პოემის სახელწოდებას
მ. ბროსე თავის ნაშრომებში სხვადასხვა დროს
სხვადასხვანაირად მოიხსენიებდა, ხოლო პოემის
1841 წლის გამოცემაში რუსულად «Барсова
Кожа»-დ თარგმნიდა და მას პოემა-რომანის
უწოდებდა ჯერ კიდევ 1828—1830 წწ. გამო-
ქვეყნებულ ნაშრომებში.¹ ამასთან დაკავშირებით
უნდა მოვიგონოთ, რომ „ტერმინი „პოემა“ ვეფ-
ხისტყაოსნის ჟანრობრივი ფორმის დასახასიათებ-
ლად პირველად გამოიყენა ევგენი ბოლხოვიტი-
ნოვმა“, ² ამასთან რუსი მეცნიერი დასძენდა
«Содержания поэмы Вепхиткаосани есть поч-
ти романическое»³. ამგარაა, რომ ვეფხისტყაოს-



ნის ჟანრობრივი ფორმის განსაზღვრისათვის ბრძოლისა და მიზანისა და დროს, ისე როგორც სხვა შემთხვევებშიც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის გავლენას განიცდის.

1831 წელს მ. ბროსემ უფრო ჩაღრმავებული ორიგინალური მსჯელობა წარმოგვიდგინა ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი დახასიათებისთვის: „.... ახეთია ტარიელისა და მისი სიყვარულის კეთილშობილური ისტორია, თუ ჩვენ, დასავლელები, ეპოპეას არ ვარქმევთ მას, ეს იმიტომ, რომ მასში არც მოქმედებისა და დროის ერთიანობა არაა, როგორც ეს პომეროსის, კერგილიუსისა და ტასოს დიდ თხზულებებშია. ყოველ შემთხვევაში, ეს არ გახდავთ გალექსილი, მშრალი დღიური და დასავლელების ათვალისწინების ღირსი სულაც არაა. თანაც, ესა თუ ის ფანტასტიკური ნაწარმოები რომ მოგეწონოს, განა იგი აუცილებლად არისტოტელეს ჩარჩოებს („მეტისმეტიდ ფაქიზი საგნები თავისი სიმცირის გამო უაზრო ხდება, ხოლო მეტისმეტი გაზვიადება წარმოსახვას ჩაკლავს“) უნდა მოერგოს? სწორედ ამის უარყოფის უფლება ექნებოდათ ზღვის გაღმელ და რაინც იქითა ჩვენს მეზობლებს. ყოველი ჭანრი კარგია, მოსაწყენი ჟანრის გარდა“.⁴

ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის „წინა-სიტყვაობაში“ ბროსე ვეფხისტყაოსანს „სამიჯნურო ზღაპარს“ უწოდებს (გვ. X), უდარებს მას ამ ჟანრის სხვა ქართულ თხზულებებს — „ამირანდარეჯანიანს“, „ვისრამიანს“, „მირიანს“,

„რუსულანიანს“, „ყარამანიანს“, „ომაინიანს“ და ასკვნის: „ამ წიგნის დაწერითა რუსთაველი მოჩნდა არა მხოლოდ ვითარცა ჩინებული, არა-მედ უწარჩინებულ ესი ყოველთა ქართველ მეზღვანი ვიცით ქართულ ენაზედ, თუ შე-თხვითა, თუ სიტყვითა, თუ ხასიათების მხატვ-რობითა მისი უმდარესნი არიან. მაგალითად, „ამირანდარეჯანიანს“ და „რუსულანიანს“ ერთ-მოქმედება აკლიათ, რეცა მოგროვებულთა სხვათა და სხვათა აქა-იქ ამბავთა. „ვისრამიანი“ გრძლიად შეთხული ზღაპარია, დაფასებული მხოლოდ სი-ტყვამჭევრობითა, ვითარცა „ამირანდარეჯანიანი“. „ყარამანიანი“ შეიცავს მხოლოდ დაუჯერე-ბელთა ამბავთა. „მირიანი“, „ომაინიანი“ მდაბი-ურად დაწერილნი არიან, უცხოთა აზიურთა ზღა-პრების მიბაძვით, ხოლო, ოუსთველ ში შეერთებულია ყოველი ღირსება მწერლისა“ (გვ. VIII).

მ. ბროსე ჩამოთვლის რა ვეფხისტყაოსნის უცილობელ ღირსებებს: „ზღაპრის ტურფა-თხზულება, შაირების კეთილ-ხმიანობა, სიტყვა-აღრჩევით ენა-მჭევრობა, პაზრების მშვენიერად დაწმახვნა და ჭეშმარიტების მაღალ ფილოსოფი-ური მხატვრობა“, გათ საფუძველზე რუსთველის ქმნილების მაღლა იყენებს ამ ჟანრის არა მხოლოდ ქართულ თხზულებებზე, არამედ თვით ევროპუ-ლი ლიტერატურის ზოგიერთ ძეგლზე: „ამით ვამტკიცებ, რომ წიგნი ესე ქართულს ენაზე უებ-



რო და უამხანაგოა, და თვით ევროპაშიაც უმჯობესი მრავალი არ მოიპოვება“ (გვ. VII).

ამას გარდა, მ. ბროსე სხვა „სამიჯნურო ზღაპართაგან“ (მაგალითად „ვისრამიანი“) განსხვავებით, ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსანში გატარებული მაღალი ზნეობის ქადაგებას და სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს ამ მხრივ რუსთველის მისამართით ქართული სასულიერო წრეების წარმომადგენელთა (ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი) მიერ გამოთქმულ კრიტიკას: „ესეც დიდი ქებაა რუსთველისა, რომ ამისთანა ზღაპარში არ იპოვება არც ერთი უშვერი სიტყვა, ან კარგის სწავლის წინააღმდეგი, თუმცა ადვილი იყო აქაცა დაწერა მსგავსის ლალობისა, როგორც „ვისრამიანში“ იპოვება. ამით ჰსჩინს, რომ სასტიკი კრიტიკა რუსთველზე ანტონი კათალიკოზის მიერ, სრულიად უსაფუძვლოა. ანტონი ჰსწერს: „...ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“ და ეგრეთვე ტიმოთე მიტრაპოლიტის მიერ, რომელიც თვის „მიმოხილვაში“ ჰზრახავს რუსთველს, ვითამ თუ „ქართველ დედაკაცებს ასწავლა სიწმინდისა წილ სიბოროტე და სიბილწება“. და საკვირველი არ არის, რომ სამღვდელოთა შეურაცხველონ სამიჯნურო ზღაპარი, მაგრამ ესეც სათქმელია, რომ სრულიად უმიზეზოდ ამას ჰსწერენ ისინი რუსთველზე“ (გვ. IX—X).

განსაკუთრებით საყურადღებოა მ. ბროსეს დაკვირვებანი ვეფხისტყაოსნის სტილსა და მხატვრულ მეტყველებაზე, რასაც საგანგებო ნარკვე-

ვი — „ტარიელის“ სტილი“ უძღვნა ჯერულშვილი
1830 წელს⁵; ბროსე წერდა:

„სტილის თვალსაზრისით „ტარიელი“ ყველა
ქვეყნის სანიმუშო ნაწარმოებად შეიძლებოდა ჩა-
გვეთვალა ძლიერი სიუჟეტის გამო თუ არა, ყო-
ველ შემთხვევაში, იშვიათი ნაყოფიერი გამომგო-
ნებლობისა და ავტორის მდიდრული წარმოსახვი-
სათვის მაინც. აღმოსავლელებს თავიანთი ფიცხე-
ლი გონებითი და ეგზალტირებული გრძნობიერე-
ბით, ჩანს, უბრალოდ რამის გამოხატვა არ ეხერ-
ხებათ. მეტად გაბედული სახეები, სიტყვათა საო-
ცარი კავშირი, სტილის კომბინაცია და თამაში,
რითაც ყოველ აზრს ბრწყინვალე სიტყვებითა და
სახეებით გადმოსცემენ, სწრაფ ნაკადიდ შოედინე-
ბა მათი კალმიდან“ (გვ. 49). ოღონდ ვერ გავი-
ზიარებთ მ. ბროსეს მტკიცებას, თითქოს აღმოსავ-
ლეთის მწერლები, კერძოდ, რუსთველი „მუჟე-
დავად ამისა, იშვიათად მიმართავენ ორ მა-
ტოპეას, ამ მიმბაძველობით პარმონიას, რაც
ქარის გრიალს, ჭექა-ქუხილს, ფილომელის ამა-
ღლევებელი მელოდიის გულისმომკვლელ უღერას
გადმოსცემს. ერთი სიტყვით, არ იყენებენ იმ პარ-
მონიას, რაც ძველი ევროპის პოეტებთან კარგ
ჩანაფიქრს ახალ ღირსებას მატებდა ხოლმე: ყუ-
რის საშუალებით სასიამოვნოდ მიეღწია გონებამ-
დე. ამიტომაცაა, რომ აღმოსავლეთის ყველაზე
ღონიერი მწერლები, საერთოდ, ძალიან ცო-
ტას აგებენ თარგმანში“ (გვ. 49).

არ ვიცით, აღმოსავლეთის სხვა რომელ მწე-



რალს გულისხმობდა მ. ბროსე, მაგრამ თუ კანკელიანი რუსთველი, ძველი ევროპის პოეტებისაგან განსხვავებით, არ იყენებდეს, ან იშვიათად მიმართავდეს ონომატოპეას, ე. ი. პოეტური მეტყველების ბგერულ ორგანიზაციას, და ამიტომაც, ძალიან ცოტას აგებდეს თარგმანშიო, ამის მტკიცება ნამდვილად დიდი უსამართლობა იქნებოდა ვეფხისტყაოსნის ავტორის მისამართით.

პირიქით, ჩვენ კი ამის სრულიად საპირისპიროდ ვიცით, რომ ონომატოპეა ანუ ბგერათმიმსგავსებით ე. ი. ბგერის საშუალებით სინამდვილის ამათურიმ მოვლენის იმიტაცია თავისი ნაირსახეობებით (ასონანსი, ალიტერაცია, ანაფორა, ეპიფორა...) ვეფხისტყაოსანში უმაღლეს დონეზეა აყვანილი და სწორედ იმის გამო, რომ ეს დონე პოემის დღემდე არსებულ არც ერთ თარგმანში დაძლეული არ არის, ამიტომ რუსთველი სწორედ ბევრს აგებს თარგმანში.

მოვიგონოთ თუნდაც რამდენიმე მაგალითი: „კარვის კალთა ჩახლართული ჩაგჭერ, ჩავაკარაბაკე“, სადაც ალ. ბარამიძის სიტყვით, „რუსთველი ბგერების საშუალებით ახერხებს გადმოსცეს საძულველი გადამთიელის (ხვარაზმშაპის ძის) კარვის ჩაჭრის, ჩავაფვისა და ჩანგრევის კოლორიტული, რეალისტური სურათი“; ან კიდევ: „ზანილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა“, აქ „ბგერების გენიალური შერჩევით გამოხატავს რუსთველი ვერაგი მტრებისაგან მუხტლურად დახელთებული და წყლულებისაგან გამწარებული,



მაგრამ ამაყი და ქედმოუხრელი ვაჟკაცის დონის ყიუინს ღამის სივრცეში“ და სხვ., რის საფუძველზედაც იგი დაასკვნის: „რუსთველი უბაღლო ოსტატია პოეტური ფრაზის ბგერული ორგანიზაციისა. ბგერული პარმონია რუსთველის ლექსში აღწევს განუშეორებელ სისრულეს“.⁶

მაგრამ აქვე საინტერესოა მ. ბროსეს ცდა ვეფხისტყაოსნის სტილის ორიგინალობა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე ახსნას: „კავკასიის მწერლები უცხონი არიან ჩვენი ზნე-ჩვეულებებისა და სულიერი სამყაროსათვის. ისინი, ისე როგორც მათი გმირები და მიჯნურები, ისეთ ენაზე ლაპარაკობენ, რომ პატარა ქვეყნების ადათს გზა-კვალს აუბნევდნენ, მაგრამ არც აზრის დახვეწილობა აკლიათ, არც გამონათქვამის სიზუსტე და სიღრმე. ბუნებამ სიმამაცისა და საგმორო ღირსების გრძნობა აღბეჭდი ქართველის სულში. ასევე მისი სახის ნაკვთება და მთელ მის პიროვნებას უხვად აფრქვია კეთილშობილური დიდებულება და სიმშვენიერის თვისებები (გვ. 49—50).

ვეფხისტყაოსნის დასავლურ და აღმოსავლურ მწერლობასთან („ათას ერთი ღამე“, პომეროსი, პორაციუსი...) შედარებისას, განსაკუთრებით საყურადღებოა ბროსეს დაკვირვება მნათობთა როლის შესახებ რუსთველის პოემაში და მეტაფორული მეტყველების ანალოგია ქველ ჩინურ პოე-

ზიასთან: „ტარიელის“ სტილში მნათობები დო
როლს ასრულებენ. რადგან იმის გარდა, რომ ქართული
ნი მამაკაცთა თუ ქალთა სილამაზის სავალდებულო
ლო შედარების ტერმინებია, ჩვეულებრივ, ისევე
იხმარებიან მესამე პირის სახოტბო ნაცვალსახე-
ლად, როგორც ჩინურში „დიდი კოშკი“ და „დი-
დი ეტლი“ „მონსენიორების“ აღსანიშნავად. ზოგი
მცენარეც კი, როგორიცაა ვარდი და ალვა, და
ლომი — გმირის სახელად იმავე მნიშვნელობით
იხმარება“ (გვ. 50).

მ. ბროსემ მოგვცა ვეფხისტყაოსნის მთავარ
პერსონაჟთა მოკლე, მაგრამ სხარტი და ამომწუ-
რავი დახასიათება: „პერსონაჟთა სიმრავლესაც
ვერ ვუსაყვადურებთ რუსთველს. ერთი მხრით,
გულვეთილი როსტევანი თავისი ბრწყინვალე თი-
ნათინით და რაინდი ავთანდილი, რომელთანაც
ეპიზოდური მოქმედი პირი ფატმანია დაკავშირე-
ბული, და, მეორე მხრით, ნურადინ-ფრიდონი,
მთელი პოემის შანძილზე ტარიელის დიადი პი-
როვნებით არიან დაინტერესებულნი. ეს უდედმა-
მო გმირი (მშობლები მხოლოდ ვაჟის ნაამბობში
ჩანან) მკითხველის ყურადღებას იზიდავს, რადგან
იგი თავისი კეთილშობილური ხასიათით, გადა-
ჭირდებული სასოწარკვეთითა და, საერთოდ, მთე-
ლი სასიყვარულო ხლართებით სავსებით ჩქმალავს
მეორეხარისხოვან მოქმედ გმირებს. მის შემდეგ
მოდის ავთანდილი, რომელიც ჯერ საფრთხეში
იგდებს თავს, რათა მეფესა და მიჯნურს თავი მო-
აწონოს, მერე კი ვაჟკაცურად უძალიანდება მათ.

ბოლოს — ფრიდონი სამ მეგობარს შორის პირვე
ლი ბედნიერი კაცი, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკური
ტიკური უსიამოვნება გადახდება თავს, შეკრის
იქაც იმარჯვებს. მეორეხარისხოვანი პერსონაჟე-
ბიდან სათხო ასშათი, უბედური ტარიელის ერთ-
გული მეგობარი, გვხიბლავს თავისი გრძნობიერე-
ბით, თავდადებითა და ვაჟკაცური ფილოსოფიით,
რასაც ხშირად ტარიელსაც შთაუნერგავს ხოლ-
მე“,⁷ ან კიდევ „ტარიელის“ მთავარი გმირი რომ
ინდოელია, ამაზე არ გვსურს კამათი“ (იქვე,
გვ. 55), ხოლო 1877 წელს გამოქვეყნებულ თა-
ვის უკანასკნელ რუსთველოლოგიურ ნაშრომში
მ. ბროსე ბეჭითად წერდა: „ვეფხისტყაოსანი ამ-
ბავია კაცისა, რომელსაც აცვია ვეფხვის, ავაზისა
თუ ლეოპარდის ტყავი... მთავარი გმირი ტარიე-
ლი ვეფხვისა თუ ავაზის ტყავში ჩაცმული ჩნდე-
ბა“.⁸

დანოწმებული აღგილებიდან ნათლად ჩანს,
რომ ბროსე ვეფხისტყაოსნის უმთავრეს გმირად
ტარიელს მიიჩნევს, მაგრამ იგი ამით არ კმაყო-
ფილდება და ცალკე გამოყოფს ტარიელ-ნესტანის
შეყვარებულ წყვილს: „მაგრამ მთელი ხოტბა-დი-
დება მაინც ნესტანს, განსაკუთრებით კი მის ტა-
რიელს ეკუთვნის, რადგან ყველაზე დიდ საგმირო
საქმეებს სწორედ ის ჩაიდენს, ყველაზე მეტ
მსხვერპლს ის იღებს და სხვებსაც ის შთააგონებს
გმირობას“ (Recherches, 1831, გვ. 54). ეს შეხე-
დულება ბროსემ გააღრმავა ვეფხისტყაოსნის 1841
წლის გამოცემის „წინა-სიტყვაობაში“: „ვინც

ცალკე ავთანდილს, ფრიდონს, თინათინს, ასმთას
შეჰქედავს, უთუოდ იტყვის, რომ ისინი გმირებული
კაცნი და დედაკაცნი არიანო, ვინც ტარიელს უდიდესობაზ
ნესტან-დარეჯანს, იტყვის, რომ ესენი მიჯნუ რ-
თა უმიჯნუ რესნი და გმირთა უგმირესნი არიანო“ (გვ. VIII).

მაშასადამე, მ. ბროსეს აზრით, ვეფხისტყაო-
სნის უმთავრესი გმირი ტარიელია, უფრო სწო-
რად, ტარიელ-ნესტანის შეყვარებულთა წყვილია.
ასევე ფიქრობდა თეიმურაზ ბაგრატიონიც.⁹ მაგ-
რამ მომდევნო ხანის რუსთველოლოგიაში საცი-
ლო გახდა ვეფხისტყაოსნის მთავარ პერსონაჟად
ტარიელის მიხნევა. ივ. ჯავახიშვილი წერდა:
„ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთა რუსთველი
აღტაცებულია ტარიელით, რომ ტარიელი მისი
საყვარელი გმირია. ეს შემცდარი აზრია“.¹⁰ ზოგმა
კიდევ, ტარიელი უხეშ (ნ. გულაკი), მეტისმეტად
დესპოტ და სუსტია მჩაგვრელ (იუსტ. აბულაძე),
ტრაბახა, ცრუ, ზანგ (აკაკი), სიბრძნეს მოკლე-
ბულ (კ. კეკელიძე) პერსონაჟად გამოაცხადა.¹¹
საბოლოოდ, ალ. ბარამიძის სპეციალურმა გამოკვ-
ლევამ უეჭველი გახადა, რომ ვეფხისტყაოსნის
უმთავრესი გმირები არიან ნესტანი და ტარი-
ელი,¹² და ამგვარად, მტკიცედ დასაბუთდა თეიმუ-
რაზ ბაგრატიონის და მარი ბროსეს შეხედულება
ამ საკითხზე.

ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მ. ბრო-
სეს თვალსაზრისი ვეფხისტყაოსნის მთავარი თე-
მის რაობაზე. ამ მხრივ, ბროსემ გადაუხვია ტრა-

დიციულ შეხედულებას და სიყვარულის წაც-
ლად, პოემის მთავარ თემად, მის მთავარ შრეტეტიკულ
მიზანდასახულებად მეგობრობა და ძმადნაფიცობა
გამოაცხადა: „ამგვარად, პოემის მიზანია დახატოს
სამი კეთილშობილი რაინდის მეგობრობა, ხაზი
გაუსვას ბედის უსამართლობას ერთ-ერთი მათ-
განის მიმართ, ერთმანეთის დახმარებით ორ სასო-
წარკვეთილ მიჯნურს კეთილად დააგვირგვინე-
ბინოს სიყვარულით გამოწვეული ტანჯვა, გადა-
ალახვინოს ყოველგვარი დაბრკოლება, გადაატა-
ნინოს ყოველგვარი მწუხარება“, გამოკვლევანი,
1831, გვ. 54).

ამგვარად, მ. ბროსე ამ საკითხში მოგვევლინა
ნ. მარის წინამორბედად, და ამ მომენტს განსა-
კუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რადგან მას აქამდე
არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ნ. მარის აჭ-
რითაც, რომელსაც შემდეგ მიემხრო ივ. ჯავახი-
შვილი, «Побратимство или клятвенный союз
братьев — витязей есть фундамент, на кото-
ром утверждена вся архитектоника грузин-
ской поэмы «Витязь в барсовой шкуре».¹³

თანამედროვე რუსთველოლოგიურ მეცნიერე-
ბაში გაზიარებული არ არის ეს თვალსაზრისი.
დღეს აღიარებულია, რომ „ვეფხისტყაოსნის ძი-
რითადი თემა სიყვარულია“¹⁴ თუმცა აქვე უნდა
შევნიშნოთ, რომ მ. ბროსე იყო ერთ-ერთი პირ-
ვალი რუსთველოლოგი, ვინც სამართლიანად წი-
ნაღუდგა რუსთველური სიყვარულის ვახტანგი-
სეულ გაგებას, თითქოს პოემაში გამოხატულ

„საღმრთო ტრფიალებაზე“, რის გამოც ვახტანგის „განმარტებები“ დაიწუნა და აღარ დაურთოს. წლის გამოცემას: „... ვახტანგ მეფემ დაბეჭდვინა ვეფხისტყაოსნის განმარტება, რომელიც უშესაბამისო და უხამსია. მაგალ. საღაც რუსთველი აშიკობასა პსტერს, ვახტანგ მეფე თავის განმარტებაში ამბობს, რომ ეს საღმრთო ტრფიალობაზე უთქვაშს. ხოლო თვითონ ულმა იცის, რომ ვეფხვისტყაოსანი ზღაპარია და რა საღმრთო წერილი. აგრეთვე მრავალს მოქმედობასა ვეფხისტყაოსანისასა განპშარტებს საღმრთოს წერილითა და სხვ. ამის მიზეზით დაუტევეთ განმარტება ესე...“ („წინა-სიტყვაობა“, გვ. XII—XIII.). ბროსესვე ეკუთვნის „პომერის ილიადის“ ანალოგიით „რაისამე იდეასი წარმომადგინებლობის“ ნიშნით რუსთველის უმთავრეს გმირთა ასეთი ინტერპრეტაცია: „... თინათინ და ავთანდილ წარმომადგენენ მარტივსა სიყვარულსა, ფატმან ბედით მიჯნურობასა, ფრიდონ და ასმათ გულითადს მეგობრობასა, ტარიელ და ნესტან-დარეჯან ფრიადსა სიყვარულსა ან უფროს ვთქვათ, მომატებულის მიჯნურობის მაგალითსა“ (გვ. VIII).

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მ. ბროსემ ვეფხისტყაოსნის მთავარ თემად მეგობრობის აღიარების თავისი ადრინდელი თვალსაზრისი თანდა-
11. გურამ შარაძე



თან სიყვარულის იდეის სასარგებლზე შეკვეთული აოდესაც ვეფხისტყაოსნის 1841 წლის განმცემის „წინასიტყვაობაში“ პოემის სხვა გმირებთან შედარებით, ნესტან-ტარიელი „მიჯნურთა უმიჯნურეს და გმირთა უგმირეს“ წყვილად აღიარა და ვეფხისტყოსანში წარმოდგენილი რაგალ-წახნაგოვანი სიუჟეტური ხაზის სთელი განვითარება ბოლოსდაბოლოს ტარიელის თავის საყვარელთან შეყრას დაუქვემდებარა: „თინათინის გულისათვის ავთანდილი ბევრს ჭირს მოითმენს, მეორეჯერ მამულიდამ დაიკარგება, დაუჯერებელს გმირობას აჩვენებს, ასმათის შეწევნითა ტარიელს შეეყრება პ. კვალად ფრიდონის მეცადინეობითა ნესტან-დარეჯანი საცა დაიკარგა იმ ადგილს პსქებნის და დიდის ცდით იპოვის. ფრიდონ თვისის ჯარით ტარიელს და მის ძმობილს ავთანდილს უშველის ქაჯთ ციხის აღებაზე. ხოლო ტარიელ თვის საყვარლისათვის ძნელს და საშინელს საქმეს აღასრულებს: ხვარაზმას შვილსა გოპკლავს, უდაბნოში ვიდრე ათი წელიწადი პსცხოვრებს მკეცურად და პსტირს ნესტან-დარეჯანის დაკარგვაზე, ბევრჯერ დიდს ჯარზე გაიღაშქრებს, და აგრეთვე დიდროვანს მკეცებს დაპკოცს, და პირში სული იმ აზრით უდგას, რომ ოდესაზე ჩემს საყვარელს შეეყრებიო. თუ შეგობრობითა, თუ გმირობითა, თუ სიყვარულითა ყოველთა ამჯნევებს“



(გვ. VII—VIII). აი, თურმე რა ყოფილა ბროსებული
მტკიცებით, რუსთველის პოემის დედა-აზრი!

მ. ბროსეს არაერთხელ გაშოუთქვამს თავისი
აღტაცება ვეფხისტყაოსნის კომპოზიციისა და
სტილის გამო: „ქართულ ნაწარმოებთა შორის ეს
პოემა კომპოზიციისა და სტილის თვალსაზრისით
ყველაზე ცნობილია და ნამდვილად შპატვრულ ნა-
წარმოებს წარმოადგენს“ (1877, გვ. 65—66) და
რომ, „რამთონჯერაც ზედიზედ ვკითხულობთ ვეფ-
ხის-ტყაოსანს იმთენი უფრო და უფრო მოგვწონს:
მიზეზი აშისი არის, პირველას, ზღაპრის ტურფა-
თხზულება, შაირების კეთილ-ხმიანობა, სიტყვა-
აღრჩევით ენამჭევრობა, ჰაზრების მშვენიერად
დაწმახვნა და ჭეშმარიტების საღალფილოსოფიური
მხატვრობა, მეორედ, კმა-საყოფელი აღწერა რუს-
თველის მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა
ქართველთა. ამით ვამტკიცებ, რომ წიგნი ეს ე
ქართულს ენაზე უებრო და უამ-
ხანაგოა, და თვით ევროპაშიაც მი-
სი უმჯობესი მრავალი არ იპო-
ვება“ (1841, გვ. VII), „ამ წიგნის დაწერითა
რუსთველი გამოჩნდა არა მხოლოდ ვითარცა ჩი-
ნებული, არამედ უწარჩინებულ ესი
ყოველთ მეზღაპრეთა ზედა... რუსთველში შეერ-
თებულია ყოველი ღირსება მწერლისა“ (იქვე,
გვ. VIII), „უადგილოა ჩემგან ქება რუსთველისა,
რეცა ქართველის მწერლისა. რუსთველი ასეთი
მცოდნე იყო ქართულის ენისა, რომ მისი სწორი
აქამომდე არ გამოჩენილა“ (იქვე, გვ. X).



ვეფხისტყაოსნის სტილის ერთადერთ ნაკრებისა („ამ ნაკლულევანების გარდა რუსთველის ლექსებისა სხვათა თვალი არ ჰქმისწვრია“) ბროსე თვლის ე. წ. კონტრასტულ პარალელ იზოზ მს და ანისთვის იშველიებს გამოჩენილი ფრანგი კლასიცისტი პოეტ-თეორეტიკოსის ბუალოს (1636—1711) გამოთქმას: „რითმა მსახურია და მწერალმა არას დროს მას თავი არ უნდა ამონოსო“. ბროსე წერს: „ამასთან არ შეიძლება რომ არ მოვასენო ნაკლულევანება ერთი რუსთველის შაირებისა: მრავალჯერ რიფმისათვის განამეორებს ერთის აზრის მნიშვნელთ სიტყვებთა, და ამგვარი გაგრძელება შაირებისა უშესაბამოა. მაგ.

მუნ ვაჭარმან თქროს ფასად ცხენი მიპსცა, არ უძღვანა
(მ. ჩუც).

იგი შვება საუკუნოს ცხადად პპოვეს, არ ითცნეს
(ე. ჩუც).

. აქებდეს, არ აგინებდეს (მ. ჩფკთ). დ[ა] ნ[ხვა].

ესევითარი განმეორება არა მხოლოდ რიტორიკისა წინა-აღმდეგია და თვითცა მარტივის თხზულების კანონთა“ (1841, გვ. X—XI).

უკვე ალ. ბარამიძემ შენიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის კონტრასტული პარალელიზმის ხერხი იმდენად თავისებური და უჩვეულოა, რომ მისი რაობა ვერ გაიგო ევროპული კულტურის წარმომადგენელმა ისეთმა მეცნიერმა, როგორიც იყო აკადემიკოსი ბროსე“.¹⁵



როგორც ცნობილია, რუსთველური სტილის-
თვის დამახასიათებელი აღნიშნული იერხი კუნძულობისა
რასტული პარალელიზმისა თავისი მაღალმხატვ-
რული მნიშვნელობით პირველად ამოიცნო ნ. მარ-
მა,¹⁶ მაგრამ იგი ალ. ბარამიძის სიტყვები რომ
გავიმეოროთ, „მსხვერპლად მოუტანა მცდარ ის-
ტორიულ-ლიტერატურულ თვალსაზრისს, ... ვი-
თომც ვეფხისტყაოსანი შეთხული იყო XIV სა-
უკუნეში, მესხეთში, მუსლიმანური სარწმუნოების
გავრცელების პირობებში და ვითომც თვითონ
შოთაც იყო შუსლიმანი“ (იქვე, გვ. 307).

მ. ბროსესგან ნაკლად ჩათვლილი, ხოლო ნ. მა-
რის მიერ უცხოურ გაღმონაშთად მიჩნეული კონ-
